




საგარეო

11  
1973





1973 წლის 5 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საბუიომო სხდომა, რომელიც მიუძღვნა რესპუბლიკისათვის ხაღხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას. ამ დიდი ჯიღდოთი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯიღდოებუღია საბჭოთა კავშირის შექმნასა და დამკვიდრებაში, ჩვეხი ქვეყნის ხაღხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებაში საქართველოს მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, კომუნისტური მშენებლობის საქმეში შეტანილი დიდი წვდიღისათვის.

ხაღხთა მეგობრობის ორდენის მიღება ჩვენი რესპუბლიკის პიღონერ-მოღწავღეებს ავადებს, უფროსებთან — მათ დეღებთან და მამებთან ერთად კიღევ უფრო გაშადღონ და განამტკიცონ მეგობრობა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების შვიღებთან, უფრო მეტი წარმატებები მოიპოვონ სწავღასა და შრომაში, მომავადში კიღევ უფრო მაღღა ასწიღონ ხაღხთა შორის დენიღური ინტენაციონალისტური მეგობრობის დიადი დროშა.

აქ მოთავსებუღ ფოტოზე აღბეჭდიღია საბუიომო წუთი, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პღღიტბიურღს წვეღრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამნ. ა. პ. კიღიღენკომ საქართველოს სს რესპუბლიკის დროშაზე მიამავღრა ხაღხთა მეგობრობის ორდენი.





# ოქტომბრის ქარი

ელიზაბეა ღრაბინა

თავი მოთხრობისა „შავი ორცხოვნილი“

მხატვარი რ. ცუცმერიძე.

იმ შორეულ შესანიშნავ დროს კმეისინსკაიას სასახლისაკენ მიმავალი გზის გვერდით იდგა ტლანქად ნაგები, ცხენის ოფლით, წყკოს სუნითა და ამიაკით აყროლებული, ძველი აფიშებით აჭრელებული მრგვალი ნაცრისფერი შენობა. ეს იყო ცირკი „მოდერნი“.

პოი, ცირკო „მოდერნი“! ვერავინ დაგივიწყებს, ვინც ცხრაასჩვიდმეტი წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ერთხელ მაინც ყოფილა შენს დასვრილ, ჩამოცრცნილ კედლებს შორის.

ვილაცამ (მათიკოვსკიმ ხომ არა?) ტყუილად როდი თქვა მაშინ: „თუ გინდა ამოვიძირკვოთ ბურჟუაზიის ჯიში, იჩქარე, ამხანაგო, მიტინგზე „მოდერნიში“! ტყუილად როდი ამტკიცებდა იმავე ხანს შექმნილი სიმღერა: „მას არ უნახავს რევოლუცია, ვინც „მოდერნიში“ არა ყოფილა!“ ეს უზარმაზარი ცირკი, ბედის ირონიით მდიდართა უბნების ცენტრში რომ იყო აღმართული, თვითმპყრობელობის დამხობის პირველსავე დღეებიდან იქცა პეტროგრადისა და მისი გარნიზონის ყველაზე მეტროპოლი წრეების თავშესაფრად:

იმდენი ხალხი იყრიდა იქ თავს. ნემსი არ ჩავარდებოდა. ხშირად ხდებოდა ხოლმე ასეთი რამ: რომელიმე რიგში მჯდომი ისე გაიქედებოდი, თითსაც ვერ გაანძრევდი. ფეხები ვილაცის თავზე გედგა, შენს თავზეც ვილაცის ფეხები ეწყო. ელექტრონი არ ენთო (ამაზე დროებითმა მთავრობამ იზრუნა, მაგრამ ამაო იყო მისი იმედი — ამ ხერხით ჩაეშალა კრებები „მოდერნიში“). ორატორის ტრიბუნასთან ფისის ჩირაღდანნი გიზგიზებდა. შავ-წითელ ალს არხევდა ხალხის სუნთქვა. შუქის ანარეკლი დასთამაშებდა სახეზე ადამიანებს, რომელთაც ყველა დასაჯდომი ადგილი, არენა, გასასვლელები, ლოჯები აევსოთ და ჭაღებზე აძრომასაც კი ლამობდნენ.

ორატორი ორატორს სცვლიდა. აქ იყვნენ ბოლშევიკური პარტიის წარმოგზავნილები — ვოლოდარსკი, კრილენკო, სლუცკი; ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცები, კრონშტადტელი და სევებორგელი მეზღვაურები, ქარხნების — „რუსკოე რენოს“, „პარვიაინენის“, „პუტილოვეის“ მუშები. ცირკი გუგუნებდა, წუხდა, ხარობდა, შფოთავდა.

— ამხანაგებო! მივცემთ დროებით მთავრობას იმის უფლებას, რომ ყელში თოკი წაგვიჭიროს? — კითხულობს ორატორი.

— არ მივცემთ! არ მივცემთ! — უპასუხებს ცირკი.

— მივცემთ თუ არა წყეული ომის გაგრძელების უფლებას?

— არა! არა! დაე კერენსკიმ თვითონ კვებოს სანგრებში მკბენარი, ჩვენ გვეყო!

— ამხანაგებო, დავუტოვებთ თუ არა მემამულეებს მიწას?

— არ დავუტოვებთ! ჩვენ გავინაწილებთ!

— ვის უნდა ეკუთვნოდეს, ამხანაგებო, ძალაუფლება?

— საბჭოებს! მთელი ძალაუფლება საბჭოებს!

და, აჰა, დადგა ოქტომბერი, ათას ცხრაასჩვიდმეტი წლის დიდი ოქტომბერი. მოვლენები სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა. იგრძნობოდა, რომ ახლო იყო გადამწყვეტი ჟამი.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამას არავინ არ გრძნობდა. მაგრამ მაშინ, სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დამდეგს, ეს ყველამ იგრძნო — რევოლუციის მეგობრებმაც და მისმა მტრებმაც.

„რევოლუცია ახლოვდება! — წერდა იმ დღეებში ბურჟუაზიული და მენშევიკურ-ესერული პრესა. — ბარომეტრი ქარიშხალს უჩვენებს და ჰორიზონტზეც ტყუილად როდი გამოჩნდა ლენინის აჩრდილი!“

ლენინის აჩრდილიო! სცდებით, ბატონებო... არა, ეს აჩრდილი არ გახლავთ! ეს თვითონ ლენინია, დაუოკებელ ენერგიითა და ბრძოლის მგზნებარე სურვილით აღსავსე! მან არად ჩააგლო საფრთხე, მის სიცოცხლეს რომ ემუქრებოდა და, ცეცხლფარეშად გადაცმული, ორთქლმავლით პიტერში ჩავიდა. იქ, ვიბორგის მხარეს, მარგარიტა ვასილის ასულ ფოფანოვასთან დაბინავდა, რათა უშუალოდ ეხელმძღვანელა აჯანყების მზადებისათვის.

არა, ეს აჩრდილი როდია! — ეს ცოცხალი ლენინი მონაწილე-



ქანკანა

11  
ნოემბერი

1975

საბჭოთავო ალკა ცენტრალიზირებული საბჭოთავო კომიზბის შა. მ. მ. ლენინის სახელობის შორე პრინციპალ ობაჟიანობის ასსაზღვრავი საბჭოთავო ურეკლთორი სასაზღო ნაჩხალე

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ-ის  
გამომცემლობა

ბ. მარქსის საბ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა





ობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებში, ნიღაბს ჰხდის რევოლუციის შტრაიკბრეხერებს; ამტკაცებს, რომ კრიზისი მომწიფდა, რომ რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციის ბედი სასწორზე დევს; მოითხოვს, პარტია საქმიანად, პრაქტიკულად მოეცილოს აჯანყების ტექნიკურ მხარეს, რათა შეინარჩუნოს ინიციატივა და უახლოეს დროში შეუდგეს გადამწყვეტ მოქმედებას.

ეს — იგი, ლენინი, ღრმა იატაკქვეშეთიდან წარმართავს პარტიის მუშაობას... მისი სიტყვები ნაღარის ხმასავით გაისმის ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებიდან და მხურვალე გამოხმაურებას პოულობს მუშების, მეზღვაურების, ჯარისკაცებისა და გლეხების გულში!

ის ამბავი, რომ ვლადიმერ ილიას ძე დაბრუნდა პიტერში, მხოლოდ ამხანაგების ძალზე ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. მაგრამ ჩვენ, პარტიის რიგითი წევრები, რომლებმაც არაფერი ვუწყოდით ლენინის ჩამოსვლის შესახებ, ვგრძნობდით, რომ იგი ჩვენს გვერდით იყო. თითქოს მძლავრა ტურბინა ჩადგაო მწყობრში — ისე ენერგიულად. სწრაფად, ზუსტად დატრიალდა პარტიული მექანიზმის ყველა ლილევი და, ამ მექანიზმის თვით უმცირესი კბილანაც კი მთელ თავის ძალას დაბავდა, რათა განხორციელებულიყო პარტიის მიერ დასახული მიზანი.

ადგებოდი დილას, პირსახეზე წყალს შეისხურებდი. საჩქაროდ ჰქია ჩაის დალევდი და, ჰაიდა, — გზას გაუდგებოდი. ერთ დღეში ბევრი რამ უნდა მოგესწრო: ჯერ ვიბორგის მხარეში მოათავებდი საქმეს; იქიდან ფურშტადტის ქუჩაზე, 19 ნომერში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში წახვიდოდი; სამდივნოდან, — სმოლნში; სმოლნიდან — მოსკოვის პოლკში, რათა სროლაში წაგვევარჯიშნა სასროლეთზე, რომელიც ამ პოლკმა წითელი გვარდიის შტაბის განკარგულებაში გადასცა;


იქიდან მუშა ახალგაზრდობის კავშირის კავშირის რეზოლდო; კრების შემდეგ — მეტყვიამფრქვევეთა პოლკის მიტინგზე ან ქარხანა „ნოვი ლესნერში“. და კიდევ ბევრ ადგილას მოგიწევდა წასვლა.

მუშაობა მთელი ძალით გაჩაღდა. ყოველ საკითხზე ცხარე კამათი იმართებოდა და გადაწყვეტილებასაც იქვე იღებდნენ. თუ რაიმეს მოგვარება იყო საჭირო, ვინმე თავისი სურვილით კისრულობდა ამ საქმეს და დამხმარეებსაც თვითონვე გამოსძებნიდა. საქმეთა უმეტესობა მაინც ყველას ერთობლივი მონაწილეობით კეთდებოდა: წითელ გვარდიაში ჩაწერა იყო საჭირო და, ყველა ეწერებოდა წითელ გვარდიაში; იარაღი უნდა შეგროვებულიყო და, ყველა აგროვებდა იარაღს.

მუშაობდა თუ არა იმ დროს ამინდის ბიურო? თუ მუშაობდა, ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში მისი ჩანაწერები ასე უნდა იუწყებოდეს: „დიდი მოღრუბლულობა, ზოგჯერ წვიმა და სველი თოვლი. ზომიერი, ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა ღამით მინუს 5 — მინუს 7, დღისით ნული გრადუსი“.

მაგრამ თუ ჰკითხავთ ოქტომბრის ამბების რომელიც განებათ მონაწილეს, როგორი ამინდი იდგა-თქო იმ დღეებში, იგი ჩაფიქრდება, მხრებს აიჩეჩავს, მოგონებებს გაუღიძობს, ხელებს გაშლის და ასე გეტყვით: „დიდებული! დიდებულზე დიდებული! სუფთა, გამამხნევებელი ჰაერი... ახალი, ქათქათა თოვლი... კოცონების კვამლით შეზავებული პიტერის ერთობ სასიამოვნო ნისლი... და ერთთავად — ქარი. ჩინებული ქარი, მხიარული, მძაფრი. სწორედ ისეთი, როგორიც უნდა ჰქროდეს იმ დღეებში, როცა უნდა აღიგავოს ძველი სამყაროს უწმინდურება“.

ციოდა თუ არა? რასაკვირველია... მირბიხარ, მაგალითად, ქუჩაში და კბილს კბილზე გაცემინებს. არაფერია,





ჩვენ შეჩვეული ვართ ასეთ რამეს. სამაგიეროდ, ბურჟუებს ძვლები გაეთიშებათ. დაე, გაიგონ, რა რიგ მძიმეა გასაჭირი.

იარალი, იარალი, იარალი! გუშინ შვიდი შაშხანა, სამი ნაგანი და ერთი ბრაუნინგი ვიშოვეთ უვაზნებოდ... ნარვის საგუშაგოსთან ბიჭებმა ორი ტყვიამფრქვევი მოიხელთეს... ამბობენ, ვაზნები ნოვია დერეფნიაში იშოვებო... სახვევ მასალას პეტროგრადის მხარეში იძლევიან... სასწრაფოდ წვრთნიან წითელგვარდიელებსა და სანიტრებს. ინსტრუქტორი — უწვერულვანო ჯარისკაცი — უხსნის: „მთავარია, შიში არ შეგეპაროს გულში... გაცოცდი წინ და დასცხე შაშხანით“. სტუდენტი-მედიკოსი სხაპასხუბით, სეტყვასავით აყრის სიტყვებს: „ჭრილობაზე დაიდება მარლა, მარლაზე დაიდება ბამბა, ბამბას დაედება სახვევი...“ აქვე ყველანი ერთმანეთის ბანდვას იწყებენ. სწავლების კურსი ორსაათიანია.



ბნელი ღამეები, ბნელი ქუჩები... როგორ გადასხვაფერდა პიტერი უკანასკნელ ორ თვეში! გაქრა ბაბთები. ფრაკის აბრეშუმის ლაცკანსაც რომ ამკობდა და ჯარისკაცის დაქმუნვნილ მაზარასაც. სახეებიდან გაქრა უზრუნველი იერი. ბურჟუაზიულ უბნებში სამარისებური დუმილია. მილიონერებისა და უცხოეთის საელჩოთა სასახლეები თითქოს გაუქაცრიელდნენო, — სადარბაზო კარები დახშულია რკინის ურდულებით, სარკისებრ ფანჯრებს სქელი ფარდები აქვს ჩამოფარებული. ჩვენ ვიცით, რომ ეს სიჩუმე მაცთურია. ბურჟუაზიას არ სძინავს. ბურჟუაზია ფხიზლობს. ბურჟუაზია ამჟიდროვებს თავის რიგებს. ბურჟუაზია რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულებათა ქსელს ხლართავს.

ბოლშევიკებს — წერდა, რომ დაჰკრა მოქმედების უამბა და, რომ „დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

24 ოქტომბრის დილამ ვიბორგის მხარეში მომისწრო. ჯერ მუშა ახალგაზრდობის კავშირის საქმეებზე დავრბოდი, შემდეგ პარტიის რაიონულ კომიტეტში აღმოვჩნდი. იქ ხალხით იყო სავსე. წამდაუწყუმ შემობრბოდნენ შაშხანიანი კაცები. მე იარალის გაცემის თაობაზე განკარგულებათა, მანდატებისა და რალაც საბუთების გამოსაწერად დამსვეს.

ირგვლივ ყველაფერი დუღდა, როგორც ქვაბში. დრო საოცარი სისწრაფით მიჰქროდა. შუალამე გადასული იყო, როცა ენია ეგოროვას ხმა გავიგონე:

— გოვონა გაიყოლიეთ. ნაკლებად მოგაქცევენ ყურადღებას.

მივტრიალდი და დავინახე — შუა ოთახში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იდგა. მას სადღაც მიეჩქარებოდა და თანხლება მე დამავალეს. თუ ვინცობაა გზაში გავაჩერებდნენ, უნდა მეთქვა — პებია ავად გახდა და ექიმთან მიმყავს-მეთქი.

გამოვედით თუ არა გარეთ, წყვილიაღში გავეხვიეთ. ნევის გაღმიდან სროლის ყრუ ხმები მოისმოდა. არ ვიცოდი, სად და რისთვის მივდიოდით. დიღხანს ვარეთ. ბოლოს ბოლშაია სამპსონიეცკაიას დასასრულთან აღმართულ სახლს მივადექით. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მთხოვა ქუჩაში დავლოდებოდი, თვითონ შიგ შევიდა. ორიოდე წუთში დაბრუნდა. ძალზე აღელვებული იყო.

მხოლოდ გვიან გავიგე, რომ სწორედ იმ სახლში ჰქონდა მარგარიტა ვასილის ასულ ფოფანოვას ბინა, სადაც გაატარა თავისი უკანასკნელი იატაკქვეშეთი ვლადიმერ ილიას ძემ. იმ საღამოს მან მარგარიტა ვასილის ასულს წერილი გაატანა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან — სწორედ ის სახელგანთქმული წერი-

„დაყოვნება სიკვდილს უდრის!“ ეს სამი სიტყვა განისმონდა იმ დღეებში მთელ მუშურ პიტერში.

„დაყოვნება სიკვდილს უდრის!“ — ამბობდა პეტროგრადის მუშა ახალგაზრდობის ხელმძღვანელი ვასია ალექსეევი და მუშა ახალგაზრდობის კავშირისა და თითოეულ ახალგაზრდა მუშას შორის ცოცხალი ძაფების გაბმას მოითხოვდა.

„დაყოვნება სიკვდილს უდრის!“ — გაიძახოდა მიტინგზე ფრონტელი ჯარისკაცი, რომელიც მსმენელებს მოუწოდებდა, დაერაზმათ მუშები და ჯარისკაცები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ.

„დაყოვნება სიკვდილს უდრის!“ — რამდენჯერმე გაიმეორა ვიბორგის პარტიაკომის მდივანმა ენია ეგოროვამ რაიონის კომუნისტთა კრებაზე, სადაც იხილებოდა საკითხები იარალის შეგროვების, წითელგვარდიელთა მობილიზაციის, შესახვევი პუნქტებისა და წყლის სადურარების მოწყობის, წითელ გვარდიელთა რაზმებისა და პოლკებს შორის მტკიცე, საიმედო კავშირის დამყარების შესახებ.

როგორ, საიდან გაჩნდა ეს გამოთქმა?

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერილში — „ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობის მონაწილე ამხანაგ



ლი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ამ სტრიქონებს ვწერ 24 ოქტომბერს საღამოთა, მდგომარეობა უაღრესად კრიტიკულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, ჭეშმარიტად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

ვლადიმერ ილიას ძემ ფოფანოვას დაბრუნებამდე არ დაიცადა და სმოლნში წავიდა. და აი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ეს-ესაა შეიტყო, რომ ვლადიმერ ილიას ძე შინ არ იყო, წასულიყო.

კვლავ დავადექით ბნელში შთანთქმულ იმავე ქუჩებს. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ცდილობდა არ გამოემყდარებინა შეშფოთება. მაგრამ, როცა რაიკოში მივედით, ამხანაგებმა სახეზე უმაღლესად შეატყვეს, რომ მოხდა რალაც განსაკუთრებული და მისცივიდნენ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მხოლოდ ესა თქვა: „სმოლნში! სასწრაფოდ სმოლნში!“ ევინა ეგოროვამ ხელმკლავი გაუხეთა და რომელიღაც სატვირთო მანქანით წავიდნენ.

ჯერ კიდევ არ გათენებულყო, მაგრამ წყვილიდი უკვე ცოტა გაბატდა. თანდათან გამოიკვეთა შენობათა კონ-



ტურები. ნევას რომ მივადექით, აღმოსავლეთისაკენ გარიყრავდა და შეიძლებოდა გაგერჩია გრუნტის საყუხუბრები, მდინარეში ჩაწოლილი კარქაჭებზე, იწყებოდა ტყვიისფერი ციმციმი.

ლიტენის ხიდის თავთან წითელგვარდიელები — სავაზნე ქარხნის რაზმელები მორიგეობდნენ. მუშური საზრიანობის წყალობით მოკიდრილიყვნენ და, ხიდის მექანიზმისთვის მოეხსნათ კბილანები, სოგმანები და მანქოები. ამიტომ დროებითმა მთავრობამ, რომელმაც ნევაზე ყველა ხიდი გახსნა, რათა მუშათა გარეუბნები ცენტრისთვის მოეწყვიტა, ლიტენის ხიდის გახსნა ვერ მოახერხა.

ხიდის ბოლოში, კოცონის შუქზე კერენსკის ჯარისკაცთა სილუეტები მოჩანდა. მათ გარშემორტყმოდნენ მუშები. იყო ერთი გაცხარებული დავა. მუშები ჯარისკაცებს ჩასჩიჩინებდნენ — ხალხის მხარეზე გადმოდიოთ.

სმოლნში 25 ოქტომბრის ათ საათზე მივედით. ჭიშკრები ღია იყო. მათ პირდაპირ ჯავშნოსანი მორიგეობდა. შენობის გარშემო ხორა-ხორად ეწყო შეშა — შეიარაღებული შეტაკების დროს ამ თავისებურ ბარიკადებს საფრად გამოიყენებდნენ. ქვემოთ, კოლონადასთან, ლულები მოედრებინათ ქვემეხებს, რომლებსაც ტყვიამფრქვევები უშევენებდნენ მხარს. გრძელი, ხმაურა დერეფნები წითელგვარდიელებით, ჯარისკაცებით, მეზღვაურებით იყო გაჭედილი. ისმოდა იარაღის ეღარუნი, შაშხანების კონდახის კაკუნი, განკარგულებანი, ლაპარაკი, შეძახილები. ირგვლივ ყველაფერი მოძრაობდა, ხმაურობდა, ყვიროდა, მოითხოვდა, მოქმედებდა... „ქაოსია“, — იტყოდა, ალბათ, საქმეში ჩაუხედავი კაცი. მაგრამ არა, ქაოსი არ იყო, რადგან ყველაფერი, ამ ერთი მთელის პაწაწინა ნაწილიც კი, მაგნიტის მოქმედების არეში მოხვედრილი რკინის მოლეკულების დარად, მოქმედებდა მუშათა კლასის ყოვლისგანმგებელი ნება-სუროვილის შესაბამისად.

ცხოვრება თითქოს ერთ გაბმულ, მიმქროლავ დღედ იქცა. მოვლენები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. მაგრამ მოვლენათა ამ ნაკადში იყო წუთები, რომლებიც სამუდამოდ ჩაიბეჭდა იმათ ხსოვნაში, რომლებმაც განიცადეს ისინი. ეს იყო ის წუთები, როცა პეტროგრადის საბჭოს სხდომათა დარბაზში ვლადიმერ ილიას ძე გამოჩნდა და სწრაფად გაემართა ტრიბუნისაკენ: ყველა რომ ფეხზე წამოდგა, ყველა რომ აღფრთოვანებული ყვიროდა, ხოლო როცა მან ხელის გაქნევით შეაჩერა მისალმებათა ქარიშხალი, სულგანაბული უსმენდნენ: „ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა...“ და როცა ვლადიმერ ილიას ძემ დაამთავრა, კვლავ თავდავიწყებით ყვიროდნენ და მღეროდნენ „ინტერნაციონალს“; სხვებთან ერთად მღეროდა ვლადიმერ ილიას ძეც, და მას გვერდით ედგა ბანდით თავშეხვეული ჯარისკაცი, და ორივეს, ყველა იქ მყოფს, ჰქონდა უსაზღვროდ ბედნიერი, შთაგონებული სახე!





# კანონი კომუნისტური ორგანიზაცია



# კანონი კომუნისტური

ნაბეჭადი მასალა

ჯ. ელიზბარაშვილისა.

ფოტო

თამრიკო ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, რატომღაც ფეხისწვერებზე შედგა და ხელისგული ფრთხილად გაშალა.

წამით ჩიტი გაქვავდა, თითქოს ამდენ სიკეთეს არ ელოდაო, მერე ერთბაშად შურდულივით აიჭრა ჰაერში.

თამრიკომ თვალი შეასწრო, როგორ წამოეწივნენ ტყვეობიდან თავდასხნილ ფრთოსანს მისი თანამომძმენი და მხიარული ჭიკჭიკით აფრინდნენ ლაქვარდში.

„იქნებ ამათაც აქვთ თავიანთი ზეიმი. ო, რა სიხარულით მიფრინავს ჩემი ჩიტუნია!“

თამრიკო კარგ გუნებაზე დადგა. 19 მაისის უღრუბლო დილა იყო. იმ დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის ბავშვებთან ერთად თბილისელი პიონერები ზეიმით აღნიშნავდნენ ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების თარიღს.

მე-18 საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე თამარ გეგეშიძე პირველი მაისის რაიონის სკო-

ლი მსვლელობა. გამოჩნდა სახელგანთქმული „ტაჩანკა“; წარმოადგინეს რეკონსტრუქციის, სამოქალაქო და სამამულო ომის, მშვიდობიანი აღმშენებლობის ეპიზოდები.

დიდხანს გაგრძელდა პიონერთა აღლუმი.

შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა შინ თამრიკო და დედის მოსვლამდე დღიურს ჩაუჯდა.

„მაისის ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან ამ ზეიმით დამთავრდა ჩემთვის საყვარელი და ლამაზი ხანა — პიონერია. მიხარია, რომ ის ასე ფერადოვნად დამთავრდა. ხვალ კვრია. ზეგ კი კომკავშირის კომიტეტის სხდომაზე გამოძახებულს მკითხავენ... რას მკითხავენ ნეტავ? რა საქმეებით მივედი კომკავშირში, თუ, რას ველი კომკავშირისაგან? რა ვუპასუხო?“

უცებ თამრიკომ წერა შეწყვიტა. მოერყენა, რომ ძალზე ცოტა, თითქმის არაფერი არ გაუკეთებია მნიშვნელოვანი ამ წლების მანძილზე.

სწავლობდა ფრიადზე. მუდამ ეხმარე-

# პირველი სახელი

ის კვირა ასე დაიწყო. გაზაფხულის მზის პირველი სხივი ჯერ საწოლს დაეცა, მერე კურდღელივით გასხლტა პარკეტზე.

დილაადრიანი იყო და თამრიკო ძილის გაგრძელებას აპირებდა. უეცრად ღია ფანჯარაში ჩიტი შემოფრინდა, სიფრიფანა ფარდაში გაეხვია. მერე, როგორც იქნა, ფარდის ტყვეობიდან თავი დაიხსნა და შეშფოთებული ტყვივლით კედლის სარკეს მიაწყდა...

თამრიკო სწრაფად წამოდგა:

— შეხედე, ქეთინო, შეხედე! — დაუძახა მიძინარე დას და კუთხეში წიგნის თაროსთან მიმწყვდელი ჩიტი დაიჭირა.

ქეთინომ თვალეები მოისრისა და უფროსი დის ხელში ყვითელნისკარტიანი ჩიტი რომ დაინახა, მაშინვე გაუფრთხა ძილი.

— მაჩვენე, — ხელი გაუწოდა თამრიკოს.

— არა, ცოდვია. იცი, როგორ უფართხალებს გული? „დუგ-დუგ, დუგ-დუგ, დუგ-დუგ...“ დღეს ზეიმზე წავიყვანდი, მაგრამ მანამდე რომ შიშით გული გაუსკდეს! ალბათ, ამის თვალში გოლიათებდა ვჩანვართ; არა, გავუშვებ დედამისთან.

ლების პიონერთა სახელით პატაკს აბარებდა პიონერთა საქალაქო შტაბის თავმჯდომარეს.

პირველი მაისის რაიონის პიონერული ორგანიზაციის ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, რადგან ნორჩებმა თავი გამოიჩინეს საკავშირო პიონერულ მარშში „მზად ვარ“.

დღეს, მართალია, ამ საქმეთა თავმოყრის, შეჯამებისა და შეფასების დღე იყო, მაგრამ მაინც საზეიმო დღე გახლდათ და ზეიმის შესაფერი განწყობილება სუფევდა.

ლენინის მოედანი, რომლის შუაგულში ბელადის მონუმენტია აღმართული, წითელყელსახვევითა გოგონებსა და ბიჭუნებს აევსო.

ძეგლის კვარცხლბეგი — რუსი გრანიტი და მუქი შინდისფერი მარმარილო — ყვავილებს დაეფარა.

კოლონებდა დაწყობილი პიონერების ყელსახვევების ბოლოებს ცელქი ნიავი არხევდა. მოედანზე მოსული ყველა პიონერი თავის გულში ანგარიშს აბარებდა ბელადს.

თამარ გეგეშიძე ლაპარაკობდა მრავალთა სახელით, ამხანაგების სახელით...

მოედანზე კი მოდიოდნენ ახალ-ახალი კოლონები. მათ მოყვა თეატრალიზებუ-

ბოდა რაიმე საგანში ჩამორჩენილ ამხანაგს, უფრო ხშირად — მათემატიკაში.

დამთავრდებოდა გაკვეთილები, ხმაურით აიშლებოდნენ მოსწავლეები.

— ხვალ გეომეტრია! რა გვაქვს დავალები? — ყასიდად იკითხავდა ერთი.

— დარჩი, ერთად გააკეთოთ, — შესთავაზებდა თამრიკო.

სახლში ცოტა კი აგვიანდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ხვალინდელი დავალება მასაც ამოსხნილი მიჰქონდა შინ.

მშობლების სამსახურიდან მოსვლამდე უმცროს დებსაც მიხედავდა — ქეთინოს დავალებას შეუმოწმებდა, ინგლისურის გამოთქმას შეუსწორებდა, ზოგჯერ კი პატარა ნინიკოც მოჰყავდა ბაღიდან.

ოქტომბრელებთან მუშაობა უყვარდა. ამ საქმეში გამოცდილება მაქვსო, — ეუბნებოდა პიონერხელმძღვანელს.

ოქტომბრელებს უყვარდათ „თამრიკო ხელმძღვანელი“, რომელიც ხან აძერწვინებდა, ხან ახატვინებდა, ხან მხატვრულ კითხვას ასწავლიდა, ნამუშევრების გამოფენებს უწყობდა...

პიონერთა სასახლეში საქალაქო პიონერულ შტაბში მუშაობდა. შტაბის წევრები რეიდებს აწყობდნენ დედაქალაქის სკოლებში — სწავლობდნენ პიონერული რაზმეულების საქმიანობას; შე-





ნიშნულ შეცდომებს ადგილზევე უსწორებდნენ; თუკი რაიმე ახალსა და ორიგინალურს ნახავდნენ, შტაბის სხდომაზე განაზოგადებდნენ, სხვა სკოლების პიონერულ აქტივს აცნობდნენ.

აქ თამრიკომ ბევრი კარგი ამხანაგი შეიძინა. ამხანაგები სხვაგანაც ჰყავს — აზერბაიჯანში. კიროვობადის მე-18 საშუალო სკოლა დიდი ხანია თამრიკოს სკოლასთან მეგობრობს. ყოველ წელს მეგობრობის ზეიმზე ან კიროვობადელებს იწვევენ საქართველოში, ან ქართველი პიონერები მიემგზავრებიან მოძმე აზერბაიჯანში.

...მაგრამ თამრიკოს ვჩვენებოდა, რომ ისეთი არაფერი ჰქონდა გაკეთებული, კომიტეტის წევრების წინაშე რომ თავი მოეწონებინა.

„რით მივდივარ კომკავშირში?“  
იმ დღეებში წაკითხული „ახალგაზრდა გვარდია“ გაიხსენა.

„აი, მესმის საქმე. ან თუნდაც გაიდარის „თემური და მისი რაზმი“ ავიღოთ. როგორ მუშაობდნენ ბავშვები, როგორ ეხმარებოდნენ ფრონტელთა ოჯახებს!“ გაახსენდა, როგორ მიართვეს სკოლის ეზოში გამოზრდილი ყვავილები საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ჩიქოვანის დედას.

გმირის დედამ პიონერებს ვახტანგის ბავშვობის წლებზე უამბო. ჩვეულებრივი ბავშვი ყოფილა — დედას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს სათამაშოებს უკეთებდა, სურათებს უხატავდა...

მერე კომკავშირელი გახდა და მალე ქვეყანამ გაიგო მისი ~~გმირობა~~ ~~მუშაობა~~

თამრიკომ წერა განაგრძო.  
„რას ველი კომკავშირისაგან? ო, ძალიან ბევრს. ეს უნდა იყოს ჩემი ყველა ოცნების ფრთაშესხმა“.

თამრიკომ დღიური დახურა და უჯრაში ჩადო. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და დედა შემოვიდა.

— როგორ იხეიმეთ? — ჰკითხა თამრიკოს და ლოყაზე აკოცა.

— ძალიან კარგად, დედა. ზეგ კი, ხომ იცი, კომიტეტის სხდომაა.

— კიდევ ვის იღებენ?

— ლეილა მითაიშვილს, მანანა ავალიანს, ინგა ლილუაშვილს, მარინე ზურებიანს, მანანა მელაძეს.

— დელავ? — გაუცინა დედამ.


— რა ვიცი, დედა, ასე მგონია, ისეთი არაფერი გამოიკეთებია. ვსწავლობდი, სკოლის ნაკვეთზე ვმუშაობდი, ჯართს ვაგროვებდი, რაზმეულს ვხელმძღვანელობდი, მაგრამ როცა კომკავშირელი გავხდები...


თამრიკო ხმამაღლა ოცნებობდა.

დედა სიყვარულით უცქერდა თვალმაცემციმებულ გოგონას და თავისი ბავშვობა ახსენებოდა.

ისიც ყველა ოცნებას ლენინურ კომკავშირს უკავშირებდა. ასე იყვნენ სხვებიც. ასე ვიყავით ჩვენც. თაობები მოდიან... კომკავშირი კი მარად ჭაბუკი რჩება. ყველას სიჭაბუკის ოცნება ხომ ამ სახელიდან იწყება.



 თბილისის პირველი მაისის კომკავშირის რაიონის მთლიანი ნიკო ლაიპივილი კომკავშირულ ბილეთს გადასცემს თამარ გავაშიძეს.

 სულგანაშული უს. მინან ოპტომგრაფიანი თამარს, რომელიც მათ სანტარაშო მოთხრობას უკითხავს.







# მოთია ბერეინაძე

ნარჩუნა მგელაძე

დოკუმენტური მოთხრობა

ხმატვარი რ. ცუცშირიძე.

## ევალონები ფრონტისაკენ მიდიან

სრული წინ მოიწევს. გადმოთელა ქაინის მწიფობაში შესული პურის კასები, ბელორუსიის ველ-მინდვრები... ერეკება ხარ-ძროხას, მიაქვს მარცვლეული, თაფლი, ხორცი, ბეწვეული... გერმანიაში იძულებით სამუშაოზე მიერეკება მოსახლეობას — ქალებსა და ბავშვებს.

ალიმართა სახრჩობელები. ხალხი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს მოძალადეს. გარბის ტყეში. წვავს და ანადგურებს ყველაფერს, რაც შეიძლება მტერს გამოადგეს. ანგრევს ხიდებს, აფეთქებს რკინიგზებს.

მომხდური მაინც წინ მოიწევს. სასტიკია და დაუნდობელი. გაზეთებს მოაქვთ შემზარავი ცნობები: ერთ სოფელში გერმანელებმა ავიზგიზებულ კოცონში გადაყარეს ძუძუთა ბავშვები; მეორეგან ცოცხლად დამარხეს პარტიზანები, რომლებმაც არ გასციეს ამხანაგები.

ქალები, უწვევრულვამო ჭაბუკები წერენ განცხადებებს, ითხოვენ ფრონტზე მოხალისეებად გაგზავნას.

ივანე ქანთარიას 808-ე მსროლელთა პოლკში ფრონტისათვის მზადება არ წყდება არც დღე, არც ღამე.

მან იცის, რომ მის ნაწილს კავკასიონის ქედის მიმართულებით მოუწევს გამგზავრება, მაგრამ არ იცის — როდის მოვა ბრძანება და, რა თქმა უნდა, არ იცის რა ელის პოლკს მათ

რუხის უღელტეხილთან. ჯარისკაცთა, მეთაურთა მზადებას, ტექნიკის შესწავლას, ჩაცმას, შეიარაღებას, მარაგზე ზრუნვას უნდებდა ყოველი წუთი.

ვანო თითქმის ველარ ნახულობს ცოლ-შვილს.

ბიჭებმა თავი ანებეს ცელქობას. სამხედრო ქალაქში ჩამოყალიბდა რაზმები, რომლებშიც 12-14 წლის ყმაწვილები შევიდნენ. შეარჩიეს ყველაზე გამბედავი, დისციპლინიანი, ფიზიკურად ძლიერი ბიჭები.

მშობლებისა და პოლკის დახმარებით რაზმების წევრ პიონერებს თითქმის ნამდვილი სამხედრო ფორმები შეუყვარეს. საწყობიდან სავარჯიშოდ გამოუყვეს მოძველებული ნიმუშის ხიშტები, შაშხანები, ხმლები.

ოფიცრების დახმარებით ბიჭები სწავლობენ შაშხანის, რევოლვერის და შლა-აწყობას, სროლას, სამხედრო წესდებას.

სპეციალურად ამოთხრილ სანგარში განლაგდა შტაბი. პიონერები დღე-ღამე მორიგეობენ შტაბთან, სწავლობენ საჭაერო თავდაცვისა და დაჭრილთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის წესებს.

შტაბის უფროსად აირჩიეს კოლია — მაიორ ნიკოლაევის ვაჟი.

მაღე მოვიდა ცნობა, რომ კოლიას მამა გმირულად დაეცა...

პიონერები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა პოლკი ეშელონში ჩასხდებოდა, ბიჭებს იმედი ჰქონდათ, რომ მამებთან ერთად ისინიც გაემგზავრებოდნენ.

...1941 წლის 18 ივლისია. სამხედ-

რო ქალაქს ფხიზელი, მოლოდინით აღსავსე ძილით სძინავს.

აი, მიილია, მტრედისფრად გაიცრია ღამე. დაქროლა დილის ნიამა და ყაზარმის თავზე წითელი დროშა შეატოკა.

გაისმა განგაშის სიგნალი და მალე ყველამ გაიგო, რომ დამთავრდა მტანჯველი ლოდინი — მიდიან, რათა შური იძიონ დანგრეული ქალაქებისა და გადამწყვარი სოფლებისათვის, გათელილი ყანებისა და უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისათვის.

ივანე ქანთარიას ოჯახში დიდი ხანია გამგზავრების თადარიგია. შეკრულია ბარგი, ჩემოდანში ჩაწყობილია ბიჭების ტანსაცმელი. ყოველი შემთხვევისათვის მზადაა ორი-სამი დღის საგზალი. თორმეტი საათისათვის კიბეზე ვანოს ფეხის ხმა გაისმა.

ბიჭებს ნაბრძანები ჰქონდათ იმ დღეს არსად წასულიყვნენ. ისინიც გულისფანცქალით უცდიდნენ, როდის გამოჩნდებოდა მამა და იტყოდა: გაემზადეთ, მივლივართო.

მაგრამ ვანომ სხვა ამბავი მოიტანა:

— პოლკი საღამოს გადის. თქვენ დროებით აქ დარჩებით. მალე ქუთაისში დაგაბრუნებენ. ასეთია ბრძანება.

ბიჭები სახტად დარჩნენ. თამარი სკამზე დაეშვა და აქვითინდა.

— თამარ, შენი იმედი მაქვს. ბიჭები სწავლაში არ ჩამორჩნენ. სოფელთან კავშირი არ გაწყვიტო. თუ გაგვიჩირდეთ, სულაც იქ გადადი. ნუ გეშინია, წერილებს ხშირად გამოგიგზავნით.





პატარა სადგურზე უჩვეულო მღელვარება. გამცილებლებს ბაქანი აუფხვიათ.

ბაქნის კუთხეში მღვარი თამარი აქეთ-იქით იტყობოდა. უკვე ერთი, საათია აქ არის, ბიჭები კი არ ჩანან. რას იტყვის ვანო! ამ ნერვიულობამ ქალს მთავარი სადარდელი გადააფიქვია.

შორიდან დაფლავების ხმა გაისმა. მალე გამოჩნდა პიონერთა კოლონა.

რაზმს წინ ორი წითელყელსახვევიანი მედოლე მოუძღვის.

Взвейтесь кострами  
Синие ночи!  
Мы — пионеры —  
Дети рабочих!

— აბობს ჰაერს ბიჭების ომახიანი სიმღერა. თამარს გულზე მოეშვა: მწყობრში ოთარი და ვახტანგიც მოაბიჯებენ.

ნორჩები გატაცებით ძღერაინ:  
Возьмем винтовки новые,  
На штык — флажки,  
И с песнею в стрелковые  
Пойдем в кружки!

კოლია ნიკოლაევი გვერდით მოპყვება რაზმს და დროდადრო იძახის:  
— მარცხენით, მარცხენით, მარცხენით!

თორნიკე და ტოლაგი არიერგარდში მოდიან.

ოთარმა შენიშნა ბაქანზე მდგომი დედა, ვახტანგს მუჭოლუგუნი გაპკრა და იქით მიახედა ისე, რომ სიმღერა არ შეუწყვეტია.

როცა კოლიას ბრძანებით პიონერები ბაქანზე ერთმწყობრად მოეწყვნენ, გამოჩნდნენ ჯარისკაცთა პირველი რაზმები...

ემელონი ჩამოდგა.

ხალხი აირია, ვაგონებს მიაწყდა.

ვანო ცოლ-შვილთან მივიდა.

— ვახუშტი, ვახუშტი, — სცადა ხუმრობა მამამ, მაგრამ ხმაში ხრინწი გაერია.

მერე ჰაერში აიტაცა ვახტანგი, აკოცა, ოთარს კი დიდი კაცივით ჩამოართვა ხელი.

— ოჯახს თქვენს იმედზე ვტოვებ, შვილებო. დედას გაუფრთხილდით. კარგად ისწავლეთ. წერილები მომწერეთ.

ვანომ თამარს აკოცა და უკვე დაძრულ მატარებელს შეახტა.

მატარებელი ნელა მიდიოდა და ბიჭები დიდხანს ხედავდნენ ვაგონის ბაქნიდან გადმოხრილი მამის ახოვან ფიგურას.

სკოლამ კი იქვე ასწავლა, პირდაპირი ური ინსტიტუტის ესოში აგებული პატარა შენობაში გადაინაცვლა.

ვახტანგის კლასის დამრიგებელი და გერმანულის მასწავლებელი ლიდა კოპაძე გაკვეთილს ისე არ დაიწყებდა, მოსწავლეებისათვის რომ არ გაეცნო, რას წერდნენ გაზეთებში ომის თაობაზე.

დაფის გვერდით საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რუკა იყო გაკრული, მასზე ფრონტის ხაზი წითელთავიანი ქინძისთავებით იყო მონიშნული.

როცა რომელიმე ქალაქს ეს ქინძისთავები მოსცილდებოდა, ბავშვების ტანისცემა ატყდებოდა ხოლმე.

დერეფანში გაჩნდა პლაკატი:

„რითი დაეხმარე შენ ფრონტს?“ — კითხულობდა ამ პლაკატიდან მკაცრი სახის წითელარმიელი და თითს პირდაპირ შენიშნავდა.

ეს პლაკატი მოქმედებისკენ მოუწოდებდა. და, როცა პიონერებმა ბრწყინვალედ შეასრულეს პირველი საბრძოლო დავალება — საახალწლოდ წითელარმიელებისათვის თბილი ტანსაცმელი და საჩუქრები შეაგროვეს — თამამად გაუსწორეს თვალი წითელარმიელის მკაცრ შემოხედვას.

... პარასკევს პირველი გაკვეთილი გერმანული ჰქონდათ.

ლიდა მასწავლებელი კლასში დაწითლებული თვალებით შემოვიდა. საკლასო ყურნალი და გაზეთი მაგიდაზე დადო და წუთით ფანჯარასთან შეჩერდა.

მოსწავლეები ფეხზე იდგნენ და დასხდომას ვერ ბედავდნენ.

ოცდაოთხი წყვილი თვალი მასწავლებელს მისჩერებოდა და მუნჯურად ეკითხებოდა: „რა მოხდა?“

— დასხედით, — თქვა ბოლოს. ლიდა მასწავლებელმა და გაზეთი გაშალა.

„პრავდა“ — ამოიკითხეს უკანა მერხზე მსხდომმა მოსწავლეებმა.

გაზეთში მოთავსებულ სურათზე დაინახეს — საბრძოლვაზე იდგა ბიჭურად თამაყრეჭილი, ყელზე თოკ-შემოჭერილი გოგონა.

კლასს თითქოს დეკემბრის სუსხიანმა ქარმა დაუბერაო, ბავშვები მოიბუზნენ და მასწავლებელს მიაჩერდნენ.

— ვახტანგ, გამოდი, წაიკითხე, — თქვა მასწავლებელმა.

ვახტანგმა, სანამ კითხვას დაიწყებდა, სურათს დახედა, გამშრალ ტუჩებზე ენა გადაისვა და ჩახრინწული ხმით დაიწყო:

„...კადონზე ჩამოკიდებული მარყუჟის ქვეშ ერთმანეთზე შეედგათ

ორი ყუთი. გოგონა ასწიეს, აკოცა, ზე შეაყენეს და ყელზე მარყუჟი მოაცვეს. ერთ-ერთმა რტიკურმა თავისი „კოდაკის“ ობიექტივი დაუმიზნა საბრძოლვას. კომენდანტმა ჯალათის მოვალეობის შემსრულებელ ჯარისკაცებს ანიშნა: შეიცადეთო.

ზოიამ ამით ისარგებლა და წკრიალა ხმით გადმოსძახა კოლმეურნებს:

— ეპეი, ამხანაგებო, რას დაღვრემილხართ? გამხნევდით, იბრძოლეთ. ქლიტეთ ფუშისტება!.. შე ჰიკვდილი-სა. არ მეშინია, ამხანაგებო! შენი ხალხისთვის სიკვდილი — ბედნიერებაა.

ფოტოგრაფმა სახრბოებლა შორიდანაც გადაიღო, ახლოდანაც და ახლა გვერდიდან გადაღებას აპირებდა. შემოფოტებული ჯალათები კომენდანტს უყურებდნენ და იმანაც ფოტოგრაფს შეუყვირა:

— აბერ დობ შენეურ! (ცოტა უფრო ჩქარა!)

მაშინ ზოია კომენდანტისკენ მიბრუნდა და გერმანელ ჯარისკაცებს მიძახა:

— ახლა ჩამომახრბობთ, მაგრამ მარტო არა ვარ. ჩვენ ორასი მილიონი ვართ. ყველას ვერ ჩამოახრბობთ. ჩემი მოკვლისათვის შურს იძიებენ. ჯარისკაცებო, ვიდრე დროა, ტყვედ დანებდით: სულ ერთია, ჩვენ გავიმარჯვებთ.

ჯალათმა ყუთი გამოაძრო, მარყუჟმა ყელში წაუჭირა ზოიას. მაგრამ მან ორთავე ხელით გასწია მარყუჟი და მთელი ხმით შესძახა:

— მშვიდობით, ამხანაგებო! იბრძოლეთ! ნუ გეშინიათ, სტალინი ჩვენთან არის! სტალინი მოგაა!!!“

კლასში სლუკუნე გაისმა.

ვახტანგმა, რომელიც თავს ძლივს იკავებდა, რომ არ აღრიალეებულყო, ამხანაგებისკენ გაიხედა.

მეოთხე მერხზე, ფანჯარასთან, ლენა იჯდა. გოგო ტიროდა. რაც უფრო ცდილობდა, თავი შეეკავებინა, მით უფრო გულამოსკვნილი ტიროდა.

ლენას მამა, კადრის სამხედრო მოსამსახურე, ომის დაწყების წინ ბრესტში მსახურობდა.

1941 წლის ზაფხულს ლენას დედა და უფროსი და მამასთან წავიდნენ საზაფხულო არდადეგებზე. ლენა ბებიასთან დარჩა. არაფერ იცოდა, რა ბედი ეწია ლენას დას და დედა-მამას, რაიმე სასწაულით გადაურჩნენ მტრის ტყვიას თუ ბრესტის ასობით სხვა მოქალაქეებთან ერთად დაეცნენ ციხე-ქალაქის გადამწვარ მიწაზე.

ვახტანგმა კითხვა შეწყვიტა და ახლა ვოლოდია სმირნოვს შეხედა.





ვლოლია ტუჩს იკვნეტდა და თითქოს თვალებით სთხოვდა, ბოლომდე წაეკითხა ეს საშინელი სიმართლე.

ვლოლიას ოჯახმა პირველმა მიიღო მამის დაღუპვის ცნობა: პოლკის მეთაური პეტრე სმირნოვი მოსკოვის მისადგომებთან დაღუპულიყო.

სმირნოვების შემდეგ სამგლოვიარო ცნობა თავს დაატყდა ჩიხლაძეების ოჯახს. დაობლდა კარლო ჩიხლაძე, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, მხიარული, ლამაზი და საზრიანი ბიჭი.

კარლო და ვახტანგი ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ვახტანგმა სხვებზე ადრე გაიგო ჩიხლაძეების ოჯახში დატრიალებული ზარის ხმა.

იმ დღის შემდეგ ვახტანგი და ოთარი შიშით უცქეროდნენ ტანმორჩილ, სახენაყვავილარ, გამხდარ ფოსტალიონს, ბრუნენტის ჩანთაგადაკიდებული რომ დადიოდა ქუჩაში. ზოგ კიშკართან შეჩერდებოდა, შუბლიდან ოფლს მოიწმენდა, ერთხანს დაძახებას ვერ ბედავდა. მერე წელათრეული შევიდოდა ეზოში და სულ მალე კივილი მთელს ქუჩას თავზარს სცემდა.

მაგრამ ჭერჭერობით ფოსტალიონი მათ კიშკართან ოფლს არ იწმენდა. პირკით, მხიარულად შესძახებდა:

— თამარ, მალარიჩი, მალარიჩი, ვანოს წერილია!

გუშინწინ ვახტანგმა პირადად მიიღო მამის წერილი.

„ვახტანგ, შენი მამა კარგად არის. თქვენზე ვწუხვარ — იქნებ გიჭირთ, ა?“

რას იზამ, ომია. კიდევ ცოტა ხანიც და ყველაფერი რიგზე იქნება. შენ კარგად ისწავლე და სამაგიერო ჩემზე იყოს“, — სწერდა მამა.

მაგრამ ვახტანგი ბედნიერი გამოვნაკლისი იყო. კლასში ხან ერთი მოსწავლე მოდიოდა ატირებული, ხან მეორე.

პეტრე ლიდოვის წერილის — „ტანას“ წაკითხვამ შურისძიების სურვილით აღანთო.

შინ მისულს თორნიკეს წერილიც დაუხვდა.

„კოლია ნიკოლაევი ფრონტზე წავიდა, — სწერდა თორნიკე. — კავკასიონის ქედთან მოქმედ არმიამი პოლკის შვილობილი გამხდარა. სურს შური იძიოს მამისათვის. ტოლისაგან არაფერი ისმის. თუ ევაკუაცია ვერ მოასწრეს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩებოდა.

მეც გავიპარებოდი, მაგრამ დედა მუშაობს და ვატუს მარტო მე ვუვლი...“

იმ ღამით ვახტანგმა ვერ დაიძინა. ფიქრობდა, ლოგინში ტრიალებდა.

დედა ორჯერ-სამჯერ ადგა, შუბლზე ხელი დაადო, სიცხე ხომ არა აქვსო, მაგრამ ვახტანგი თავს იმძინარებდა... გათენებისას მზად ჰქონდა სამოქმედო გეგმა.

დალილ ბიჭს მკვდარივით ჩაეძინა.

**საიდუმლო უბაგი**

ზარმა ის-ის იყო შეწყვიტა წკრიალი, ვახტანგმა სკოლის ეზოში რომ შეიბრინა.

დაგვიანებული ბიჭი სქელლანჩავა-მოკერებული ფეხსაცმლის ბრახაბრუხით ავარდა კიბეზე.

დერეფანში სიჩუმე იყო.

ვახტანგი დაუთქაუნებლად შევიდა თავის საკლასო ოთახში, რომლის კარზე ტუშით შესრულებული წარწერა იყო მიმაგრებული: „მე-5 კლასი“.

გეოგრაფიის მასწავლებელმა, რომელიც საჩვენებელი ჯოხით რუკასთან იდგა, კარისკენ მოიხედა და ვახტანგს გაოცებით მიაჩერდა; ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქანთარიამ გაკვეთილზე დაიგვიანა და შიშმა



ვაჰკრა გულში: ვაითუ ფრონტიდან რაიმე ცუდი ამბავი მიიღესო, რაჯიშო.

— რატომ დაიგვიანე? — მექანიკურად ჰკითხა მასწავლებელმა და, როცა ვახტანგმა თავის გასამართლებლად ცხვირში რალაც წაიდუღუნა, გულზე მოეშვა.

— კარგი, დაჯექი, მეორედ აღარ დაიგვიანო, — თქვა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო: — ასე, ჩემო კარგებო, შორია ბერლინამდე! ეს პოლონეთია, ეს ჩეხოსლოვაკია და აი, მხოლოდ აქედან იწყება გერმანიის სახლვარი.

მოსწავლეები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს საჩვენებელი ჯოხის მოძრაობას რუკაზე.

ბერლინამდე რომ მიგეღწია, ურიცხვი მდინარე, უამრავი ქალაქი და უთვალავი სოფელი უნდა გაგველო. შორი, ნამდვილად შორი გზა იყო ბერლინამდე!

...კარლო ჩიხლაძის მერხზე წვრილად გაკეცილი ქალაქი დაეცა. კარლომ ქალაქი აიღო.

„საიდუმლოა“ — ეწერა ერთ განაქვეყნებ.

„დღეს რაზმის შეკრების შემდეგ მოდი წყალწითელას გამოქვაბულში. სამხედრო საიდუმლოებია.

წერილი მოსაგე...“

**ვახტანგი.**

კარლომ სამჯერ წაიკითხა ბარათი. შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად აქცია და მერხის უჯრაში შეყარა.

გაკვეთილების შემდეგ მე-5 კლასი პიონერთა ოთახში ჩავიდა. აქ უკვე ელოდათ რაზმის ხელმძღვანელი, მე-9 კლასის მოსწავლე გოჩა დათუსანი.

გოჩა ქალაქის მოსწავლეთა ჩემპიონი იყო კრივში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რაზმში.

საიდანღაც პიონერებმა ისიც გაიგეს, რომ გოჩას განცხადებით მიუმართავს კომკავშირის ქალაქკომისათვის და ფრონტზე მოხალისედ წასვლა უთხოვია, მაგრამ უარი უთქვამთ: ერთი წელიც მოიცადე, ბარემ სკოლა დაამთავრე და მფრინავთა კურსებზე გაგზავნიტო.

გოჩამ რაზმის წევრთა თხოვნით კრივის სექცია ჩამოაყალიბა, ოთხშაბათობით და შაბათობით ბიჭებს თითო საათს ამეცადინებდა სპორტდარბაზში.

დღეს რაზმის შეკრების თემა იყო: „გვეძახის დედასამშობლო!“

ხელმძღვანელმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარის პატაკი ჩაიბარა. პიონერები ლაპარაკობდნენ იმაზე,





თუ როგორ შეაგროვეს ბოთლები ფრონტისათვის, საჩუქრები და თბილი ტანსაცმელი წითელარმიელებისათვის. დასახეს ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების გეგმა: ბიჭები ზამთრისთვის შეშას დაუხერხავდნენ და დაუჩენდნენ; გოგონები პატარების მოვლაში დაეხმარებოდნენ ქალებს, რომლებიც ქალაქში სანაგურების სათხრელად გაჰყავდათ.

რაზმის შეკრება სამწყობრო სიმღერით დაამთავრეს.

მდინარე წყალწითელასთან, სიმინდის ყანებისა და ბოსტნების იქით, ერთი ბნელი გამოქვაბულია. იგი საიდუმლოებითაა მოცული.

წყალწითელაზე საბანაოდ წასულ ბიჭებს გამოქვაბულში კი შეუხედავთ, მაგრამ შიგ ღრმად შესვლა ვერ გაუხედავთ. ამის მიზეზად ხან ღროის უქონლობა მოუმიზეზებიათ, ხან კიდეც — ფარნისა.

აი, ამ გამოქვაბულთან დაუნიშნა პაემანი ვახტანგმა კარლოს. ეს იყო ვახტანგის მიერ მოფიქრებული დიდი ოპერაციის პირველი ეტაპი.

ვახტანგს უნდოდა ერთხელ კიდეც დარწმუნებულიყო თავისი არჩევანის სისწორეში, მოესინჯა, ხომ არ სცდებოდა ამხანაგში. ბიჭები გამოქვაბულთან შეჩერდნენ. სხვა დროს სიამოვნებით მოტებდნენ ჭყინტ ტაროებს და თხილის წვეკლაზე წამოგებულს იქვე გაჩაღებულ კოცონზე შეწვავდნენ. ახლა არც გახსენებიათ, რომ გამოქვაბულიდან ორიოდ ნაბიჯზე სიმინდის დატარებული ყანა შრი-ალებდა. ისინი რაღაც დიდის მოლოდინში იყვნენ.

ბიჭების ფეხის ხმაზე გამოქვაბულ-

ში თავდაღმა დაკიდებული ღამურა დაფრთხა და გამოსასვლელს მიაწყდა.

კარლოს ფერმა გადაკრა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ფუ, მეზარება ღამურა, თავს უფრო ვიტან, ვიდრე ამას, — თქვა და გვერდზე გადააფურთხა.

— შევიდეთ! — მტკიცე ხმით თქვა ვახტანგმა და პირველმა შეაბიჯა. კარლო უყოყმანოდ მიჰყვა.

თხუთმეტოდ ნაბიჯი მდუმარედ გადადგეს. ვახტანგის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და შიშობდა, კარლომ ეს გულისძგერა არ გაიგონოსო.

სწორედ ამავი საზრუნავით იყო შეპყრობილი კარლოც.

სიღრმეში რაღაცა გაიფაჩუნა.

— ხელიკებია, — თქვა ვახტანგმა, თუმცა გულში სხვას ფიქრობდა.

„თუ გამოქვაბულის ბოლომდე გავედით, მაშინ ვეტყვი, თუ არა და, არ ღირს,“ — ასე ჰქონდა ჩაფიქრებული ვახტანგს თავისი გეგმა.

უხაროდა, რომ ამხანაგი შეკითხვებს არ აძლევდა და გერჯერობით მხნედ მისდევდა.

უკვე ისე დაბნელდა, რომ კედლებზე ხელის ფათურით მიიწევდნენ წინ. თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს. პირვანდელი დაძაბულობაც შეუხედავდა.

მოულოდნელად გამოქვაბული დამთავრდა. ირგვლივ ხორკლიანი ქაყის კედლები შემოჯარულიყვნენ.

— დამთავრდა! — სიხარული ვერ დაფარა ვახტანგმა.

— არ ყოფილა მაინცდამაინც დიდი. რამდენი ხანია, რაც მოვდივართ? — იკითხა კარლომ.

— ორმოციოდ წუთი, — მიუგო ვახტანგმა.

ახლა დრო იყო გამოტყდომოდა ამხანაგს, რისთვის მოაწყო ეს უცნაური „ლაშქრობა“.

— ჩემი ამხანაგი კოლია ნიკოლავი ფრონტზე წასულა, მამისათვის შურის საძიებლად, — დაიწყო ვახტანგმა.

კარლო ისევ მამაზე ფიქრობდა. როცა აქ მოდიოდა. ახლა, თითქოს მდუმარე გადაასხესო, ისე შეკრთა.

— როგორ? — იკითხა მან.

— გაპარულა. ჩაჯდებოდა ეშელონში და გაიპარებოდა. კოლია ისეთი ბიჭია, ყველაფერს მოახერხებს. მთავარია, როგორმე მიაღწიო ფრონტის ხაზამდე, მერე უკან ვინღა მოგაბრუნებს.

— მე... მეც ვფიქრობ... — ენა დება კარლოს. — მამაჩემის დაღუპვის ცნობა რომ მოვიდა, მეორე დღესვე მიწოდდა წასვლა, მაგრამ დედაჩემი მეცოდებოდა.

— მამაჩემის წერილი მივიღე. მისი





დივიზიიდან ბევრი აღარ დარჩენილა ცოცხალი. კავკასიონზე კი ფაშისტებს არ გადმოვუშვებთ, თუნდაც ყველა ჩვენგანი აქ, ამ მთებთან დავეცეთო, — მწერს მამა. — მაგრამ ვინ უნდა დაიცვას კავკასიონი, თუკი დივიზიები სისხლისგან იცლებიან? არა, აქ ვერ გავჩერდები, — თქვა ვახტანგმა, — ფრონტზე უნდა წავიდე.

— მეც, ვახო, მეც... ერთად გავიპაროთ, — სიბნელეში ხელი ხელზე მოუჭირა კარლომ.

— მაგრამ ამას მომზადება უნდა.

— მოვემზადდით.

— ჯერ შტაბი შევქმნათ და მასში ყველაზე საიმედო ბიჭები შევიყვანოთ.

— მერე? — სულწასულად ჰკითხა მეგობარს კარლომ.

— სამუშაო გეგმა მოფიქრებული მაქვს. შტაბში ხუთი ბიჭი იქნება. შენ ვის ენდობი?  
— გვიქსანდობოვლოს, — უყოყმანოდ უპასუხა კარლომ. — რაც მამა ომში დაეღუპა, გულჩათხრობილი გახდა, ამხანაგებთან აღარ დადის, მაგრამ ისე, ხომ იცი, ოქრო ბიჭია.

— მართალია. მეც ასე ვფიქრობ. ვოლოდია სმირნოვზე რა აზრის ხარ?

— ძალიან საიმედო ბიჭია. კარლომ და ვახტანგმა შტაბში კიდევ ერთი ამხანაგი — ლიონია კახაკოვი შეიყვანეს, რომლის მამა უკრაინაში დაიღუპა, და საიდუმლო შტაბის პირველი დამფუძნებელი სხლომა შაბათისთვის დანიშნეს.

**ოპერაციის „შაბი ამხანაგი“**

სალამოს რვა საათისათვის შტაბის წევრები საფიჩხიის ეკლესიასთან შეიკრიბნენ.

შტაბის უფროსი ვახტანგ ქანთარია დღეს ოპერაციას ატარებდა, რომლის კოდური სახელწოდებაც იყო „შავი კენჭები“. ოპერაციის მიზანი გახლდათ ნებისყოფის განმტკიცება შიშის დაძლევის. საფიჩხიის სასაფლაოს ხუთი სხვადასხვა კუთხიდან ყოველ მათგანს უნდა მოეტანა მიტოვებულ, შორეულ საფლავებზე წინასწარ დაწყობილი ნიშანდამული შავი კენჭები.

კენჭები დღისით ერთად დააწყვეს, ახლა კი ცალ-ცალკე უნდა წასულიყვნენ ოპერაციის შესასრულებლად.

საფიჩხიის პლატფორმასთან ის-ის იყო ბაზრობა დამთავრდა, შებინდდა. ახლომახლო სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსული თავშლიანი ქალები მოწინულ კალათებში სწრაფად აწყობდნენ გასაყიდად გამეტებულ, მაგრამ გაუ-

საღებელ მკავე პომიდორს, გრძელფოჩიან პრასს, ჩიტისთავას მხალს და სწრაფად ეცლებოდნენ უბანს, რომელიც საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა.

ბინდი ჩამოწვა. ტყიბულისაკენ მიმავალი რკინიგზა, მწვანე ფერდობზე შეფენილი პატარ-პატარა ქოხები ბნელმა დაფარა. აქა-იქ ფანჯრებში ლამპის მკრთალი სინათლე აციაგდა. ქალაქის გარეუბანი სიჩუმემ და სიბნელემ შოიკვა.

— წავედით! — თქვა ვახტანგმა.

რკინიგზა გადაიარეს და საფიჩხიის სასაფლაოს მიადგნენ.

ღამეულ სასაფლაოზე სამარისებური სიჩუმე იდგა. სიცივისაგან თუ უფრო შიშისაგან ბიჭებს კრიჭა შეკვროდათ და ხმას არ იღებდნენ.

ერთადერთი, რისიც გაბედულებით ცნობილ გვიქსანდობოვლოს ეშინოდა, მიცვალებული იყო, მაგრამ უმაღლესი სიკვდილს ირჩევდა, ვიდრე ამ სისუსტეში გამოუტყდებოდა ამხანაგებს, რომლებმაც ასეთი დიდი ნღობა გამოუტყველეს — საიდუმლო შტაბის წევრად აირჩიეს.

ვოლოდია სმირნოვის ბებია სასაფლაოს ახლოს ცხოვრობდა და ბიჭს არ ეშინოდა სასაფლაოზე ხეტიალისა.

— დრო — ნახევარი საათი. შეკრება ეკლესიასთან. შეუდევით! — მოკლედ გასცა ბრძანება შტაბის უფროსმა და თვითონ პირველი დაადგა ბილიკს.

...ნახევარი საათის შემდეგ აქოშინებული, გაფითრებული ბიჭები, ბედნიერები იმის შეგნებით, რომ კაცურად გაუძლეს პირველ გამოცდას, ეკლესიის კარებთან იდგნენ და ოფლიან ხელისგულს მაგრად უჭერდნენ შავ კენჭებს.

**გამზრდა**

შეშაყარა ხანია გათავდა. ბაბუამ ფარცანაყანევიდან ჩოჩილა ურმით ჩამოიტანა ვახტანგის გამხმარი ჭიგოები, ღობის სარები და გომურის აგებაზე მორჩენილი ნაგვერდულები. ურემზე რამდენიმე შარშანდელი ხოკორა კვახი და ერთი ბათმანი სიმინდიც იღო.

ბავშვები სიხარულით ცას ეწივნენ. ბაბუას კოცნიდნენ, წაბლას და ნიკორას ეფერებოდნენ. მთელი ქუჩის ბავშვებმა ქანთარიების ეზოში მოიყარეს თავი. ურემზე მიძვრებოდნენ, ხარებს ზურგზე ახტებოდნენ.

თამარმა გამზრდელ ბიძას უსაყვედურა:

— ასეთი შეწუხება როგორ იქნება?

— რა სალაპარაკოა, შე ქალო, ორი

კაკალი სიმინდი მოვუტანე ბავშვებს, შენ ვანოს ამბავი მითხარი, თუ რა ხარ: როგორ არის რას იწერებ?

თამარმა ჩუმად ამოიოხრა:

— რა ვიცი, ბიძაჩემო, რა ვიცი. აქედან ფეხს არ მოვიცვლითო, კავკასიონზე ჩემის დადგმას არ ვაღიროებთ ფაშისტებსო, მაგრამ ვაი რომ, ძვირად გვიჯდება ეს სიმტკიცეო.

თამარი გაჩუმდა. მერე დასძინა:

— ვახტანგმა მიიღო მამის წერილი. აბა შენ იცი, შვილო, კარგი სწავლით გამახარეო. წუხელ ბიჭები მთელი ღამე ნავთის რიგში იდგნენ. ლამპისთვის ვიზოგავთ — დამდამობით სამხედრო ხალათებზე ღილებს ვაკერებ. ვახტანგი ძალიან გახდა. თვალეები ჩაუცვივდა. ვეკითხები: რა იყო, შვილო, ხომ არაფერი უბედურებაა ჩვენს თავს-მეთქი. „არა, დედა. ნუ გეშინიაო“, — მეუბნება, თან თვალს ვერ მისწორებს. საღამოობით შინიდან გადის. ადრე არაფერს მიმალავდა, ახლა კი აღარაფერს მეუბნება. მეშინია, ბიძაჩემო, ბავშვი არაფერში იყოს გახვეული, ხომ იცი, რა დროა.

ბიძამ ჰალარა წვერზე ხელი ჩამოისვია, დაფიქრდა.

— თამარიკო, შვილო, გამატანე ბიჭი სოფელში. მოვევლით. ბიძია, ხანდახან ცხელ რძეს და წაჭის ფაფას მაინც შეჭამს; შენც შეგიმსუბუქდება. საქმე და დარდი, ჩემთვისაც კარგია... თამარი ბიძას გადაეხვია.

— ახლა მიშველე, ბიძია, ბავშვი არ წამიხდეს, თორემ ვანოს ცოცხალი არ დავხვდები. ხომ იცი, ეს ბიჭი მაინც უცნაურად უყვარს.

— მაგისი დარდი ნუ გექნება. შენ ოთარს მიხედე და ამას კი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

დედამ კარი გამოაღო და ვახტანგს დაუძახა. ბიჭი ურმის კოფოდან ჩამოხტა და კიბე აირბინა.

— რა იყო, დედა!

— ვახო, შვილო, — დაიწყო ბაბუამ, — ჩემთან ხომ წამოხვალ, ბაბუ! უჭირს დედაშენს, შვილო, ორივეს შენახვა. წამო ჩვენთან, არაფერი არ მოგაკლებთ. შენც ქე მომეხმარები პატარას — წისქვილზე გამეგზავნები, სიმინდს დამიფშენი... შევჯდეთ ავერ ურემზე და გავუდგეთ გზას ნელა-ნელა.

— კი, მაგრამ, მე... მე ხომ... არა. მე, მე... არ შემძლია. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროლა ვახტანგმა.

— კაი ერთი, შენმა გაზრდამ, რა არის ახლა აქ ასე შეუძლებელი!

— სკოლა, ბაბუა... ჰო... სკოლა! მე ხომ ვსწავლობ.

— კი, სწავლობ, მარა ცოტა ხანს იქაც ქე ისწავლი სოფლის სკოლაში.



გაისამდე. შენ ხარ ჩემი ბატონი, ღვთის მადლით, ფაშისტებსაც გავედევნით, ომი გათავდება, ჩამოდი მერე და ისწავლე.

ვახტანგის გონება დაძაბულად მუშაობდა. ფრონტზე გაპარვა შტაბმა სწორედ დღეისწორისათვის დანიშნა. ბაბუასთვის წინააღმდეგობის გაწევას ვაითუ რაიმე ეპკვი გამოეწვია. არადა მზადების ამ გადაწყვეტ ეტაპზე სოფელში დროებით წასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— კარგი, ბაბუ, — თქვა ბოლოს ვახტანგმა და ყურის ბიბილოები გაუწითლდა, — წამოვალ, მაგრამ ახლა არ შემიძლია. სიტყვა მაქვს მიცემული გეოგრაფიის მასწავლებლისათვის, რომ ნიშანს გამოვასწორებ. ერთი კვირის შემდეგ თვითონ ჩამოვალ სოფელში. ვერ მოვაგნებ. თურა!

ბიჭის პასუხით ყველა კმაყოფილი დარჩა. თვითონ ვახტანგსაც გაუხარდა, რომ ადვილად იპოვა გამოსავალი.

საიდუმლო შტაბის უკანასკნელმა სხდომამ დამთავრებულად ჩათვალა მოსამზადებელი მუშაობა და ოპერაციის დაწყების დრო დათქვა — 1942 წლის 22 ოქტომბერი, 10 საათი და ნოლ-ნოლი წუთი. შეკრების ადგილი — რიონის ტყე. ზურგჩანთებში — თბილი ტანსაცმელი და საკმლის სამი დღის მარაგი. ოპერაციის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს შტაბის უფროსს ვახტანგ ქანთარას.

ოპერაციის მიზანია, რაღაც უნდა დაუჭდეთ, მიაღწიონ ფრონტის ხაზს მარუხის უღელტეხილის მიმართულებით.

საეარაუდო მარშრუტი: მატარებლით რიონის სადგურიდან სოხუმამდე, შემდეგ გზის გაგრძელება ფეხითაც შეიძლება.

ჩიბეში უდევთ გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან ამოჭრილი რუკა, კომპასი, ორი ყუთი ასანთი, ჭაყვა, ფანქარი და ორადგაკეცილი უჭრედებიანი რვეული.

ზურგჩანთებში: ღაზლის წინდები, ცალთითიანი შალის ნაქსოვი ხელთათმანები, შავი პურის ორცობილა. რამდენიმე ნატეხი შაქარი, ლორის ნაჭრები, ეზოში მოკრეფილი ქლიავი. ვაშლი და ქვასავით მაგარი, ყავისფერბუსუსებიანი „მახრჩობელა“ კომში.



იროლიონ ავროშვილის დაბადების 100 წლისთავი

# ს ა ნ ხ ი ს

## ქ ა რ ნ ი ე რ ა ე ზ ი ს ა თ ვ ი ს

### პ ე ზ რ კ ო ლ ი

# პ ო ე ტ ი





ასი წლის წინათ — 1873 წელს დაიბადა პოეტი, რომელსაც წილად ხვდა დემოკრატიულ-რევოლუციური მიმართულების დამკვიდრება ქართულ პოეზიაში. ეს იყო მშრომელთა ჭირისა და ლხინის მოზიარე, მათი ბედნიერებისათვის მებრძოლი, სამართლიანობის მქადაგებელი ლექსებისათვის მსჯავრდადებული, ხან ცეცხლად ანთებული, ხან ჭმუხვით შეპყრობილი იროდიონ ევლოშვილი (ხოსიტაშვილი).

იროდიონი მშრომელი ხალხის დიდად საყვარელი, პოპულარული პოეტი იყო. ეს სიყვარული თაობიდან თაობას გადმოეცა, რისი ხილული გამოხატულებაცა ამ სასიქადულო პოეტის საიუბილეო ზეიმი — მისი დაბადებიდან ასი წლის შემდეგ გამართული.

იროდიონ ევლოშვილი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გამოვიდა. მწერლობაში ფენის ადგილისთანავე მთელი ყურადღება მან ბედით ჩაგრაულ, ექსპლოატაციის საგნად ქცეულ მშრომელ ადამიანებს მიაპყრო. ასეთი ადამიანები კი, სოფლებშიც და ქალაქებშიც, დღითიდღე მრავლდებოდა ფულის ვაბატონების, უფლებებაში შესული, მზარდი კაპიტალიზმის წყალობით. ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში, რკინიგზის საწარმოებში მუშაობამ გლეხები და ხელოსნები სიღარიბის კლანჭებიდან ვერ იხსნა. ხელფასად მიღებული გროშები მათი ცხოვრების პირობებს ვერ აუმჯობესებდა.

იროდიონ ევლოშვილმა თავის ლექსებში დიდი გაცდითა და გულისხმიერებით გამოხატა ამ ხალხის ტკივილები და მწუხარება, ფიქრები და მრწამსი. გამოხატა არა ზოგადი ფრაზებით, არამედ კონკრეტული, გულში ჩამწვდომი ცოცხალი სახეებით. იროდიონ ევლოშვილის პოეზიაში მკითხველი ნათლად ხედავს არა ერთ-მანეთში ათქვეფილ მშრომელთა მასას, არამედ ერთმანეთისაგან ხასიათითა და ხელობით განსხვავებულ, მაგრამ ერთი მწარე ბედის მქონე ადამიანებს: ხედავს შენობების მხურავ ანტონას, ვინც სხვათა სახლების თავმორთულობის ცნობილი ოსტატია, თვითონ კი ქუდიც არა აქვს; ხედავს მქსოველს, რომელმაც შექმნა მდიდრის ტანზე დიდებულად მორგებული ქულაჯა, თვითონ კი კონკად ქცეული ფარაჯა აცვია; ხედავს სოფლის ბობოლას ხელში ჩავარდნილ მოჯამაგირეს — ლუქმაპურისათვის გატანჯულსა და დამცირებულს; ხედავს ისეთებსაც, რომლებიც სიღარიბესა და სიღუბნით გაუტეხია,

მორალურად დაუცია და ლოთებად და მაწანწალებად გადაუქცევია... მკითხველი იროდიონის პოეზიაში მდიდრებსაც ხედავს, გული ქვად რომ ქცევიათ, გაბღინძულან და სიბრაულის გრძნობა დაჰკარგვიათ. მდიდრები ზიზღს იწვევენ მკითხველებში, მშრომელები — თანაგრძნობას. მაგრამ იროდიონ ევლოშვილი ისეთი ტემპერამენტისა და დაუდგრომელი ბუნების შემოქმედი იყო, მშრომელთა სავალალო ცხოვრების მართო მჭვრეტელად და ამსახველად ვერ დარჩებოდა. ცხოვრების ორომტრიალში მოქმედ პოეტს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ცხოვრების საკეს დაპატრონებული მდიდრები არაფერს დათმობდნენ, თავიანთი ბედნიერების ნასუფრალის ნამცეცხსაც არ გაიმეტებდნენ მშრომელთათვის. ამიტომ თვით მშრომელებს უნდა ემოქმედათ ბედნიერების მოპოვებისათვის, თვით უნდა აეღოთ ხელში ცხოვრების საკეს. საჭირო იყო ბრძოლა, უსამართლობის დათრგუნვა, მდიდართა ქიმაგი და მათი უფლებების განმტკიცებელი თვითმპყრობელობის დამხობა. მხოლოდ მაშინ შესძლებდნენ ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლებული, უფლებამოპოვებული მშრომელები ბედნიერების მომტანი ახალი ცხოვრების აგებას.

იროდიონი მთელი ხმით მოუწოდებდა ყველას, ყველას — ტვირთმძიმეთ და უუფლებოთ, შეუპოვრად ებრძოლათ სამართლიანობისათვის. ბედნიერებისათვის. ეს გააზრებული საბრძოლო სულისკვეთება არის იროდიონ ევლოშვილის პოეზიის ისეთ სიმაღლეზე ამტანი, საიდანაც გარკვეული მიზანიც ჩანს და მისკენ მიმავალი გზაც. იროდიონის ბევრი ლექსი სწორედ ამ გამიზნულმა საბრძოლო სულისკვეთებამ აქცია იარაღით საჭიროდ თავისუფლებისათვის საბრძოლველად ფეხზე დამდგარი მშრომელებისათვის. ხალხის გულში დამკვიდრებულ და მოქმედ იროდიონის ლექსთაგან გამორჩეული სიყვარული და პატივი ერგო ბრძოლის პათოსითა და გამარჯვების რწმენით აღსავსე ლექსს „მეგობრებს“. ეს ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება გამოქვეყნებისთანავე აიტაცა მშრომელთა ხალხმა და თავის საბრძოლო ჰიმნად აქცია. სად არ გაისმოდა სიმღერის ჰანგთან შერთული იროდიონის სიტყვები:

**მეგობრებო, წინ... წინ გასწიო,  
ნუ შედრკება თქვენი გული,  
დე, მკერდს სისხლის დადი აჩნდე  
და შუბლს ოფლის ნაკადული!**

იმ დროს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეს, მომავალ

დიდ საბჭოთა პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის იმდენად მოსწონებოდა, რომ განუცდია იროდიონ ევლოშვილს ლექსი „მეგობრებს“, რომ ზეპირად უსწავლია.

პოეტი მშრომელთა წრეში ნახულობდა თავიანთ ბედზე დაფიქრებულ, საბრძოლო სულისკვეთებით აღსავსე ადამიანებს, შემოპყავდა ისინი თავის ლექსებში და მათი მართალი სიტყვითაც გამარჯვების რწმენით ალაგზნებდა ჩაგრულთა გულს.

საქართველოში მომუშავე მუშათა რევოლუციური წრეებთან სიახლოვე და ურთიერთობა კიდევ უფრო ამაღლებდა იმ სიყვარულს, რომელიც იროდიონს თავისი პოეზიით ჰქონდა მოპოვებული მშრომელთა შორის. მეფის ხელისუფლებას სიმშვიდეს ურღვევდა პოეტის ლექსები და მოღვაწეობა. 1909 წელს იროდიონი დააპატიმრეს, ხოლო 1910 წელს ბორკილად დადებული ჩრდილოეთში — ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს. „მივდივარ, ბორკილს მივაჩხარუნებ, მიტომ, რომ თვითონ გაძევს ბორკილი!“ — მიმართავდა სამშობლოს გადასახლებაში მიმავალი პოეტი. იროდიონი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. გადასახლების წინ მისთვის რომ უთქვამთ, რა მოგიმზადოთ ციმბირში წასაღებადო, იროდიონს უპასუხია: „რა უნდა მომიმზადოთ! მხოლოდ ბოღბისხევეური მიწა, ის ჩემი გამჩენი და სატანჯველად გამზრდელი ერთი მუქა მიწა“.

გადასახლებიდან იროდიონი 1912 წელს დაბრუნდა, ჯანგატეხილი. ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. 1916 წლის მაისში გარდაიცვალა.

ბევრის გაკეთება მოასწრო იროდიონ ევლოშვილმა. სულ 43 წელიწადი იცოცხლა და ისიც სიღარიბეში და მოუსვენარი ცხოვრებით. თავისი ნიჭის გამონაშუქი ბავშვებსაც უწილა. ბევრი ლექსი და მოთხრობა დაწერა მათთვის. საბავშვო ლექსებში პოეტი უმთავრესად სამშობლოს მთაბარიტ მოხიბლული ბავშვების გართობასა და ლალ ბუნებას ასახავდა. არ ელაპარაკებოდა ბავშვებს მშრომელთა დუხჭირ ცხოვრებაზე, შიმშილსა და სიღარიბეზე. მაგრამ იროდიონ ევლოშვილს აქვს ბავშვებზე დაწერილი ლექსები, უფრო მოზრდილთათვის გათვალისწინებული, რომლებშიც პოეტი იმავე ენით ელაპარაკებოდა ბავშვებს, როგორც — უუფლებო მშრომელებსა და თანამოქმედებს. ამ ლექსებში მოუტირებლად, ხმის გამოუცვლელად შთაგონებდა მოზარდებს, თუ რა მძიმე იყო მეფის ხელისუფლებით განმტკიცე-



ბული მდიდართა ბატონობა. — რა დაგიმალთ, — ეუბნებოდა იროდიონი ყმაწვილებს, — გაიზრდებით და თვითონვე გამოსცდით უუფლებობასა და დამცირებას, სიღარიბესა და კმუნვასო.

ლექსი „ნანა“ უფრო სიფხიზლის მომგვრელია ბავშვებისათვის, ვინც ძილისა:

ნანა, ნანინა, შენი გულისა,  
ჩუ! რამ შევიკრთო უმანკო ძილი?  
ნუ გეშინია ჯაჭვით ჟღარუნისა,  
ქუჩაში მიდის რკინის ბორკილი.

ნათლად წარმოსადგენია, რა ბევრი და რა ჩვეულებრივი დასანახი ყოფილა ბორკილდადებული პატიმარი. ამავე ლექსში ასევე ხატოვნადაა წარმოსახული შიმშილი:



სხადან (მარცხნიდან მარჯვნივ): იროდიონ მკვდოშვილი, ბახანა, შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა და მისი ვაჟიშვილი ლავანი; დგანან: თედო და სანდრო რაჭიკაშვილები (ვაჟას ძმები).



ნახავ ფარაჯას ზურგზე გუდითა,  
გახსოვდეს, ქვია იმას შიმშილი.  
მეორე ლექსი „ახალი ნანინა“ ცხოვრების ასეთსავე დამალონებელ სურათს ხატავს, ოღონდ აქ, ლექსის ბოლოში, გაიეღვებს მომავლის რწმენა. დედა ეუბნება შვილს:

მწამს, რომ, შვილო, დაიქროლებს  
სულ სხვა ნიავით!  
ის იქნება განთიადის  
წინამორბედიო!  
ჩვენ, ტანჯულთაც, გაგვიღიმებს  
ერთხელ სვებედიო.

ლუქმაპურისათვის თავაუღებელი შრომა ბევრ მშრომელს არ აძლევდა

საშუალებას, შეიღისადმი მშობლიური სიყვარული და მზრუნველობა გამოეჩინა. ასეთ პირობებში ბავშვები ბედის ანაბარა იზრდებოდნენ. ზოგი მათგანი ზნეობრივადაც ფუჭდებოდა: მუშტებს იქნევდა ქუჩაში, შეურაცხყოფას აყენებდა გამვლელთ, პოლიციაში მიყვანასა და მიტყუებას ჩირადაც არ ავდებდა. ასეთი ბავშვების საქციელს იროდიონ ევლოშვილი გულისტკივილით ასახავდა: ხედავდა, მათ ხელებზე რა მაგარი ხუნდი იყო იღუმალად გამოსახული, რომლის მოხსნა მხოლოდ უსამართლობაზე აგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლის შედეგად შეიძლებოდა.

მძიმე ცხოვრება, უსამართლობის მომძლავრება, ბრძოლის გზაზე წა-

ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი, აბა, ბიჭო, ტანამ-მსვიცვათ და სკოლისკენ წაგვიქაჩა!  
ქართულ საბავშვო მწერლობას განსაკუთრებული ამაგი იროდიონ ევლოშვილმა თავისი ბელეტრისტული ნაწარმოებებით დასდო. მისი მოთხრობები — „ორი ობოლი“, „კაკანათი“, „უბედური ქორბუდა“, „ჭკვიანი ბასარა“, „ჩახმახოს წინდა“, „მწყემსი გაგნა“, „მოვიტანე“, „ია“ და სხვა მრავალი ჩვენი საბავშვო მწერლობის საუწეგაა.

„ორი ობოლი“ მძაფრი სოციალური შინაარსის მქონე მოთხრობაა, რომელშიც შემოქმედის მახვილი თვალთ არის დანახული გალატაკებული გლეხის უიმედო ცხოვრება. ქალაქმაც ვერ უშველა საბრალოს, ლუქმა-



ფორხილება და იმედის გაცრუება იროდიონ ევლოშვილში იწვევდა გულგატეხილობასა და სევდას. მაგრამ პოეტი თავისსავე თავში ორივეზე იმარჯვებდა, ისევ და ისევ მებრძოლი და მძაფრი მოქალაქეობრივი პოზიციის მებეირახტრედ რჩებოდა.

იროდიონ ევლოშვილს ეკუთვნის დიდად პოპულარული, სწავლა-ცოდნისაკენ მომწოდებელი ლექსი „ჭერი, ჰერი!“ იგი ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოების მშვენიერებაა და, ალბათ, ასეთივედ დარჩება დიდხანს. რომელი ბავშვი არ წარმოთქვამს სიამოვნებით ხვალაც, ზეგაც: „მზემ

პურის მოპოვებისათვის შრომაში აღუპება. უნუგეშოა ყოფა ქვრივად ცარჩენილი ცოლისა და ორი ობოლი ბავშვისა. ქუჩაში სამათხოვროდ გასულ ობლებს მდიდრები თვალს არიდებენ, თუ ეზოში შესული დაინახეს, უყვირან, თავიდან იშორებენ. თეატრში კი, როცა პიესა „ორი ობოლი“ გადის, იმდენი გრძნობა აღმოაჩნდებათ, რომ სილატაკით გაწამებული ობლების ხილვით თვალზე ცრემლი ადგებათ.

რა კონტრასტია, რა ერთმანეთის საწინააღმდეგო ქცევები! ასეთი მხატვრული ხერხით მწერალი მკითხველს ეუბნება: ცხოვრებაში ეს გულქვა,



ხოლო თეატრში თვალზე ცრემლმომდგარი მდიდრები ადამიანებიც არიან და არც არიანო.

მოთხრობა „მწყემსი გაგანა“ მკითხველს აცნობს პატარა სოფელ ბიჭს, რომელიც ყველაზე ხიბლავს მინდობილი საქმისადმი ერთგულებით. შეურყვანელი ბავშვური ბუნებით, ცნობისმოყვარეობით. იგი თავმოყვარეც აღმოჩნდება: არ სურს, გაიგოს სოფელმა თავისი კულდვარდა ხარის, კოჭლი ცხვისა და წვერცანცარა თხის მწყემსობის დროს როგორ მოტყუვდა, ჩხიკვის დამცინავი ხმა ჭერძალის ყეფად რომ შემოესმა, მერე — თიგნის კოცინად.

„ია“ უფრო პოეტური ხასიათის მქონე ნაწარმოებია. მასში მეტია პირობითობა და ფანტაზია. მკითხველი ცოცხლად ხედავს, როგორ მოიწვეს ია ზემოთ, ამოსასაყენებლად. მოიწვეს ისე გულდიდად, თითქოს უხარმაზარი მიწა ედოს თავზე და მარლვევდეს. აღმოცენებული რომ დაინახავს, რა დიდი ყოფილა ქვეყანა და ზემოდან რა ვრცელი ცა ჰქონია გადმომხობილი, უფრო გამედიდურდება: — მეგონა, მარტო მიწა მედო თავზე, თურმე ცაც მდებიაო, — და ყველა ცოცხალ არსებას ანუგეშებს, პატრონობას ჰპირდება. ნაწარმოებში ამ ნაზი ყვავილის ასეთი მოულოდნელი, მისთვის შეუფერებელი საქციელით წარმოსახვა ჰიპერბოლურია, იუმორით შეფერილი, რაც მწერლის მიერ გამიზნულია მკითხველის დასაფიქრებლად, თურმე ნაზ არსებაშიც იმალება მედიდურობა.

იროდიონ ევდოშვილის ბელეტრისტულ ნაწარმოებთაგან სანიმუშოდ რამდენიმეზე შევჩერდით. მაგრამ ასევე შეიძლება ითქვას სხვა მოთხრობებზეც, რადგან ყველა მათგანი თავისი სიცოცხლით ცოცხლობს. თუ ერთში გვხიბლავს სიყვარული დიდებულის, პაპებისა და შვილიშვილებისა, მეორეში დედისა და შვილის სიყვარული ჩქეფს, სხვებში ასახულია კეთილი მეზობლობა, სიბრალულისა და სინანულის გრძობა, მშობლიური მიდამოების სიყვარული და სიმშვენიერე, შრომის მაღლი და ცხოვრების ბევრი სხვა მხარე.

იროდიონ ევდოშვილი ასეთი სიყვარულითა და გულისხმიერებით წერდა საბავშვო ნაწარმოებებს. ამიტომ არის, ასე ბუნებრივად რომ ამშვენებს ბავშვების მიერ მოტანილი ყვავილთა თაიგულები ასი წლის იროდიონის საიუბილეო ზეიმს.

**გიორგი კაჭახიძე.**



# კაჭახიძე გიორგი

**ბოლარძი  
ჭივიშილი**

მოთხრობა

მხატვარი  
წ. მამარიაშვილი.

მწუხარებით გულდამძიმებული ბიჭი მოპირდაპირე შენობის ლოჯიის კუთხეში იჯდა და თავისი ბინის ღია ფანჯრებს თვალს არ აცილებდა. აქედან კარგად მოჩანდა: ლოჯია, ოთახი, რაც მთავარია, მეორე ოთახის კარი და არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი. რკინის გისოსებიან მოაჯირს ხან მკლავებით ეყრდნობოდა, ხან ნიკაპით და ფანჯრებისკენ ცქერას განაგრძობდა. ზოგჯერ ფეხზე წამოვარდებოდა, იმისდა მიხედვით, თუ რა ხდებოდა მის ბინაში. საკმარისი იყო ოთახისაკენ წასული ან ოთახიდან გამოსული დედა დაენახა, რომ უკვე ფეხზე იდგა სმენადამბული, საუწყამოწითლებული და სუნთქვააჩქარებული. რადაც საშინელს ელოდა და დედის მოქმედებით, გამომეტყველებით უნდოდა გამოეცნო, რა ხდებოდა იქ. ჯერჯერობით ვერაფერს ატყობდა, არც საეჭვო ხმაური გაუგონია და, რამდენჯერაც წამოდგა, იმდენჯერვე ოდნავ დამშვიდებული დაეშვა სკამზე.

მესამე კვირა იყო, სკოლიდან დაბრუ-

ნებული უგემურად წაისადილებდა, მერე წიგნებს, რვეულებს უხალისოდ აიღებდა, თითქოს თავისთვის ამბობსო: ამხანაგთან მივდივარ სამეცადინოდ, და კარს გაიხურავდა.

ამხანაგი, მასავით თორმეტი წლის ბიჭი, რომელსაც ცისფერი თვალები ჰქონდა, ახლომხედველი იყო და სათვალე ეკეთა; იქვე ცხოვრობდა, მოპირდაპირე სახლის მეოთხე სართულზე. ბიჭი ეზოს გადაირბენდა და სადარბაზო შესასვლელს მიაშურებდა.

ბიჭს წითელზოლიან მაისურზე დიდი ციფრებით თერთმეტი ნომერი ეწერა. იმიტომ კი არა, რომელიმე სახელგანთქმული მარცხენა გარემარბისათვის მიეებაა, როგორც ამას მასზე უმცროსი, თანატოლი თუ ცოტათი უფროსი ბიჭებიც სჩადიოდნენ ხოლმე — დაიტყუებდნენ ზურგზე გამოჩენილი ფეხბურთელების ნომრებს და, მე ისა ვარ, მე — ისო, გაიძახოდნენ. იგი, შინაგანი და ფიზიკური მონაცემებით, როგორც მწვრთნელი ამბობდა, მარცხენა გარემარბად იყო დაბადებული.





ბიჭი კვირაში სამჯერ დადიოდა სავარჯიშოდ, ორჯერ — ამხანაგებთან ერთად, ერთხელ კი — საკუთარი სურვილით. განსაკუთრებით შაბათი დღე უყვარდა, რადგან მეორე დღით საკოლაში არ მიდიოდა და, რამდენ ხანსაც უნდოდა, იმდენ ხანს ვარჯიშობდა.

ბავშვთა სტადიონი, სადაც ის და მისი თანაგუნდელები იკრიბებოდნენ, ქალაქის განაპირას, უზარმაზარ პარკში იყო მოთავსებული. პარკში კი რა არ იყო: კინოთეატრი, კაფე-სანაყინე, სამხეცე და ათასნაირი გასართობი.

სტადიონიდან შინ მიმავალი ბიჭი ყოველთვის პარკში გამოივლიდა ხოლმე. კაფე — სანაყინეში ნამცხვარს შეჭამდა, ნაყინს ან გაზიან წყალს დაყოლებდა და გასართობისკენ გარბოდა. თვითმფრინავებიანი კარუსელისათვის და ელექტრომანქანებისათვის ჭკუას ჰკარგავდა. განსაკუთრებით მანქანები იზიდავდა. შინ ისე არ წასულა, სამჯერ მაინც არ ჩამჯდარიყო. უხაროდა, სხვის დაუსმარებლად რომ დააქროლებდა მანქანას. ერთი ჯერი რომ დამთავრდებოდა, მამა, რომელიც იქვე იდგა, და, რა თქმა უნდა ხედავდა ბიჭის აღფრთოვანებულ სახეს, მომდევნო ჯერის ბილეთს წინასწარ ყიდულობდა.

როცა ბიჭს ვარჯიში ჰქონდა, მამა ყოველთვის გამოივლიდა ხოლმე სამსახურიდან სტადიონზე. დასავეეთის ტრიბუნის მეშვიდე ან მერვე რიგში, კიბის გვერდით დააფენდა გაზეთს, დაჯდებოდა და თვალყურს ადევნებდა ვარჯიშს. პირველ ხანებში ბიჭი უკმაყოფილო იყო, მამა რომ ვარჯიშს ესწრებოდა. ამ დროს მწვრთნელის შენიშვნები თავმოყვარეობას უდიზიანებდა, რცხვენოდა და ფიქრობდა: რამ მოიყვანა! ვეტყვი, აღარ მოვიდესო, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ამის თქმა. მერე თანდათან შეეჩვია და ახლა უკვე წარმოუდგენლადაც კი მიაჩნდა, მამა რომ არ დაეხანა სტადიონის ამოჩემებულ ადგილზე კიბის გვერდით მჯდარი. იარუსისაკენ წამით თავმობრუნებული როცა მამას მოჰკრავდა თვალს, ოდნავ წინ წამოხრილი რომ იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და მზის სათვალდიდან უცქერდა, ბიჭი უფრო მონდომებით ვარჯიშობდა და ყველაფერი უკეთ გამოსდიოდა.

გუნდი „გაზაფხული“ დიდი შეჯიბრებისათვის ემზადებოდა. შეჯიბრი ივნისის ბოლოს, სკოლებში გამოცდების დამთავრების შემდეგ უნდა გამართულიყო და „იმედის თასი“ ეწოდებოდა. ბიჭი „გაზაფხულის“ იმედი იყო. ვიდრე იგი გუნდში მოვიდოდა, მწვრთნელი, ჭაღრატიანი, საშუალო ტანის კაცი, რომელსაც სახელიც ჰქონდა და გვარიც, მაგრამ ყველა მასწავლებელს ეძახდა, თავის მუშაობას სიზიფის შრომად თვლიდა, რადგან იცოდა, ისეთი ძლიერი

მოწინააღმდეგეები ეყოლებოდა მის გუნდს, საპრიზო ადგილის მოპოვების იმედს კი არ უღვივოდა გულში. მაგრამ მოვიდა თუ არა მაცულისფერთვალა ბიჭი, ვეფხვივით ფეხმარდი, საზრიანი და ჭკვიანი, საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. ბიჭებმა რომ დაინახეს, მაცულისფერთვალა საოცარ ცრუ მოძრაობებს აკეთებდა, თვალის დახამხამებაში უკან იტოვებდა მცველებს, მეკარესაც და ბურთიანად შედიოდა კარში, თხა თხაზე ნაკლები მეგლმა შეჭამოსო, — იფიქრეს და მოუმატეს და მოუმატეს თამაშს. მწვრთნელის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ვარჯიში რომ დამთავრდებოდა, ბიჭი საშხაპეს მიაშურებდა, მერე ჩაიცვამდა, წაბლისფერ, მოკლედშეკრევილ თმას გვერდზე გადაივარცხნიდა, სპორტულ ჩანთას მხარზე მოიგდებდა და მამისკენ გარბოდა, მთავარ შემოსასვლელთან რომ ელოდებოდა.

მამა აკოცებდა, მხარზე ხელს გადაჰხვევდა და მიდიოდნენ. ბიჭს იგი დაღლილი ეჩვენებოდა. ამას წინათ მამამ (იგი ისტორიის მასწავლებელი იყო) სხვა, ქალაქის გარეუბანში ერთ-ერთ სკოლაში შეთავსებით აიღო გაკვეთილები და ბიჭს არ უკვირდა, ორ ადგილზე მუშაობით და აქეთ-იქით რბენით რომ დაღლილიყო. მას მხოლოდ ის აკვირვებდა, რატომ იტვირთავდა თავს ასე მამა და ერთხელ ჰკითხა კიდევ. მამას გაეღიმა, თამში თითები შეუყუცა და აუჩქარა. რაკი არაფერი უპასუხნია, ბიჭიც აღარ ჩასძიებია. მერე დედა გაახსენდა, მთელ ქალაქში რომ საუცხოო კბილის ექიმად ითვლებოდა და დაასკვნა: თუკი იგი პოლიკლინიკიდან დაბრუნების შემდეგაც იღებს ავადმყოფებს, რატომ უნდა მიკვირდეს მამის ორ ადგილზე მუშაობაო. მისი დაღლილი სახე კი მაინც სევდას გვრიდა. მაგრამ ეს — საღამოობით, დღით კი მამა ისევ მხნედ გამოიყურებოდა, ღიღინებდა, თან აჩქარებით ხერყდა ჩაის, სკოლაში რომ არ დაგვიანებოდა, ხუმრობდა.

სტადიონიდან გამოსულები შინ ისე ვერ წავიდოდნენ, პარკი არ გაველოთ, სადაც ბიჭს ნამცხვრებით და ნაყინით პირის ჩატკბარუნება, თვითმფრინავებიანი კარუსელი და მანქანები ელოდა.

ასე იყო თოხი თვის განმავლობაში, ასე იქნებოდა ამ ორი კვირის წინათაც, მაგრამ იმ საღამოს, იარუსისკენ მიბრუნებულმა ბიჭმა მამამისი ვერ დაინახა. ვარჯიში შეწყვიტა, ბურთს ფეხი დაადგა და, თუმცა არ სჯეროდა, რომ მამა ადგილს გამოიცვლიდა, მაინც გულდაგულ მოათვალა იარუსები, სადაც აქა-იქ მჯდარი რამდენიმე გულშემატკვირის მეტი ვერავინ შენიშნა. „ის მეორე სკოლა სადაც გადაკარგულშია, ალბათ ტრანსპორტმა დაავიანა“, — გაიფიქ-

რა ბიჭმა და ბურთის კენწვლე ვარჯიშით. ყველაფრით კენწვლედა: მხრებით, მკერდით, მუხლებით...

ათიოდე წუთის შემდეგ იარუსს ისევ მოავლო თვალი და მხრები აიწურა: მალე ვარჯიშს დაამთავრებდნენ, მამა კი არ ჩანდა.

„ნეტაე რა მოხდა?“

ბიჭს გუნება წაუხდა. იმედი მაინც არ დაუკარგავს, სადაცაა აქ გაჩნდებოდა. წარმოიდგინა: როგორ ჩამოუვარდა ტროლეიბუსს ბიგელი და მამა ავტობუსში გადაჯდა. მერე ავტობუსის საბურავი დაემვა და ტროტუარზე გადმოსული მამა, სტადიონზე დაგვიანებით შეწუხებული, მანქანებს უწევს ხელს. არ უჩერებენ. ზოგი დაკავებულია, ზოგი სხვა გზით მიდის. ბოლოს, როგორც იქნა, ცარიელმა ტაქსმა ჩამოიარა, გააჩერა, ჩაჯდა და მოდის მამა, მოისწრაფვის, რადგან იცის, რომ ბიჭი შერეულია მისი თანდასწრებით ვარჯიშს, ელოდება, გული ეტკინება, რომ არ მოვიდეს...

„ათვერ აქენწვლაში მოვა!“ — გაიფიქრა ბიჭმა და თვალა დაიწყო: „ერთი, ორი... სუთი... შეიდი... ცხრა...“ მეთედ ბურთი გაცილებით მალეა აადლო... „სადაცაა შემოვა...“

მაგრამ იმ საღამოს ისე დამთავრდა ვარჯიში, წაბლისფერთმიანი, მზემოკიდებული კაცი სტადიონზე არ გამოჩენილა.

ბიჭმა დაიბანა, ჩაიცვა, თმა დაივარცხნა, სპორტული ჩანთა მხარზე გადაიკიდა და მთავარი შესასვლელისაკენ გაემართა.

კარგა ხანს იდგა და ელოდა. ფეხათრული, იქნებ შემომხედესო, პარკის შუაგულისაკენ გაემართა. ისე ჩაუარა კაფე-სანაყინეს და გასართობებს, არც ნამცხვრის ჭამა მოჰგონებია და არც ნაყინისა, არც თვითმფრინავებიანი კარუსელზე დაჯდომის სურვილი აღძვრია და არც მანქანაზე. თავჩაქინდრულმა გრანიტის მაღალი კიბე აათავა, ქუჩიდან პარკში რომ ეშვებოდა, და ავტობუსის გაჩერებისაკენ წავიდა.

ბიჭს უზომოდ უყვარდა მამა. თვითონაც არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი: ხშირად ერთად ყოფნა, ერთად სიარული კინოში, თეატრში, სტადიონზე და გასართობებზე, მისი დაღლილი თვალები, თბილი, კეთილი ღიმილი თუ ამყოლი ხასიათი? არა, არ იცოდა ბიჭმა ამის მიზეზი, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ საოცრად უყვარდა მამა და უმისოდ ვერც ვარჯიშზე ყოფნა წარმოუდგენია, ვერც გართობა და ვერც ვერაფერი. დღევანდელი დღე კი მისთვის რალაც ახალი, უჩვეულო იყო და გული ეწურებოდა.

ავტობუსი გაჩერდა. ბიჭი წინა კარიდან ავიდა და ფანჯარასთან დაჯდა.

„რატომ არ მოვიდა მამა?“ — ფიქ-









ქართული  
შპსი უსსოალი მწერალთა  
კავშირები

ბულგარეთის სახალხო  
რესპუბლიკის ლიბიტროვის  
სახელმთავროს პიონერული  
ორგანიზაცია „საბავშვობრივი“

ბულგარეთის პიონერული ორგანიზაცია შეიქმნა 1944 წლის 23 სექტემბერს, ორგანიზაციას „სექტემბერი“ ან სექტემბერის აღსანიშნავად დაერქვა ამ დღეს ბულგარეთი გერმანულ ფაშისტთა უღლისაგან გათავისუფლდა. პიონერულ ორგანიზაციას ბულგარელი ხალხის ბელადის გიორგი დიმიტროვის სახელი აქვს მისიქებული.

დიმიტროვის ორგანიზაციაში ერთიანდებიან 9-14 წლის ბავშვები, რომლებიც ორგანიზაციაში შესვლისას ფიცს დებენ:

„მე, თავისუფლების მოყვარე და გამირი ხალხის შვილი, ხალხისა და ჩემი ამხანაგების წინაშე ვდებ ფიცს, რომ დაუზარებლად ვიბრძოლებ სამართლი ფრონტის საქმისათვის, გიორგი დიმიტროვის საქმისათვის ფიცს ვდებ, ვისწავლო და ვიშრომო ისე, რომ გავხდე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქე, გავხდე ჩემი მშვენიერი სამშობლოს თავდადებული დამცველი“

ბულგარულ პიონერებს (გოგონებს) აცვიათ თეთრი ზედაწელი და მუქი ქვედაწელის კაბა, ბიჭებს თეთრი ბლუზა და მუქი შარვალი. ბიჭებსაც და გოგონებსაც უკეთიათ პიონერული ყელსახვევი და პიონერული ნიშანი.

7-8 წლის პიონერები ერთიანდებიან ჩავდარეულთა ჯგუფებში. მათ ასე უწოდებენ სახალხო გამირის, ლეგენდარული ვოევოდის, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლის ჩავდარის პატივსაცემად. პატარა ჩავდარელები ცისფერ ყელსახვევებს ატარებენ.

ახლა დიმიტროვის ორგანიზაციაში 100 ათასამდე პიონერი და ჩავდარეულია. ისინი ატარებენ შეკრებებს თემებზე: „მეგობრობის კოცონები“, „სოსოვლით ტრიბუნა“ და ბევრი სხვა. აგრძელებენ სახსრებს პანოში ასაგები საბავშვო კოსპიტლისათვის, რომელიც ახალგაზრდა ბულგარელი არქიტექტორების პროექტით აშენდება. ბულგარულ ხალხს კარგი მომავალი თაობა ეზრდება, რომლის ღვიძლია: „სოციალიზმის საქმისათვის, სამშობლოს ბედნიერებისათვის იყავ მზად!“

იქნებ ჩემთვის ნაყიდი ახალი სპორტული ჩანთა, ბურთი, ბუცები აწაპნა რომელიღაც ავაზაკმა და იმაზე ინერვიულა?... ამას წინათ მეუბნებოდა, ესენი დაგიძველდა, ახლები უნდა გიყიდიო. იქნებ სკოლიდან სკოლაში სიარულმა უყო ყველაფერი?... პირველი ცვლის მესხუთე გაკვეთილს რომ აქ ჩაატარებდა, მეორე ცვლის პირველი გაკვეთილისთვის იქ უნდა მიესწრო... შეიძლება, იმ კაცმა ატკინა გული, რომლის შესახებაც ჩემად, მაგრამ ადელეგებით უამბობდა დედას... ოჰ, ერთი მანახა ის საძაგელი, თვალებს ამოუვრიქნიდი, სულს გავაფრთხობინებდი. — ბიჭს თვალები ცრემლებით ავესო. — რა კარგი იყო წინათ!.. ყველგან ერთად ვიყავით — ვარჯიშზე, ვარჯიშის შემდეგ... მხიარულად დავსეირნობდით პარკში... მერე თვითმფრინავიანი კარუსელი, ჩემი მანქანები!.. რამდენი ხანია, აღარ ჩავმჯდარიარ... პირველად რომ დავჯექი, ტარება არ ვიცოდი და სხვა მანქანებს ვაჯახებდი. მანქანებს რუზინის ბრტყელი ცალტეები ჰქონდა და დაჯახებით არაფერი მოსდიოდათ, მაგრამ შუაში რომ გავიჩხირე, ბიჭებმა ყვირილი ატყეს, გზა ჩაკეტაო, და აღარ ვიცოდი, რა მექნა... ამ დროს მამამ დამიძახა: „წრეზე გადაიყვანე, გიგი, წრეზე!“.. როგორც იქნა წრეზე გადავიყვანე მანქანა და თავისუფლად ამოვისუნთქე... აუჰ, რას დავაქროლებდი! რა ბედნიერი ვიყავი, რა გახარებული... მინდა მე ისე... მინდა...“ — ბიჭს ბოლმა ნერწყვის ყლაპვას უშლიდა, რკინის მოაჯირს თითებს უჭერდა, მკლავები ეძაბებოდა...

...თმაგაჩეჩილი, ჭროლათვალებიანი კაცი, ბოროტი ღიმილი რომ უთამაშებს სახეზე, გამწარებული გარბის, თან უკან უკან იხედება, ბიჭი მეწვეა თუ არაო. ბიჭი სულ ახლოსაა, სულ რაღაც ათიოდენაბიჯზე — მუშტებშეკრული, თვალბგაალმასებული, შეშინებული ჭროლათვალება უმატებს და უმატებს სირბილს...

წინ მინდორია, ტრიალი, უკაცრიელი... მთავარია, მინდორი გადავირბინო, მეგრე ხევია და ჩავძვრები, ჩავიმალეობო, — ფიქრობს აქლომინებული ჭროლათვალება. ბიჭის სუნთქვა ზურგს უკახ ესმის... აჰა, ხევიც! ჭროლათვალებას იმედი მიეცა, ახლა კი გადავრჩიო, რომ ამ დროს ხევიდან ბიჭის მეგობარი ცისფერთვალება და სხვა თანაკლასელები ამოვარდნენ კეტებმომარჯვებულნი და გზა გადაუჭრეს... მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ჭროლათვალებამ გვერდის ავლა სცადა, მაგრამ ფეხი აუცდა, თავი ვეღარ შეიკავა და ხევში გადაიჩხება...

— გიგი! — ნაცნობი ხმა მოესმა და გამოერკვა. ქვევით გადაიხედა. ცისფერთვალება ბიჭი ეუზოში იდგა და ბავშვ ხელები მიეღობა:

— ჩამოდი, ბიჭო, ჩამოდი! ექიმი იყო...

— მერე?!

— მამაშენი უკეთაა. ბიჭს აღარ ახსოვს, როგორ გამოვარდა გარეთ, როგორ გაჩნდა ეუზოში, როგორ აირბინა კიბე... დედამ რომ ღიმილით გაუღო კარი, ჩაეხვია და სიხარულისაგან სიცილ-ტირილი აუტყდა...

მაყვლისფერთვალება ბიჭს წითელზოლიან მასურზე დიდი ციფრებით თერთმეტი ნომერი ეწერა. თანაგუნდელებთან ერთად დარბოდა სტადიონზე და ვარჯიშობდა. მამა, ჩვეულებისამებრ, დასავლეთის ტრიბუნაზე, კიბის გვერდით, მერვე რიგში იჯდა და უცქერდა, როგორი მონღომებით ვარჯიშობდა იგი. დროდარო ბიჭი იარუსისაკენ თავს მიაბრუნებდა და ხედავდა მამის კმაყოფილ, გაღიმებულ სახეს; მართალია, ეს ღიმილი როგორღაც გაცრეცილი, უფერული ეჩვენებოდა, მაგრამ არ უკვირდარადგან მამა ნაავადმყოფარი იყო.







ზაპრო  
საპედაგოგიური  
მარტანის  
ლუბელთან.

თეორ სხვადა

ფოტო  
პ. ედიგარაზვილინა.

# გეგმის პროფესია

ჩვენი საუბარი პროფესიის არჩევას ეხება — მეტისმეტად სერიოზულ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ალისფერ ყელსახვევებს ატარებთ, უკვე დამდგარია დრო, როდესაც მომავალზე უნდა ფიქრობდეთ, ამთავითვე საზღვრავდეთ, რომელ გზას დაადგეთ: მოკლეს, რომელიც სკოლიდან პირდაპირ საწარმოში მიდის, თუ გრძელს — ჯერ ბედი სცადოთ უმაღლეს სასწავლებლებში, დაამთავროთ იგი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეთ შრომას.

თუ პირველს ირჩევთ, შეგიძლიათ პროფესიული და საშუალო განათლება ერთდროულად მიიღოთ; პროფტექნიკური სასწავლებლიდან პირდაპირ საწარმოში მოხვდეთ და თქვენს თანატოლებს, რომლებმაც ჯერ უმაღლესი სკოლისაკენ გასწიეს, სულ ცოტა, ექვსი წლის შრომის სტაჟით გაასწოროთ. ექვსი წელიწადი კი ცოტა როდია. ექვს წელიწადში შეიძლება გახდეთ მოწინავე მუშა, რაციონალიზატორი, თაოსანი, რომელთანაც სწავლობენ.

ამ წერილში სწორედ იმათ შესახებ გიამბობთ, რომლებმაც სწორედ ის პროფესია აირჩიეს, რისთვისაც მოწოდებულნი იყვნენ და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება, ძალა და ნიჭი საყვარელ საქმეს მოახმარეს.

ასეთები ყველგან არიან, ყოველ საწარმოში, ყოველ სოფელში, ყოველ უბანზე.

ჩვენი არჩევანი მეტად განსაკუთრებული მოსაქმეობის ადამიანებს ხვდათ: მეფოლადეებს.

რატომ მაინცდამაინც მეფოლადეებს?

ჯერ ერთი, ჩვენი წინაპრები ამ ხელობას მისდევდნენ კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, რითაც მთელს მაშინდელ სამყაროში სახელი გაითქვეს. ამდენად, ეს ჩვენი ერის ისტორიული პროფესიაც არის.

მეორე: დღეს ფოლადი უაღრესად აუცილებელია განვითარებასთან ერთად განუზომლად ფართოვდება მისი მოხმარების არე — მანქანა-დანადგარები, ქალაქების მშენებლობანი, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ელექტრო და წყალსისტემები, ერთი სიტყვით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. თვით მეცნიერება და ხელოვნებაც წარმოუდგენელია ფოლადის გარეშე. იგი არის უსაჭიროესი მასალა, რომლისაგანაც იქმნება ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

ამასთანავე მეფოლადეობა ძალზე ვაჟკაცური პროფესიაა. იოლი კეთილდღეობის მაძიებელი კაცი მეფოლადე ვერ გახდება. მშიშარა, ნებასუსტი, თავის მანებივრებელი ამ საქმეს ახლოსაც არ ეკარება. მეტალურგიაში ბოლომდე მხოლოდ მამაცები რჩებიან და ლელოც მათ გააქვთ.

ბევრის სახელს თქვენამდეც მოუღწევია. ზოგს პირისპირაც შეხვედრიხართ, რადგან ხშირად იწვევენ მათ საზეიმო პიონერულ შეკრებებზე.

მეფოლადეობა ცეცხლთან ჭიდილის პროფესიაა. სწორედ ცაში ატყორცნილი აკვამლებული მილებით შორიდანვე იქცევენ ყურადღებას რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ქარხანა დიდია. განიერი ქუჩა, რომელსაც შრომის მოწინავეების პორტრეტები ამშვენებენ, მის ყველა საამქრომდე მი-





გიძღვებათ. უზარმაზარი ეზო მწვანე ხეებს დაუწრდილავს. თვალის რომ დახუჭოთ, გუგუნი თუ მხურვალეა გაგრძობი- ნებთ, რომ მახლობლად რომელიღაც საწარმოო უბანია.

ქარხნის გული მარტენის საამქროა, სადაც ღუმელები ძაგ- ძაგებენ და ფოლადი ღღვება. გადასახვევთან სტენდია, რომე- ლიც გამცნობთ, რა დიდი წარმატებებით შრომობენ ფოლადის მღწობელები.

და აი, საამქროც.

ვიწრო რკინიგზის ლიანდაგი უზარმაზარ, ღია შენობაში შეგიძღვებათ, მის ერთ მხარეს ერთმანეთის გაყოლებით ვეება ღუმელები ანთია. მათ მოპირდაპირედ კი თითოეულის სა- მართავი აპარატურები ღდას. სკალებზე ისრები უჩვენებენ, რამდენია ლითონის ტემპერატურა. იგი არ შეიძლება 1600 გრადუსზე ქვემოთ ჩამოვიდეს, მაგრამ არც 1640-ს უნდა გა- დააჭარბოს. გორავაზე ჩანს, წესიერად მუშაობს თუ არა ღუ- მელი. აქვე კვამლსადენში, რადგან თუ კვამლის წნევა ნორმალური არ არის, ვერ მიიღებ სასურველ მხურვალეებს და ფოლადიც უზარისხო ჩამოისხმება. ერთი სკალა მაშუთის ხარ- ვას გვაუწყებს, ერთიც ორთქლისას. მაშუთი და ორთქლი ერთდროულად შედის ღუმელში. მანომეტრი ჰაერის რაოდენ- ნობას იტყობინება. ცალკეა წნევის მზომიც. დიდი ყურადღება და გამოცდილება სჭირდება მეფოლადეს, რომ დნობის პრო- ცესი სწორად წარმართოს და ხარისხიანი ლითონი ჩამოსასხას დროდადრო ამ მაღალ თაღებქვეშ ორთქლმავლის კვირილი გაისმის. მას რკინის ურიკები უბია, რომლებიც ჯართითაა სავსე. ორთქლმავალი რომ გაივლის, გამწყობი მანქანა შემო- დის. იგი მთელი საამქროს სიგანეზე მოსრიალეებს მისთვის სა- განგებოდ დაგებულ ფართო ლიანდაგზე. ავტომატური ნიჩაბი, მემანქანის კაბინა სკალების მხარესაა და იქიდან იმართება. განხილვი ღუმელების ხახაში იყრება სადნობი კაზმი.

ღუმელებს რომ ჩამოუვლის და „დააპურებს“, გამწყობი მანქანა გადის.

სამაგიეროდ, ახლა ჭერი დაიწყებს გრუხუნს და ზანზარს. გამოჩნდება კიდული ქვაბი, 80 ტონამდე ტევადობისა, რომელიც საბრძმედ საამქროდან მოცურავს და გამლღვალი თუ- ჯი მოაქვს. თუჯიც ღუმელებში უნდა ჩაისხას. ნელ-ნელა ყი- რავდება გოლიათი ქვაბი. გადმოდის მდუღარე ლითონის ნა- კადი, მისი ვერცხლისფერი შეფეები ფუვდება და ირგვლივ ფანტასტიკურ ბურბუშულად იფანტება. საამქროში მხურვალე- ბაა. მეფოლადეები ბუქი სათვალეებიდან გასცქერიან ღუმე- ლების ღელვას... გამაყრუებელ ხმაურში ისინი მაინც ახერხე- ბენ ერთმანეთთან ლაპარაკს.

სამი მეფოლადე გავიცნობთ, სამი მეგობარი, ადამიანები, რომლებიც იმ დროს მოვიდნენ აქ, როცა რუსთაველაქს მო- უწყობელი ახლადმოსახლე დაბის იერი ჰქონდა.

მეფოლადეებმა უყოყმანოდ დატოვეს თავიანთი აღმოდე- ბული ღუმელები და პატარა, მყუდრო ოთახში დინჯი, აუჩქარ- ებელი მასლაათი გაგვიბეს. უჩვენობით არაფერი გაფუჭდე- ბაო, დაგვამშვიდეს, თითოეულს ორი ხელშემწყობი გვყავსო. სამივენი დაახლოებით ერთი ხნისანი აღმოჩნდნენ და თით- ქმის ერთნაირი ბიოგრაფიაც ჰქონდათ. წარმატებებიც კი ლა- მის მთლად ერთგვარი ჩამოგვითვალეს.

შოთა შუბითიძე და შაქრო ყაველაშვილი ლაგოდენის რა- იონიდან წამოსულან, ახლო მეზობელი სოფლებიდან — ჭა- ბუბნიდან და ონანაურიდან. ბიჭები ბავშვობიდანვე ამხანაგობ- დნენ და ბოლომდე ერთმანეთს შერჩნენ. გრიგოლ სებისკვერა- ძე კი ზემომიერელია, უბისელი. სამამულო ომის წლებს დაემ- თხვა მათი ყრობა. გამარჯვებამდე წელიწადზე მეტი იყო დარჩენილი, როცა საქართველოს ყველა კუთხეში დაიწყო მსურველთა შერგოვება. წინდაწინ იჭერდნენ კადრების მომზა- დების თადარიგს, რადგან ამ დროისათვის უკვე განზრახული ჰქონდათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგება, და ასო- ბით 17-18 წლის ყმაწვილი დაადგა გრძელ, ძნელ და საინ- ტერესო გზას.

სამწლიანი პროფესიული მომზადება გაიარეს რუსეთის მე- ტალურგიულ საწარმოებში საქართველოდან გაგზავნილმა ჭა- ბუკებმა. ომისაგან დანგრეულ ქვეყანაში სად იყო პროფესი- ულ-ტექნიკური სასწავლებელი! ახალგაზრდები პირდაპირ ქარხნებში მიიყვანეს. თითოეულ ჯგუფს სპეციალისტი ინჟი- ნერი ახლდა, რომელიც მოსწავლეებს თეორიულ კურსს უკი- თხავდა, პრაქტიკას კი საწარმოში, ინდივიდუალურად გადი- ოდნენ გამოცდილ ოსტატებთან.

შოთა შუბითიძე და შაქრო ყაველაშვილი ერთად მოხვდ- ნენ სტალინის მეტალურგიულ ქარხანაში, გრიგოლი კი დნეპ- როძერჟინსკში.

როცა საუბარი უკრაინაში გატარებულ სამ წელიწადზე ჩამოვარდება, მეფოლადეები პირველად თავიანთ მასწავლე- ლებს გაიხსენებენ.

— ჩემი ოსტატი, ალექსეი ჩერნიაკოვი, პენსიონერი გახლ- დათ, — იგონებს შოთა შუბითიძე. — იმ დროს მუშაველი ძალზე ჭირდა. ამიტომ მოხუცებით იყო სავსე ქარხანა. ღუმე- ლებს ხელით ვაწყობდით და დიდი ჯაფაც გვადგა. სამუშაო საათებს ვინ ითვლიდა. თითოეული ჩვენთაგანი იმდენს მუ- შაობდა, რამდენიც შეეძლო. მასპინძლებმა ნდობის თვალთ დაგვიწყეს ცქერა. გულკეთილი ხალხი იყო და ერთმანეთს კარ- გად შევეწყვეთ. ჩვენს გვერდით უწვერული ახალგაზრდებიც მუშაობდნენ, ჩვენზე უმცროსები. გულში ჩამრჩა ვოლოდია ვოლოკოვი.

საუბარში შაქრო ყაველაშვილი ერევა:

— ერთი გალუული ბიჭი იყო, თითქმის ბავშვი, მაგრამ მეტისმეტად მოწადინებული. მე და შოთას არ გვეშორებოდა. მართალი გითხრათ, ძალიან შეგვიყვარდა. ვიქტორ გერასი- მოვი — ჩემი პენსიონერი ოსტატი სამაიას გვეძახდა. აქამდე გრძელდება ჩვენი მეგობრობა. შოთა რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, თურმე ვოლოდია ვოლოკოვიც აურჩევიათ იმ დროს და ერთმანეთს მოსკოვში შეხ- ვდნენ სესიაზე. გაიხარებდნენ, აბა, რა! ვოლოკოვი აქაც გვეს- ტუმრა შევებულებით. სამახსოვრო ღლები იყო!

გრიგოლ სებისკვერაძე დებაროდერჟინსკელებს იხსენებს:

— ჩემი ოსტატიც პენსიონერი იყო, ხალხიანი, ხელგამ- ლილი ვასილ კუჩერი. სულ გულში მიხუტებდა, კეთილ სიტყ- ვას არ იმურებდა, რაც შეეძლო მიფრთხილდებოდა. გაჭირ- ვების წლები იდგა, პური წიგნაკებზე გვეძლეოდა, ძია ვასილს კი საკუთარი სახლი და პატარა ბოსტანი ჰქონდა. ხშირად მე- პატიუბოდა შინ. მრცხვენოდა, უარს ვუებნებოდი, ის კი ხელს გადამხვევდა და ამ ერთხელაც წამოდიო, მეხვეწებოდა. კარგი მოხუცი იყო! ახალგაზრდებიდან კი ვასია კუნეცივს დაუ- მეგობრდი. ისიც ცნობილი მეფოლადეა ამჟამად.

შინ სამი წლის შემდეგ დაბრუნებულან. რუსთავის ქარხანა მხოლოდ შენდებოდა, ამიტომაც სამწლიანმა შევებულებამ მო- უწიათ. ისევ სოფელში წავიდ-წამოვიდნენ. მათთვის საქმე იქაც გამოიხანა.

და აი, 1960 წელიც დადგა. ახალგაზრდებმა ქარხანას მო- აშურეს.

ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შაქრო მშენებ- ლებს ეზოს ვაწმენდაში ეხმარებოდა. ხანაც ჯართს აგროვებ- და. ამასობაში შოთაც ჩამოვიდა და საბოყვე ეზოში გაიჩინეს საქმე. გრიგოლს ცოტა შეავიანდა, ამიტომ პირველი ნადნო- ბის გამოშვებას ველარ დაესწრო.

ამ დღეს ყველა მოუთმენლად ელოდა. 27 აპრილიც გა- თენდა, მეტალურგიული ქარხნის პირველი ღუმელი მწყობრ- ში უნდა ჩამდგარიყო.

დიდი სტუმრიანობა ჰქონდა რუსთავს. პივნიკოვს, რუს მეფოლადეს, ოსტატად ჩერეპენიკოვი წამოყვანა და ჩამოსვ- ლა სხვებისთვის დაესწრო. პირველ ხელშემწყობად შაქრო ყა- ველაშვილი დაეყენებინათ და ღუმელი დიდი გულმოდგინებით გაეწყობთ.

ოთხ საათზე პირველმა რუსთავულმა ფოლადმა მიანათა





გრიგოლ სეზისკვერაძე და შოთა შუბინიძე.

მოდესასწაულე ხალხს. ყველა ზეიმობდა, ახალბედა მეფო-  
ლადეები კი ბედნიერად თვლიდნენ თავს.

გრიგოლ სეზისკვერაძე რომ ჩამოვიდა, მეორე ღუმელი  
მთავრდებოდა, ბევრი საზრუნავი დახვდა: ხელით აწყობდნენ  
კაზმს, ყოველ ათ ღუმელს ქვედაზე გაჩენილ ღრმულებს ასწო-  
რებდნენ. დაზიანებულ ღუმელებსაც თვითონ ლესავდნენ. მა-  
ინც არ წუწუნებდნენ.

— იმ დროიდან მოყოლებული ახალგაზრდობა ჩვენი ხში-  
რი სტუმარი გახდა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მეტალურ-  
გის ხელობის შესწავლა მოუნდომებიათ, — მოგვითხრობენ  
მეფოლადეები და მეუბნებიან იმ დღესაც იხსენებენ, როდესაც ქარხ-  
ნის კომკავშირულ ღუმელში პიონერების მიერ შეგროვილი  
ჯართი ფოლადი ჩამოასხეს; იხსენებენ დიდ საცხრაშეტმა-  
ისო ზეიმს, როდესაც რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან პიო-  
ნერთა ნაკრები რაზმული ჩამოვიდა. ამ დღესასწაულს ჩვენც  
ვესწრებოდით, არ დაგვავიწყდება ბავშვების აღფრთოვანებუ-  
ლი სახეები, რომელთაგან ალბათ ბევრი შეუდგება მეფოლა-  
დეობასო.

— ახლა მეფოლადის შრომას ავტომატები ამსუბუქებენ, —  
ამბობს გრიგოლ სეზისკვერაძე, — ხოლო ტექნიკა ისევ და  
ისევ წინ მიდის და კვლავაც ბევრ სიკეთეს მოიტანს. ახალ-  
გაზრდებს უხაროდეთ, ჩვენი ქარხნის პროფსასწავლებლებში  
რომ სწავლობენ, იმათ, ჩვენ დამწყებნი ვიყავით.

— რთულია მეფოლადის ხელობა, მაგრამ მარტო რთული  
რომ იყოს, აქ არავინ გაჩერდებოდა; საპატიოცაა და ამიტომ  
ბევრი გაბედული ყმაწვილი მოდის ჩვენთან. — მეგობარს  
სიტყვას ჩამოართმევს შაქრო ყაველაშვილი. — შოთაც და  
გრიგოლიც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატე-  
ბად იყვნენ არჩეულნი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის  
ორდენებით დაიმშვენეს მკერდი, მედლებიც და სიგელებიც  
მიიღეს...

— არც შენ არ გააკლია ჯილდოები, ჩემო შაქრო, — სა-  
უბარში ჩაერია შოთა. — და, გარდა ამისა, შენს ბედთან ჩვე-  
ნი ბედი სად მოვა — საიუბილეო მესამე მილიონი ტონა ფო-

ლადის გამოდნობა ხომ შენ გხვდა წილად შენს პირველ  
მელზე, იმ ღუმელზე, რომლითაც პირველი რუსთაველი  
ლადა ჩამოასხი.

ასე საუბრობდნენ ჭარმაგი ქართველი მეტალურგები.  
როდესაც შევეკითხეთ, რა გზას აირჩევდით, ახლა რომ  
თოთხმეტი წლისანები იყოთ-მეთქი, მეგობრებს მეტყველმა  
დიმილმა გადაურა სახეზე, თითქოსდა, ეგ რა საკითხავიაო.  
მერე სიტყვითაც დაგვიდასტურეს: ამაზე სახელგანთქმულ სა-  
წარმოს, ამაზე დიდებულ საქმეს, ამისთანა მეგობრებს, ამის-  
თანა მშვენიერ ქალაქს სად ვნახავთო. როცა აქ მოვდიოდით,  
ვიცოდით, ტრიალი ველების მეტი რომ არაფერი დაგვხვდებო-  
და ახლომხლო, არც ქარხანა იქნებოდა ასე მხრებგაშლი-  
ლი, ყველაფერი ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. იმის წარმოდგენაც  
არ შეგვეძლო, რომ ჩვენი შრომა ასე დიდად დაფასდებოდა და  
მაინც ხალისით მოვდიოდით; ახლა ყველაფერ ამაში საუცხო-  
ოდ ვერკვევით და ზედ კიდევ აქაურობის სიყვარულიც იანგა-  
რიშეთ, რომელიც მაშინ არ შეიძლებოდა გვექონოდა, და პასუსს  
თქვენ თავად მიხვდებითო.

ასე გვიპასუხეს მეტალურგებმა, რომელთაც მეფოლადეთა  
თაობები გამოზარდეს, შესძლეს შეეყვარებინათ მათთვის ეს  
ვაჟაკური ხელობა, შესძლეს იმიტომ, რომ თავად უყვართ  
თავგამოდებით ეს გუგუნა, ბრიალა ღუმელები, ორასი ტონა  
ვარგარა ფოლადი რომ უდუღთ მკერდექვეშ; უყვართ პატარა  
ორთქლმავალი, რკინის ურიკებს რომ დაახრიგინებს, უყვართ  
მდულარე თუჯით სავსე ვეება ქვაბები, სხვენზე ჩამოკიდებუ-  
ლები რომ დასრიალებენ. მარტენის საამქრო მთელი ქარხნის  
მხურვალე გულთა და, ვინც ერთხელ ნახავს, ვედარ მოახერხებს  
მის დავიწყებას, მით უფრო, თუ აქ მუშაობ, — გულგრილი  
როგორ დარჩები!

მაგრამ პროფესიის სიყვარული ერთბაშად არ მოდის. პირ-  
ველად იგი შორიდან იტაცებს ახალგაზრდების სულსა და  
გულს, შორიდან უხმობს და ისინიც მიეშურებიან მის შესას-  
წავლად.

ისევ ხდება, რომ ზოგჯერ მათს გადაწყვეტილებას უფრო-  
სები მხარს არ უჭერენ, პირიქით, ურჩევენ, უფრო იოლი გზა  
ეძებონ, რომელიმე „სუფთა“ ხელობა შეითვისონ და უთითუ-  
ბენ კიდევ ასეთ სასწავლებლებზე. ბევრი ხელს იღებს გან-  
ზრახვაზე, სხვის დარიგებას უკარებებს, როგორც სუსტ მოსწავ-  
ლებებს სჩვევიათ, უგემურად რომ იმეორებენ კარხანს, და ასე  
რჩება ოცნება ოცნებად, სინამდვილისაგან დიდი დაშორებით!  
ასეთ შემობრუნებას მოზარდისთვის ძალზე მავნე შედეგებიც  
შეიძლება მოჰყვეს, სხვების მიერ შერჩეული პროფესია ჭკუაში  
აღარ დაუკდეს, უგულოდ მოეკიდოს, ეს განწყობილება გაჰყ-  
ვეს მას საწარმოშიც, ვერ შეწყოს გარემოს, ვერ იპოვოს თა-  
ვისი ადგილი.

ამიტომ, თუ თქვენი წადილისა და მიზნებისა ღრმად გვე-  
რათ, მისდით კიდევ გულისხმას, ნუ შეგაკრთობთ, უკან ნუ  
დაგახვეინებთ დაბრკოლებები და სიძნელენი. ეცადეთ განიმ-  
ტკიცოთ ეს თვისებები თქვენი ყოველდღიური მოქმედებით,  
რათა გამარჯვება იზეიმოთ.

ეს წერილი იოლი გზის მაძიებლებისათვის არ დაწერილა.  
დაიწერა იმათთვის, ვისაც ცხოვრების მეგზურად მამაცური  
პროფესიების შესწავლა გაუხდრათ და სიძნელეებისა კი არ  
ეშინიათ, არამედ იმას ეძებენ, საპატიო საქმეებში გამოსცა-  
დონ თავიანთი თავი. მეტალურგიული ქარხანა მხოლოდ ასე-  
თებს უხსნის გულს და თავისთან იტოვებს, შემდეგ კი სთავა-  
ზობს ყველა სიკეთეს: საყოველთაო პატივისცემას, საუკეთესო  
სახელს პროფესიაში, მთავრობისა და ხალხის მადლობას და,  
რაც მთავარია, საკუთარი სრულფასოვნების განცდას, სამუშაო  
გარემოს სიყვარულს, როდესაც ერთი შეხედვით უბრალო საგ-  
ნებიც იმდენად ძვირფასნი ხდებიან, არ შეუძლიათ არ მოუ-  
არონ, არ გაუფრთხილდნენ, არ იზრუნონ მათზე.


ასეთია მათი გზა, ვისაც გული ერჩის პატიოსანი შრომი-  
სათვის, ვინც ეძებს და სწორად პოულობს თავის მოწოდებას.



# „ქართლის ცხოვრების“

## კენადი ხელნაწერები

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“  
წუხელის გვიან, გათენებამდღი.  
ბ. ლაონიძე.



„ქართლის ცხოვრება“ ჰქვია ძველ საისტორიო თხზულებათა კრებულს, რომელიც მოგვითხრობს ქართველი ხალხის თავგადასავალს. „ქართლის ცხოვრება“ — ეს იგივე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოა, შედგენილი დაახლოებით ცხრაასი წლის წინათ, შემდეგ მრავალგზის შევსებული, შესწორებული და განახლებული.

ცხრაასი წლის წინათ, XI საუკუნეში, მთავრდებოდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთ ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, რაც ჯერ კიდევ X საუკუნეში ბაგრატ კურაპალატის მეფობით დაიწყო. იმდროინდელი მოწინავე მოღვაწეები კარგად ხედავდნენ ამ პროცესის დიდ პროგრესულ მნიშვნელობას და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მას. ასეთ პირობებში ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნილება ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის გაშუქებისა და იმის ჩვენებისა, რომ ქართველი ტომები წარმოშობით ძმები იყვნენ და ენასთან ერთად ისტორია და კულტურაც საერთო ჰქონდათ.

ამ საპატიო ამოცანის შესრულება თავს უდვია XI საუკუნის მეორე ნახევრის განათლებულ ქართველ მწიგნობარსა და საეკლესიო მოღვაწეს — რუისის მთავარეპისკოპოსს ლეონტი მროველს. როგორც ჩანს, მას შეუკრებია სხვადასხვა ეპოქის ამსახველი საისტორიო ნაშრომები, სისტემაში მოუყვანია და ერთმანეთთან დაუკავშირებია ისინი, ხოლო ცალკეული მონაკვეთები თვითონვე დაუწერია.

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი

ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბიბლიური ხანიდან XI საუკუნემდე, ხუთი თხზულებისაგან შედგება. მათ შორის პირველს ეწოდება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ანუ მოკლედ — „მეფეთა ცხოვრება“, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ისტორია მოჰყავს V საუკუნემდე (ჩვენი წელთაღრიცხვით). ამას მოსდევს „მირიანის ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ ანუ მოკლედ — „ქართლის მოქცევა“, რომელიც ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაზე მოგვითხრობს. შემდეგ მოდის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (V ს.), „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა“ (VI-VII ს.ს.) და „მატიანე ქართლისა“ (VII-XI ს.ს.).

ამ თხზულებათა ავტორობის თაობაზე „ქართლის ცხოვრების“ ანდერძებში ერთგან ნათქვამია: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“. სხვა ადგილას კი ვკითხულობთ: „ხოლო

წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა უამითი-უამად, ვიდრე ვახტანგისამდე, ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჭუანშერ ჭუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სამი თხზულების ავტორად გამოცხადებულია ლეონტი მროველი. ეს თხზულებებია: „მეფეთა ცხოვრება“, „ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“. „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ აღუწერია ჭუანშერს, მეხუთე თხზულების („მატიანე ქართლისას“) ავტორის შესახებ კი არაფერი ვიცით.

აქვე აღსანიშნავია ერთი წინააღმდეგობა, რაც ზემოთ მოყვანილ ანდერძებს შორის შეინიშნება: ერთ შემთხვევაში ლეონტი მროველი დასახელებულია ავტორად სამი თხზულებისა, რომელთაგან ორი ვახტანგ გორგასლის წინა პერიოდს ეხება, მეორეგან კი ამ პერიოდის ამსახველ მონაკვეთზე ნათქვამია, რომ ის იწერებოდა უამითი-უამად, ე. ი. დროდადრო, თანდათანობით. მაშასადამე, ის ერთი პირის ნაღვაწი არ უნდა იყოს. შესაძლოა, ერთმა პირმა (სახელდობრ, ლეონტი მროველმა) რედაქცია უყო და მთლიანი სახე მისცა მას.

ასეა თუ ისე, ლეონტი მროველის დეაწლი „ქართლის ცხოვრების“ შედგენის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია.

„ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი სთხოვს შთამომავლობას, მომავალშიც აღწერონ, რასაც საკუთარი თვალით ნახავენ და რასაც გონება გაუჭრით: „მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან უამან უწყებად მოსცენ გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.





მართლაც, ლეონტი მროველის მიერ დაწეული საქმე შემდგომში სხვებს გაუგრძელებიათ და „ქართლის ცხოვრებისათვის“ დაუმატებიათ ახალი თავები: „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“, რომელიც ეხება დავით აღმაშენებლის მეფობას; „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, რომელიც მოგვითხრობს ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ისტორიას დასაბამიდან XI საუკუნემდე. შემდეგ მოდის თხზულება, რომელსაც პირობით „ლაშა გიორგის დროინდელ მატანეს“ უწოდებენ. მასში მოკლედ აღწერილია დემეტრე მეფის, გიორგი მეფის, თამარ მეფისა და მისი ძის ლაშა გიორგის ცხოვრება. თამარის მეფობის ხანას აშუქებს კიდევ ორი თხზულება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“. ამით მოსდევს უსათაურო თხზულება, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას თათარ-მონღოლთა ბატონობის ხანაში (XIII-XIV სს.).

ამ თხზულებათაგან მხოლოდ ორის ავტორია ცნობილი: ბაგრატიონთა ისტორია აღუწერია სუმბატ დავითის ძეს, თამარის ცხოვრება კი მიეკუთვნება ბასილი ევოსმოდვარს.

სხვა ავტორების ვინაობა უცნობია. ამიტომ მათ პირობით უწოდებენ დავითის ისტორიკოსს, თამარის ისტორიკოსს, ლაშასდროინდელ მემბტიანეს და უამთაღმწერელს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თამარის ისტორიკოსი შეიძლება ჩვენი დიდი პოეტი შოთა რუსთველი იყოს.

უამთაღმწერლის თხზულება თავბოლო-ნაკლულია და გიორგი ბრწყინვალის მეფობის ამბებზე წყდება. ჩვენ არ ვიცით, რა დრომდე მოჰყავდა თხრობა მემბტიანეს. ამ თხზულებით მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ძველი ციკლი.

შემდგომში რამდენიმე საუკუნის მანძილზე „ქართლის ცხოვრებას“ გამგრძელებელი აღარავინ გამოჩენია და საქართველოს ისტორიის აღწერაში დიდი ხარვეზი გაჩენილა. ამ ხარვეზის შევსება სცადეს მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ საქმის მოთავე იყო გამოჩენილი პოეტი — მეფე ვახტანგ მეექვსე, რომელსაც მისი თანამედროვენი ვახტანგ მეხუთის სახელით იხსენიებდნენ. ვახტანგ ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს (1708 წლამდე) შეუკრებია მცოდნე პირები და დაუვალბია მათთვის „ქართლის ცხოვრების“ ძველი ტექსტის გამართვა და ახალი ნაწილის (XIV-XVII საუკუნეთა ისტორიის) დაწერა.

ხანგრძლივი და დიდი შრომის შედეგად შეიქმნა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია, რომლის შესავალშიც ჩატარებული მუშაობა ასეა დახასიათებული: „პატიოსანო და დიდებულნო ქართველნო! უამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყუნილ იყო. რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე უამთა ვითარებათაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწმულმან

სახელოვნის გიორგისმან, შეუკრებულნი მეცნიერნი კაცნი და მოიხუნჯეს, რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს და, რომელი განრყუნილ იყო, განმართეს. და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღწერეს“.


ამრიგად, მცოდნე პირებს ვახტანგის მითითებითა და ხელმძღვანელობით შეუკრებიათ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერები და, ერთი მხრივ, შეუსწორებიათ „გადამწერთა მიერ დამახინჯებული ადგილები, მეორე მხრივ კი შეუვისიათ ტექსტი სიგელ-გუჯრებსა და მეზობელ ხალხთა საისტორიო თხზულებებში დაცული ცნობების საფუძველზე და საქართველოს ისტორიის თხრობა მოუყვანიათ XVII საუკუნის ბოლომდე. ამ მუშაობის შედეგად მივიღეთ „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია ანუ ახალი „ქართლის ცხოვრება“.

ვახტანგის მიერ მოწვეულ სწავლულ კაცთა შორის, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობდნენ, აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანი და ბერი ეგნატაშვილი. ეს უკანასკნელი იყო, როგორც ჩანს, ტექსტზე მუშაობის ხელმძღვანელი.

ვახტანგის მოწვეულმა სწავლულებმა უზარმაზარი სამუშაო შეასრულეს და დიდი საქმე გააკეთეს, მაგრამ საქმის სირთულის გამო თავიდან ვერ აიცილეს მრავალი შეცდომა და ნაკლოვანება. ეს ნაკლოვანებანი შენიშნა და მათი გამოსწორება თავს იდვა ვახტანგ მეექვსის ვაჟმა, გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტიმ. მან ახლად შეადგინა XIV-XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორია, რომელსაც „საქართველოს ცხოვრება“ უწოდა. ამავე დროს მან საქიროდ მიიჩნია დაეწერა ქვეყნის გეოგრაფიული მიმოხილვაც და შექმნა შესანიშნავი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

XIV-XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორია შეადგენს „ქართლის ცხოვრების“ ახალ ციკლს, რომელიც მხოლოდ ვახტანგ მეექვსის შემდეგდროინდელ ნუსხებში მოიპოვება. ასეთი ნუსხები, ბუნებრივია, შედარებით დიდი რაოდენობით არის შემონახული. რაც შეეხება ვახტანგის წინადროინდელ ხელნაწერებს, მათ ჩამოსათვლელად ცალი ხელის თითებიც კმარა.

თავისთავად ცხადია, რომ ისეთი წიგნი, როგორც „ქართლის ცხოვ-




ანასეული „ქართლის ცხოვრება“



რებაა“, ძველთაგანვე დიდ პატივში უნდა ყოფილიყო მკითხველთა შორის. ამ წიგნით ეცნობოდა ქართველი საზოგადოება მშობლიური ქვეყნის ისტორიას. „ქართლის ცხოვრება“ შეიცავდა ძვირფას ცნობებს მეზობელ ხალხთა შესახებაც. ამიტომ მას სხვა ერის განათლებული შვილებიც ინტერესით კითხულობდნენ. ხოლო სომხებს იგი ოდნავ შემოკლებული სახით უთარგმნიათ კიდეც XII საუკუნის მეორე ნახევარში.

ბუნებრივია, რომ ასეთი საჭირო და ნიადაგსამარტი წიგნის ხელნაწერები ძველად საქართველოში ერთი და ორი არ იქნებოდა, მაგრამ უამთა სიავეს მხოლოდ რამდენიმე გადაურჩა. უთუოდ ბევრი ხელნაწერი განადგურდა და უკვალოდ გაქრა ჩვენი ქვეყნის თავს დატეხილ უბედურებათა შედეგად. რომლებიც გადარჩა, ისინიც დაზიანებული და ნაკლებია, მაგრამ მით უფრო ძვირფასია ყოველი მათგანი. თითოეული ამ ხელნაწერის თავგადასავალი მეტად საინტერესოა და ღირს საამბობლად.



„ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესი XV საუკუნის ეკუთვნის. მართალია, მას წუსტი თარიღი არ უზის, მაგრამ გადამწერის ანდერძში მოხსენიებულ პირთა მიხედვით ირკვევა, რომ გადამწერილია 1479-1595 წლებში. ამ ანდერძში ვკითხულობთ: „ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო, და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარმოწამეო, მცველ და მფარველ, მუარსა მდგომელ და განმმარტუბებელ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პატრონთა დედოფალთა დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და ძესა მათსა, ღმრთივ გუიარგუინოსანსა შეტყესა ალექსანდრეს, და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამთ წიგნთა აღწერა, დალაცათუ ჩუნენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერლარა ურჩ ვექმენით“.

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ეს ნუსხა და პირველმა შეისწავლა იგი, დაადგინა, რომ ანდერძში მოხსენიებული პირები არიან საქართველოს მეფის გიორგი მერვის მეუღლე ნესტან-დარეჯანი, მათი შვილი — კახთა მეფე ალექსანდრე და ამ უკანასკნელის მეუღლე ანა.

გიორგი მერვე სრულიად საქართველოს მეფე იყო და ტახტი თბილისში ედგა, მაგრამ სამცხის ათაბაგთან იყო წაკიდებული, რასაც მოჰყვა მათ შორის შეტაკება 1465 წელს. ამ ომში ყვარყვარე ათაბაგმა დაამარცხა გიორგი მეფე და დაატყვევა. დატყვევებულმა გიორგომ სამეფო ტახტი დაქარგა. ერთი წლის შემდეგ ყვარყვარე გარდაიცვალა და გიორგომ ტყვეობას თავი დააღწია. ამის შემდეგ მან კახეთს შეაფარა თავი, სა-

დაც ბევრი მეგობარი ჰყავდა. მეგობრების დახმარებით გიორგიმ მოახერხა საქართველოს ერთიანი სამეფოსთვის კახეთის ჩამოშორება და იქ გამეფება. ასე რომ, თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წელი (1466-1476) გიორგიმ კახეთში იმეფა.

გიორგის გარდაცვალების შემდეგ კახეთის ტახტზე დაჯდა მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც მეფობდა 1476-1511 წლებში. ალექსანდრე მეფე, დედამისი ნესტან-დარეჯანი და მეუღლე ანა დედოფალი ყოფილან „უშეტრის ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მოწამუნენი, მამუნებელნი ეკლესიათანი“. მათ ვანუახლებიანთ აოხრებული ალავერდის ტაძარი და სხვაც ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებიათ.

სწორედ ეს პირები იხსენიებიან შემომოყვანილ ანდერძში. ჩანს, მათ სამივეს მიუღიანთ მონაწილეობა „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერის შემსწავლების საქმეში, მაგრამ უშუალოდ ბრძანება მისი გადანუსხვის შესახებ ანა დედოფალს გაუცია. ამიტომ ამ ხელნაწერს ანა დედოფლისეული (ანასეული) ეწოდება.

ანასეული ნუსხა „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ძეგლებიდან შეიცავს მხოლოდ პირველ ხუთ თხზულებას: მეფეთა ცხოვრებას, ვახტანგ გორგასალის ისტორიას, არჩილის წამებას, მატიაზე ქართლისას და დავით აღმაშენებლის ისტორიას. ამათ შემდეგ კი მასში მოთავსებულია ლაშა გიორგის დროინდელი მატიაზე, რომელიც მხოლოდ ამ ხელნაწერით არის ცნობილი და ანასეულ „ქართლის ცხოვრებას“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორც ჩვენი მკვლევარები ფიქრობენ, XV საუკუნის დამლევს „ქართლის ცხოვრების“ გადამწერს ხელთ ჰქონია ისეთი ძველი დედანი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით მთავრდებოდა და მასში არ მოიხილებოდა არც თამარის ისტორია და არც მონღოლთა დროინდელი ისტორია. სამაგიეროდ ნუსხის რედაქტორს დაურთავს ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მატიაზე, რომელიც შეიცავს დემეტრე მეფის, გიორგი მესამის, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის მეფობათა მოკლე ისტორიას.

ანასეული ნუსხა ნაწერია მსხვილი მხედრული ასოებით, ლამაზი ხელით. მეღანი შავია, სათაურები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილები კი სინგურით (წითელი მელნით) არის დაწერილი.

„ქართლის ცხოვრების“ ეს ძვირ-





ფასი ხელნაწერი შემდგომში როგორღაც ჭამბაკურ-ორბელიანების საკუთრება გამხდარა და ქართლში, სოფელ ლამისყანაში მოხვედრილა.

1918 წელს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეტილი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ესტუმრა ლამისყანაში თავის ნათესავს ა. ჭამბაკურ-ორბელიანს. მასპინძლის საგვარეულო წიგნთსაცავის დათვალიერების დროს იგი წააწყდა ხსენებულ ხელნაწერს.

ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებული იყო: თავში ფურცლები თავგებს შეეკამათ, ბოლო მოხეული ჰქონდა, ფურცლებს კიდეებიც ხშირად ჩამოჭრილი ჰქონდა ალბათ იმის გამო, რომ ამ ცარიელ ჩამონატრებს ბარათებისათვის იყენებდნენ. ტყავვადაკრული ხის უდა მხოლოდ ამ შეჭრილ-შეკვეცილ ფურცლებს ფარავდა. მასასადამე, ის გვიან იყო გაკეთებული. ივანე ჯავახიშვილი ადვილად მიხვდა, თუ რა ძვირფას განძს წარმოადგენდა ეს თავგებისაგან შეჭმული და დაზიანებული ხელნაწერი. გულუხვმა მასპინძელმა წიგნი სტუმარს აჩუქა.

ივანე ჯავახიშვილმა გულდასმით შეისწავლა და დაათარია ანასეული ნუსხა. აპირებდა მის ცალკე გამოცემასაც, მაგრამ 1927 წელს გამოსცა მხოლოდ ლაშა გიორგის დროინდელი მატრიცა, მთლიანად ძეგლის გამოცემა კი ვეღარ მოასწრო. იგი 1942 წელს გამოსცა პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა.

ამჟამად ანასეული „ქართლის ცხოვრება“ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

თუ „ქართლის ცხოვრების“ ერთი ხელნაწერი ანა დედოფლისეულის სახელით არის ცნობილი, მეორე ძვირფასი ხელნაწერი მარიამ დედოფლისეულის სახელს ატარებს. იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში ანასეულზე ადრე იყო ცნობილი, თუმცა თვითონ ხელნაწერი შედარებით გვიანდელია. ეს ხელნაწერი გადაწერილია XVII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მეფის როსტომის მეუღლის — მარიამ დედოფლის დაკვეთით.

თვით მარიამ დედოფალს რთული და საინტერესო ბიოგრაფია აქვს და ზედმეტი არ იქნება ცოტა ხნით მასზე შევჩერდეთ. მარიამი იყო და სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისა (ლევან მეორისა). ის ცოლად ჰყავდა გურიის მთავრის ვაჟს სვიმონს.

**ზურაბ ჭუმბურიძე.**

დასასრული შემდგომ ნომერში



**3000  
როგორ  
სკინავს?**



საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერები ნიერებს ჯერ კიდევ არა აქვთ ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ ხდება დაძინება. არსებობს მოსაზრება, რომ დღის განმავლობაში ტვინში გროვდება მანვე ნივთიერებები (ნივთიერებათა ცვლის შემდეგ დარჩენილი ნაგავი) ანდა საგანგებო საძილე ნივთიერებები. როდესაც ისინი დიდი რაოდენობით გროვდება, ტვინი თავს ანებებს ყველა სხვა საქმეს და გენერალური დასუფთავებისათვის აწყობს ევრეთწოდებულ „სანტიარულ საათს“ — ესე იგი იძინებს.

მართლაც, თუ სისხლს ავუღებთ ძალს, რომელსაც არ აძინებდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში; და ამ სისხლს შევუშნაპუნებთ ეს-ეს არის გაღვიძებულ ძალს, მას უმაღვე დაეძინება. განსაკუთრებით ძლიერი მოქმედების საძილე ნივთიერება იპოვეს იმ ცხოველების ტვინსა და სისხლში, რომლებიც ზამთრის ძილს იყენებენ მიცემულნი. არს, სწორედ ეს ნივთიერებები ეხმარება ზღარბებს, თრიებსა და სხვა ცხოველებს იძინონ წლის მთელი ცივი პერიოდის განმავლობაში.

საძილეს გარდა, ტვინში აღმოაჩინეს საწინააღმდეგო მოქმედების ნივთიერებებიც. სიფხიზლის სტიმულატორი გვეხმარება გაღვიძებაში. საინტერესოა, რომ იგი თანაბრად ბევრია, როგორც გამოძინებულ, ასევე რამდენიმე დღის უძინარ ცხოველებშიც. რა ღრმადაც უნდა გვეძინოს ხანგრძლივი უძილობის შემდეგ, სიფხიზლის სტიმულატორი უსათუოდ გამოგვაღვიძებს.

ადამიანის ტვინში ორგანიზმის ყველა ფუნქციისათვის არის განკუთვნილი სპეციალური საკომანდო პუნქტი. არის თუ არა ისეთი ცენტრი, რომელიც ძილს ხელმძღვანელობს? ხანგრძლივი ძიებას შემდეგ ტვინში მიაკვლიეს ადგილს, რომლის ელექტროდენით გაღვიძანება ცხოველებში იწვევს ძილს — დღისითაც და ღამითაც. მალე აღმოაჩინეს მეორე საკომანდო პუნქტიც — სიფხიზლის ცენტრი. მისი გაღვიძანებით შეგვიძლია ცხოველი გავაღვიძოთ ღრმა ძილის დროსაც კი.

დღესდღეობით ძილისა და სიფხიზლის ცენტრების ნამდვილი მნიშვნელობა დაუდგენელია. ნათელია ერთი: მათში არ არის ძილის ძირითადი მიზეზი. დიდმა რუსმა მეცნიერმა ი. პ. პავლოვმა შენიშნა, თუ თავის ტვინის ნერვულ უჯრედს უხდება ისეთი დატვირთვით მუშაობა, რაც მის დაძაბუნებას იწვევს, იგი კი არ იღუპება, არამედ საბოლოო გამოფიტვამდე კარგა ხნით ადრე წყვეტს მუშაობას და ვარდება განსაკუთრებულ დამუხრუჭებულ მდგომარეობაში. როდესაც თავის ტვინში ბლომად დაგროვდა-





ბა ასეთი დამუხრუჭებული უჯრედები, მაშინ ორგანიზმი იძინებს.

ძილი — საყოველთაო მოვლენაა. ის აუცილებელია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის. თუმცა ჩვენ ჯერ არ ვიცით სძინავს თუ არა მიწისქვეშა სადგომში მყოფ ჭიანჭველას ღამით, ანდა მედუზას. უმოდრაოდ რომ კიღია წყალში.

ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ არიან ცხოველები, რომლებსაც შეუძლიათ უძილოდ ყოფნა. ფიქრობენ, რომ ასეთები არიან მცოხნელები: ძროხა, ცხვარი, აქლემი და სხვ. მართლაც, დღის განმავლობაში ისინი ბალახს ძოვენ, ღამე კი იცხნებიან. გამოდის, რომ მათ არ სცალიათ ძილისთვის.

ასეთებს მიაკუთვნებენ ვეშაპსაც. საქმე ის არის, რომ მას არასრულყოფილი ლაყურები აქვს და იმისათვის, რომ მათში კარგი იყოს წყლის ცირკულაცია და ვეშაპი არ გაიგუდოს, მან გამუდმებით უნდა იცუროს.

და მაინც, აქლემსაც, ცხვარსაც და ვეშაპსაც სძინავთ, მაგრამ მათი ძილი დანაწევრებულია — ტვინის ერთ ნაწილს სძინავს, მეორე კი ფხიზლობს და საცობნი კუნთებისა თუ ფარფლების მოძრაობას მართავს.

ამაში არაფერია საკვირველი. ძილის დროს ჩვენს ტვინს მთლიანად არ სძინავს. ყველაზე ღრმა ძილის დროსაც კი ადამიანი სუნთქავს, ესე იგი რამდენიმე კუნთი მუშაობს. და რაოდენ მარტივიც უნდა იყოს მათი მუშაობა, კუნთებს მა-

ინც სჭირდება მართვა. მაშასადამე, გამოდის, რომ ტვინის სუნთქვის ცენტრი ძილის დროსაც კი არ თვლებს.

დანაწევრებული ძილის მაგალითი ბევრია. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაადგინეს, რომ ჩიტებს შეუძლიათ ძილი ფრენის დროსაც. ყარყატებს სამხრეთში გადაფრენის წინ ორნითოლოგებმა ტანზე სპეციალური ხელსაწყოები მიამარგეს. მათი ჩვენების მიხედვით გამოირკვა, რომ ფრთოსნებს, რომლებიც გუნდის შუაში მიფრინავდნენ, ფრენისას ეძინათ. აი, თურმე რატომ იცვლიან დროდადრო ადგილს ყარყატები ფრენისას. ჩანს, მათთვის აუცილებელია წაძინება, რომ გაუძლონ ასეთი დიდი გზის სიძნელეს.

მინიატურულმა მაგნიტოფონებმა, რომლებიც ამ ფრინველებს ტანზე ჰქონდათ დამაგრებული, ჩაიწერეს, რომ ყარყატებს მწკრივის შენარჩუნებაში ეხმარებათ ხმა, რომელსაც გამოსცემენ გუნდის თავსა და ბოლოში მყოფი ფრინველები.

ფრენისას რომ იძინოს, ყარყატს თავის პატარა ტვინში უნდა ჰქონდეს, სულ ცოტა, ორი მომუშავე პუნქტი, მოძრაობისა და სმენის სფეროში.

რამდენი ძილია საჭირო, რომ ტვინმა მთლიანად აღიდგინოს ძალი? ექიმების უმრავლესობა მიზრდილი ადამიანისათვის 6-8 საათის ძილს მიიჩნევს აუცილებლად. ბევრი ხომ არ არის? ყველაფერი ჩვევაზეა დამოკიდებული. მაგალი-



თად, მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრი გამოჩენილ მოღვაწეს: ბენტონს, ეტეს, შილერს, მირაბოს, ნაპოლეონს მხოლოდ 5 საათი ეძინათ დღე-ღამეში. ცნობილია, რომ ცოტა ძილი მაინც მალა, მაგრამ არც ბევრი ძილია სასარგებლო. დაკვირვება ჩატარდა სტუდენტებზე, რომლებმაც ჩვეული 7 საათის მაგიერ ერთი-ორი საათით მეტი იძინეს. დადგინდა: ამ დღეს ისინი ყველა დავალებას ჩვეულებრივზე უფრო ცუდად ასრულებდნენ.

რამდენი სძინავთ ცხოველებს? ეს ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული. ჩვენში ძილის ჩემპიონი არის პატარა ცხოველი, რომელსაც მძინარას ეძახიან. დღისით ფულუროში სძინავს, მხოლოდ შეზინდებისას იღვიძებს 2-3 საათით, ისიც იმისათვის, რომ ჭამოს. როგორც კი შემოდგომის უამინდობა დაიწყება, მძინარები ჯგუფ-ჯგუფად მოიკალათებენ ხოლმე თბილ ფულუროებში და 7-8 თვის მანძილზე სძინავთ.

ძილისგულები არიან ჩვენი შინაური ცხოველებიც. როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს თქვენი ძალი ან კატა, როცა დღისით შინ მარტო რჩება? ცხადია, უზრუნველად სძინავს, ვიდრე შინაურებიდან რომელიმე არ დაბრუნდება. ღამით ასევე განაგრძობს ძილს.

ფრინველების უმრავლესობაც დღე-ღამის მთელ ბნელ პერიოდს ძილში ატარებს. მხოლოდ ზოგიერთს ემართება უძილობა გაზაფხულზე, და ისინი შეზინდებიდან დაწყებული ხშირად მთელი ღამე გალობენ.

ყველაზე ცოტა სძინავთ ღორმუცელებს. მაგალითად, თხუნულამ დღეში მისი წონა მატლი უნდა შესანსლოს და, აბა, სადა აქვს ძილის დრო! განუწყვეტლივ ჯაფაში მყოფი ძილისთვის მხოლოდ 5 საათს იტოვებს.

უფრო საოცარია დანაწევრებული ძილი. პატარა ბავშვები და შინაური ცხოველები დღე-ღამეში რამდენჯერმე იძინებენ. იგივე შეიძლება ითქვას სელაპებზეც.

ცხოველებს ყოველად უცნაურ პოზებში სძინავთ. ერთი პატარა ტროპიკული თუთიყუში და ღამურა თავდაღმა დაკიდებულები იძინებენ, ღომები და დათვები — პირაღმა დაწოლილები. ამასთან ღომი წინა თათებს მკერდზე იწყობს.

მძინარე თევზების პოზაც სხვადასხვაგვარია... წყალქვეშეთის მკვლევარმა უაკ-ივ კუსტომ ღამით წყალში ყოფნისას აღმოაჩინა, რომ დიდ თევზებს ადამიანებზეც შეუძლიათ გვერდზე წოლა და ისე ღრმად ძილი, რომ მათი გაღვიძება არცთუ ადვილია. მძინარე ადამიანი ყოველთვის უძრავია. მართალია, ხანდახან მისი თვალის გუგა მოძრაობს, თვითონ კი წრიალებს ან ლაპარაკობს. 1934 წელს რუსმა სწავლულმა ბ. ანდრეევმა დაად-





გინა, რომ ადამიანი სიზმრებს სწორედ ამ დროს ხედავს.

ანდრეევის გამოკვლევებს იმ დროს არ მიაქციეს ყურადღება. თუ ძილის დროს ამოძრავდნენ თვალის გუგები, ადამიანი აწრიალდა, შეეცვალა სუნთქვის რიტმი, მაშასადამე, დაერღვა ძილი. გადაწყვიტეს, რომ მოუსვენარი ძილი არანორმალური ძილია და იგი უნდა შეისწავლონ ექიმებმა, რათა უკეთ უმკურნალონ უძილობას.

მხოლოდ ახლახან დადგინდა, რომ ეს არანორმალური ძილი (მას პარადოქსული უწოდეს) არის სწორედ ყველაზე უფრო ნორმალური ძილი.

გამორკვა: როცა ადამიანი იძინებს, ხდება სტადიების თანდათან ცვლა. პირველად ჩნდება მძინარობა, მერე თვლები, შემდეგ ზერელე ძილი, მას სცვლის ღრმა ძილი და, ბოლოს, იწყება სწორედ ამ პარადოქსული ძილის სტადია. ღამის განმავლობაში ოთხ-ხუთჯერ ხდება ძილის სტადიების მთელი ციკლის ცვლა. მაშასადამე, ამდენჯერვე იწყება პარადოქსული ძილის სტადიაც. მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ყველაზე ხანგრძლივია ზერელე ძილის სტადია, რომელსაც მოსდევს პარადოქსული ძილი.

რომელი სტადიაა ყველაზე მნიშვნელოვანი? თუ ადამიანი რამდენიმე დღის უძილოა, მას პირველ რიგში ღრმა ძილი უხანგრძლივდება. საჭიროა თუ არა ამ დროს პარადოქსული ძილი? ამის დადგენა არ გაძნელებულა: მძინარე ადამიანს აღვიძებდნენ უმაღვე, როგორც კი ჩნდებოდა პარადოქსული ძილის ნიშნები. გამორკვა შემდეგი: მიუხედავად

იმისა, რომ ადამიანს საერთოდ საკმაოდ დრო უძინა, მაგრამ მოკლებული იყო პარადოქსულ ძილს. მას მაინც არ ჰქონდა გამოძინებული კაცის შეგრძნება. აქედან დასკვნა: მაშასადამე, პარადოქსული ძილი აუცილებელია.

პატარა ბავშვებს სხვაგვარად სძინავთ, ვიდრე დიდებს. ჯერ კიდევ დაბადებამდე 1 თვით ადრე შეიძლება შეენიშნოთ ნაყოფის ძილისა და ღვიძილის პერიოდების ცვლა.

ახალშობილის ძილი რამდენიმე სტადიისაგან შედგება და მისი პარადოქსული ძილი ჰგავს მოზრდილის ძილის ასეთსავე სტადიას. ღრმა ძილს ბავშვები იწყებენ ორი-სამი წლიდან, ყველაზე ზერელე ძილს კი — 8-10 წლის ასაკში.

პარადოქსული ძილი აქვთ როგორც ცხოველებს, ასევე ფრინველებს: მტრედებს, ქათმებს, ჭკებს, თავგებს, ვირთხებს, ძაღლებს, მაიმუნებს... თევზებს, ბაყაყებს კი პარადოქსული ძილი არა აქვთ.

ხედავენ თუ არა სიზმრებს ცხოველები, რომელთაც პარადოქსული ძილი აქვთ? საფიქრებელია რომ ხედავენ. ძაღლს ძილში თათები უხტის, დროდადრო წკმუტუნებს, ხან საბრალისად, ხან მზიარულად. ხანდახან ყფს კიდევ. ჩანს, ცხოველებს ძილში შეუძლიათ განვლილი დღის ამბების „განცდა“.

ძუძუმწოვრები პარადოქსულ ძილს გაცილებით მეტ დროს უთმობენ, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც თხუნელას მსგავსად, ხანგრძლივი ძილისთვის არა სცალიათ.

პარადოქსული ძილი ღრმაა, ამიტომ

სახიფათოც. საშიშროებისას ვერ მოსწრებ დროზე გაღვიძებას. დიდი მტკიცებულები: ლომები, ვეფხვები, ავაზები; დანებები, რომელთაც სხვისი თავდასხმისა არ ეშინიათ, პარადოქსულ ძილს დიდ დროს უთმობენ და სიამოვნებით ხედავენ თავიანთ ცხოველურ სიზმრებს. ახალშობილი ცხოველები დღე-ღამის უმეტეს დროს პარადოქსულ ძილში ატარებენ. მათ სიმშვიდეს დედ-მამა იცავს.

ახლა ნათელია, რომ ძილის დროს თავის ტვინის მოქმედება არ წყდება. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ თავისი მნიშვნელოვანი აღმოჩენა სწორედ ძილში გააკეთა.

ძველ დროს სიზმრებს რალაც ზეგარდმო ძალეების მიერ მონიჭებულ წინასწარმეტყველებად თვლიდნენ. სინამდვილეში არაფერი იღუმალება აქ არ არის, თუმცა ზოგჯერ სიზმარში ნანახი ახდება ხოლმე. ამას უბრალო ახსნა აქვს — ჩვენი ტვინი ღამით განაგრძობს დღისით დაწყებულ მუშაობას.

აი, ტიპური მაგალითი ასეთი „წინასწარმეტყველური“ სიზმრისა. იმის მაგივრად, რომ ფიზიკა ესწავლა, მოსწავლე გვიან ღამემდე ტელევიზორს უჯდა და გულდამძიმებული დაწვა — აწუხებდა ფიქრი: ვაითუ ხვალ ფიზიკაში ორიანი მივიღო. ღამით ტვინი განაგრძობდა შექმნილი სიტუაციის ანალიზს: 1) მასწავლებელი უთუოდ შეამჩნევს, რომ თავს უხერხულად ვგრძნობ; 2) შეამჩნევს რა ამას, დაფასთან გამიძახებს; 3) როცა გაარკვევს, გაკვეთილი არ ვიცი, ორიანს დამიწერს. მოსწავლეს სწორედ ეს ესიზმრებოდა. მეორე დღეს კი სკოლაში ყველაფერი განმეორდა იმავე რიგით. ესე იგი არაფერი წინასწარმეტყველური სიზმარში არ ყოფილა.

ამჟამად ძილისა და სიზმრის მოვლენებში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევ-დასადგენი. ზოგიერთი სწავლული ფიქრობს, ღამის ძილი სრულეებითაც არ არის დასვენება. დღის განმავლობაში ჩვენი ტვინი აგროვებს ყოველგვარ ინფორმაციას, მაგრამ ვერ ასწრებს მის გადამუშავებას. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ორი საქმის ერთდროულად გაკეთება — ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება არ ძალუძს. ამიტომ, მიიღებს, რა ინფორმაციის საკმაოდ რაოდენობას, იგი წყვეტს მიღებას, ესე იგი იძინებს, რომ თავისუფლად შეაჯამოს განვლილი დღე. საეჭვოა, რომ ამაში იყოს ძილის არსი. მაგრამ გამოთქმულ მოსაზრებაში, შესაძლოა, არის ჭეშმარიტების მარცვალი.

ბ. სარგველი,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ქურნალი „იუნი ნატურალისტი“.








### წიგნები

## წუნუ კარასელიძე

### ოთხი სიმღერა

წუნუ, კერესელიძის ლექსები ხშირად იბეჭდება საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. ამას წინათ გამოვიდა მისი წიგნი — „ია და ნიბლია“, ახლა კი ავტორმა ლექსების პატარა კრებული შემოგთავაზათ. თემატურად წიგნი მრავალფეროვანია. წაიკითხეთ იგი და გაიგებთ, თუ რამ დააღონა დათო ბიჭი, რა აწუხებს ცირკის გალიაში გამოწყვედულ ნადირთა მეფეს, რა უხარიათ სკოლაში პირველად მიმავალ ბავშვებს, როგორ მოხერხებულად და სწრაფად ჰკრფეს ჩაის ფოთოლს საოცარი მანქანა — „საქართველო“. ავტორი ჩვენი ლამაზი მთა-ველებისა და ნაკადულების თავგადასავალსაც გიამბობთ, ლურჯი იებისა და ტყეების ზღაპრასაც გამცნობთ, იმასაც გიმხვლით, თუ რა არის ქვეყნად ყველაზე მთავარი. თქვენისთანა მუყაით ბავშვებზე კი პოეტმა ასეთი ლამაზი ლექსი დაწერა:



გზის პირას, რომ ვერხვებია, გარს ეკალი ახვევია. მოციხცილდა ბექარი, ამოწალდა ეკალი. ხე შრიალდებს ალვისტანა, ბიჭი უნდა ამისთანა. ხოლო დამაღობანას ან ფეხბურთის თამაშის დროს გათ-

ვლა თუ დაგვირდებათ, აი, ისიც:

ბასრი-ბუსრი  
ბასკვინჩილა,  
ცხრა ვარიკა, ცხრა

კვინჩილა:  
ნინო, თამარ, თამთა, ლუკა,  
ერთი კინა, ერთი კურკა.  
ნიშხა, ნიშხა ბალბალუკა,  
აქ მაკა და იქ მამუკა.  
ბექარ-ბუქა, ბაქარ-ბუქა,  
კატამ კული აქარბუქა.  
აი, თეა, გოგდი გოგდა,  
ცეცხლში პური დამიობდა.  
ორი გოჩა, ორი ბაჩა...  
მზე ჩაიღდა, მთეარე დარჩა.  
ეს საინტერესო წიგნი მხატვრულად გააფორმა თქვენთვის ცნობილმა მხატვარმა ზ. მემარიამაშვილმა.

## ანატოლ მარკუზა

### ტიმა შინ და გარეთ

ტიმანაირი უცნაური ბიჭი, ალბათ, არც დაბადებულა ქვეყანაზე. მოთხრობის მთავარი სოკმედი გმირი ტიმა უზომოდ ცნობისმოყვარე ვინმეა: ქუჩაში ამვლეღ-ჩამომვლეღს, შემხვედრს თუ სტუმარს — ყველას შეკითხვას აძლევს. შეკითხვები კი, იცოცხლე, უცნაურზე უცნაური სჩვევია. ხანდახან ისეთ რამეს იკითხავს, საგონებელშიაც კი აგლებს უფროსებს.

თავიდან ტიმას ეგონა, მამამისის სპეციალობაზე — გეოლოგობაზე საინტერესო აღარაფერი იყო ამ ქვეყნად. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაოდენ ვაოცებულნი დარჩა, როცა გაიგო, რომ თეატრის მოღარეობაც, ხარატობაც, რადღაც და ტელემექანიკოსობაც, მირცხაობაც, ფოსტალიონობა და მხატვრობაც არანაკლებ საჭირო ყოფილა თურმე.

ჰოდა, ტიმაც, ჩვენი ტიმოთეც გადაწყვეტს, რომ ყველა ეს ხელობა ისწავლოს, ყველაფერი გაიგოს.

ერთხელ ტიმანთ ტელევიზორი გაუფუჭდებათ. შესაქვებლად მოსული რადიოტექნიკოსი ცისფერი ეკრანის კორპუსში ლურსმანს აღმოაჩენს. როგორ ფიქრობთ, ვინ ჩააგდება ტელევიზორში ამ არაფრისმაქნის ლურსმანს?

კიდევ ბევრი უცნაურობა

ახასიათებს ამ წიგნის პატარა გმირს — ტიმა კუბაცკოს...

დარწმუნებული ვართ, ტიმას საქციელში ბევრ რამეს ნაცნობსა და თქვენულს დაინახავთ.

წიგნი ქართულად თარგმნა ნუნუ გიორგობიანმა.



## ირაკლი უგულავა

### დათუნა ხერხეულიძის თავგადასავალი

მრისხანე ომის წლებმა უპარავი მსხვერპლი შეიწირა. ომი არ არჩევდა მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს... საბჭოთა ხალხი თავდადებული იბრძოდა, რათა ბოლო მოეღო უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილისათვის, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგებისათვის, ფაშისტ დამპყრობთა თარეშისათვის ჩვენს მიწა-წყალზე.



ომში მოხალისედ მიდიოდნენ ხანგადასული მამაკაცები, ქალები და... ბავშვებიც კი. თქვენ იკითხავთ, ბავშვებს ჯარში ვინ გაიწვევდაო, მაგრამ ხომ შეეძლოთ შინიდან გაპარვა, თავისით გამოცხადება ჯარის რომელიმე ნაწილში? გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ ახლახან დასტამბული წიგნის „დათუნა ხერხეულიძის თავგადასავალი“-ს მთავარი გმი-

რიც მშობლებს დაუკითხავდ გაიქცა შინიდან დათუნა ხერხეულიძე — „ხომ იყვნენ ქველად გმირთა-გმირები — მშობლები ხერხეულიძეები? ჰოდა, ცხრანი ისინი და მეთექვსმეტი ვიქნებიო!

აღასრულა კიდევ დანაქადნევი!

დათუნა მტრის ზურგში მოხვედრა და იატაკქვეშელებთან ერთად ბევრ სასახელო საქმეს გააკეთებს. სწორედ მის შემართებაზე, ვაჟაკობასა და გმირობაზე მოგვითხრობს ირაკლი უგულავას ეს საინტერესო წიგნი.

## მარია დიურიჩიკოვა

### დანკა და იანკა

დანკა და იანკა ტყუპები არიან. წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

დანკა და იანკა სკოლაშიც ერთ კლასში დაიარებიან. არ იკითხავთ, რა დღეში ჩავარდა მათი მასწავლებელი დების მსგავსების გამო? როგორ უნდა გაერჩია რომელი იყო დანკა და რომელი იანკა? — სხვა გზა რომ ვერ ნახა, ადგა და ერთი ფანჯარასთან დასვა, მეორე — კართან, იქნებ ასე მაინც არ შემეშალონ ერთმანეთშიო.

მაგრამ გარეგნობით რომ გვანან ერთმანეთს დები, განახსიათებიც ერთნაირი გამოჰყვანთ? აი, სკოლიდან მომავალმა დანკამ თავის დაიკოს ენა გამოუყო, ხალხს კი ეგონა რომ ეს დანკამ კი არ ჩაიღინა, არამედ იანკამ.

როგორ შერიგდნენ დები, რა მოხდა კიდევ მათს ცხოვრებაში? ყველაფერს ამას საინტერესოდ მოგვითხრობს ჩეხოსლოვაკიელი მწერალი ქალი მარია დიურიჩიკოვა თავის წიგნში — „დანკა და იანკა“.







მ ე ლ ა ნ ი



ხელი. ციფლონის კენკრისაგან მიღებული ნივთიერება 1500-ჯერ უფრო ტკბილი გამოდგა.

უ ვ ე ლ ი

ყველი კვების უძველესი პროდუქტია. არისტოტელე ახსენებს კვეთის სხვადასხვა ხერხებს, ვარონი — ყველის გემოზე ცხოველთა საკვებისა და სხვა გარემოებათა გავლენას, ხოლო კოლუმელა აღწერს ყველის კეთების უძველეს ტექნოლოგიას.

დამზადების სხვადასხვა ხერხის წყალობით ერთი და იგივე რძისაგან შეიძლება მივიღოთ 200 ხარისხის ყველი.

რუსეთში ყველის წარმოება დაიწყო 1870 წლიდან.

ყველის დამზადების პირველი დაწერილი რეცეპტი აღმოჩენილია 1890 წლის სამწარეულო წიგნში, რომლის ავტორია ინგლისის მეფე რიჩარდ II შეფ-მწარეული.

ყველი როგორც პირველად დამზადდა საფრანგეთში 900 წლის წინათ.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ აზიაში ყველი ცნობილი იყო ჩვენს ერამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ.

ამჟამად კი მსოფლიოში ყოველწლიურად მზადდება დაახლოებით სამი მილიონი ტონა.

ყველის „ბიბლიოგრაფია“ 6500-ზე მეტი ტომისაგან შედგება.

500 წელია ინგლისში გლოსტერშირის საგრაფოში კუპერ-ხილის ბორცვზე ეწყობა არაჩვეულებრივი შეჯიბრება: ბორცვიდან აგორებენ ოთხკილოგრამიან მრგვალ ყველს. ვინც პირველი დაწევა, ყველს იღებს საჩუქრად.

გასული საუკუნის მიწურულში მსოფლიო გამოფენისთვის კანადის ქალაქ პერტის მეყველეებმა დაამზადეს 10-ტონიანი გიგანტური ყველი, ხოლო ამავე ქა-

მელნის ყველაზე ძველი რუსული რეცეპტი ასეთია: გუმფისოვანი (ალუბლის წებოს) ჭვარტლი უნდა გაიხსნას ჩვეულებრივ წყალში. ესაა ე. წ. „გაჭვარტლული მელანი“.

XV საუკუნემ მოგვცა „მოხარული მელანი“. იგი ასე მზადდება: მუხის ქერქის ერთი წილი, ერთი წილიც თხმელისა, ნახევარი წილი კოპიტი იყრება რკინის ან თიხის ჭურჭელში, ამ ნარევის ასხამენ წყალს და აღუდებენ სანამ ცოტა წყალი დარჩება. წყალი შემდეგ გადაიხსმება სხვა ჭურჭელში, ქერქებს კი დაემატება ახალი და კვლავ მოიხარშება დაბოლოს ქერქებისაგან გაწმენდილ წყალს აღუდებენ. მესამე დღეს იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას საწერად.

XVI საუკუნეში რუსებმა იცოდნენ კიდევ ერთი რეცეპტი — მელანი მზადდებოდა მელნის კაკლებისაგან, ასე უწოდებდნენ მუხის ფოთლებზე წარმოშობილ კორძებს. მათ ემატებოდა ალუბლის წებო, თაფლი და სვიის ნახარში.

„დასაწყისი წითელი ასობით“ — ასეთი გამოთქმა წარმოიშვა იქიდან, რომ სიტყვის დასაწყისი ასობით იწერებოდა წითელი მელნით. მას ამზადებდნენ მუავაში მოხარული საუკეთესო ხარისხის წითელი სანდალოზისაგან. ეს მელანი ძვირი იყო. ამიტომ მას განსაკუთრებით მოშვირნედ ხარჯავდნენ.

უძველეს დროში წიგნებს წერდა რამდენიმე კაცი: კალიგრაფი — სკრიპტოსი მთელ ტექსტს წერდა მელნით. დასაწყისი ასობისათვის დატოვებულ ცარიელ ადგილებს წითელი მელნით ავსებდა რუბრიკატორი, ფიგურალურ ფერად-ფერად ინიციალებს ხატავდა ილიუმინატორი...

შვეციაში, უქსალის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია „ვერცხლის ბიბლია“, რომელიც 1500-ზე მეტი წლისაა. იგი დაწერილია წითელ პერგამენტზე ვერცხლის მელნით.

სსრ კავშირში მარტო მოსკოვის ფერადი საღებავების ქარხანა წელიწადში უშვებს 1 მილიონ ფლაკონ მელანს ავტოკალმებისათვის, ჩვენში 80 ასეთი ქარხანაა.

ალექსანდრე მაკედონელის მებრძოლები პირველნი იყვნენ, რომელთაც შაქარი იგემეს და შეარქვეს „თაფლი უფუტკროდ“.

ევროპაში კი შაქარი XII საუკუნეში შემოიტანეს ჯვაროსნებმა, ხოლო შაქრის წარმოების დამწყებნი სიცილიელები არიან.

შაქარს მის სამშობლოში — ინდოეთში დიდხანს წამლად თვლიდნენ. სამკურნალო საშუალებად მისი გამოყენება დაიწვეს ევროპაშიც, კერძოდ, რუსეთში შაქრის საწარმოებლად შემოდებული იყო განსაკუთრებული სააფთიაქო ბრძანებულება.

წამლად გამოყენებული შაქარი ნამდვილი საწამლავი გამოდგა დიპტერიებისათვის. მაგრამ შაქარს ისე დაეჩვია ადამიანი, რომ საჭირო გახდა მისი სუროგატის გამოგონება.

ბლოკადის პერიოდში საფრანგეთისათვის რომ აცილებინა „შაქრის შიმშილი“, ნაპოლეონმა ერთი მილიონი ფრანკი გამოყო პრემიად იმათთვის, ვინც გამოიგონებდა ლერწმის შაქრის შემცველელ პროდუქტს. ამ პრემიამ სტიმული მისცა შაქრის ქარხლის წარმოებას.

1811 წელს სასახლის მეაფთიაქემ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტმა კირხგოფმა მიიგნო სახამებლიდან შაქრის მიღების მეთოდი.

ქარხალში შაქარი 1747 წელს აღმოაჩინა გერმანელმა ქიმიკოსმა მარკგრაფმა. შაქრის ლერწმის სხვა შემცველებიდან დიდი წარმატებით სარგებლობდა ნეკერჩხლის შაქარი, რომელიც პირველად მიიღეს ჩრდილოეთ ამერიკაში. ერთი ხე იძლეოდა 1,5 — 2 კგ შაქარს.

მსოფლიოში შაქრის ქარხლის პირველი დიდი ქარხანა აშენდა საფრანგეთში, მეორე კი იყო ე. ბლანკონაგენის ტულის ქარხანა.

1860 წლისათვის რუსეთს ჰქონდა 517 ქარხანა და შაქარი ადარ შემოჰქონდა უცხოეთიდან.

1825 წელს ტემზის ქვეშ პირველი გვირაბის გაყვანის დაწყებისას გაიმართა ბანკეტი და მაგიდის მთავარი მშვენება იყო შაქრისაგან გაკეთებული მომავალი გვირაბის უზარმაზარი მაკეტი.

XX საუკუნეში შაქარმა დაკარგა „ტკბილი კონცენტრატის“ სა-





განყოფილება მიყავთ ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ენთატივის კაბინეტის ავღაგოგავს მირი ტაბიძის, და ნანა ქანდარელს.

**ქსოვილის მარცხ**

გაკვეთილი მარცხ

**ერთი წლის ბავშვის ფარეხის ქსოვა**

ძაფი 80-85 გრ I ხარისხის. ჩხირები № 2. № 2,5. აიღეთ 86 თვალი.

I რიგი — ნაწიბურის თვალი გადაიტანეთ მოუქსოვლად. 1 ნამატი, წალმა, 1 ნამატი, 15 წალმა, 1 ნამატი, 2 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი. 1 წალმა, ნამატი 1 ბოლო თვალი.

II რიგი და ყველა წყვილი თვალი იქსოვება წალმა, ცვაღეთ, რომ ნამატი ისე გამოქსოვოთ ნასვრეტი არ დაგრეეთ.

III რიგი — 1 ნაწიბურის თვალი, 8 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 4 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 8 წალმა, ნამატი, 1 ბოლო თვალი.

V რიგი — 1 ნაწიბურის თვალი, ნამატი, 5 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 8 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 5 წალმა, ნამატი, 1 ბოლო თვალი.

VII რიგი — 1 ნაწიბურის თვალი, ნამატი, 7 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 8 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 7 წალმა, ნამატი, 1 ნაწიბურის თვალი.

IX რიგი — ნაწიბურის თვალი, ნამატი, 9 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 10 წალმა, ნამატი, 15 წალმა, ნამატი, 9 წალმა, ნამატი, 1 ნაწიბურის თვალი.

XI-XII-XIII რიგი — ყველა თვალი წალმა.

XIV რიგი — ყველა თვალი უკულმა.

XV-XVI-XVII რიგი — წალმა.

XVIII რიგი — ყველა თვალი უკულმა.

XIX რიგი — მე-19 რიგში მიღის კლება. 1 ნაწიბურის თვალი, 27 წალმა თვალი, 5-ჯერ. 2 თვალი ერთად, 27 წალმა, 1 ნაწიბურის თვალი.

XX რიგი — ყველა თვალი წალმა.

XXI რიგი — 1 ნაწიბურის თვალი, 24 თვალი წალმა, 5-ჯერ ორი თვალი ერთად (ე. ი. 10 თვალიდან გამოქსოვთ 5 თვალს), 24 თვალი წალმა, 1 ნაწიბურის თვალი.

XXII რიგი — ყველა თვალი წალმა.

XXIII რიგი — 1 ნაწიბურის თვალი, 24 წალმა, 8-ჯერ 2 თვალი ერთად, 24 წალმა, 1 ნაწიბურის თვალი.

XXIV რიგი — ყველა თვალი წალმა.

XXV რიგი — იქსოვება ნასვრეტებით ზონარის გასაყრელად, ე. ი. 2 თვალი ერთად, ნამატი, 2 ერთად, ნამატი, რიგის ბოლომდე.

XXVI რიგი ქსოვეთ ისე, რომ დაგრეეთ ნასვრეტები.

XXVII — რიგი ქსოვეთ თავშლისებური ქსოვით 6-7 სმ სიმაღლეზე და გადახურეთ. ბოლოს გადმოაბრუნეთ ნაქსოვი; გაკერეთ ტერფი და უკანა ნაწილი, მიიღებთ წინდის ფორმას. ნასვრეტებში გაუყარეთ ზონარი. მოქსოვეთ იგი უახსნაღით, ან დაგრეხეთ ძაფი და გაუკეთეთ ფორები ბოლოებში.

**ჭრე-ქრე**

**ქვედატანის (იუბკის) შეკერვა**

ქვედატანის ნახაზის ასაგებად საჭიროა შემდეგი ზომების აღება:

1) წელის ნახევარგარშემოწერილობა (წ.5.) = 86 სმ-ს.

2) თქმოს ნახევარგარშემოწერილობა (თ. 5.) = 48 სმ.

3) ნაკეთობის სიგრძე (ქვედატანის სიგრძე (5. ს.)) = 65 სმ.

წელის ხაზიდან თქმოს ხაზამდე მანძილი უდრის 15 სმ-ს, რაც მუდმივია ნებისმიერი ზომებისათვის.

6-ნაჭრიანი ქვედატანი. 4 თანაბარი ნაჭრისაგან (ნაწილისაგან) შედგება, თითოეული ნაწილის სიგანე წელთან უდრის წელის გარშემოწერილობის ნახევრის 1/6 ნაწილს, რომელსაც დაემატება 1,5 ნაკერისათვის, ე. ი.:

$$\frac{\text{წ. 5}}{6} + 1,5 = \frac{36}{6} + 1,5 = 7,5 \text{ სმ-ს}$$


ყოველი ნაჭრის (ნაწილის) სიგანე თქმოსთან უდრის თქმოს გარშემოწერილობის ნახევარის 1/6 ნაწილს, რომელსაც დაემატება 1,5 სმ ნაკერისათვის. ესე იგი:

$$\frac{\text{თ. 6}}{6} + 1,5 = \frac{48}{6} + 1,5 = 9,5 \text{ სმ-ს}$$

**ნახაზის აგება**

1) გავავლოთ 65 სმ სიგრძის კერტიკალური ხაზი — T, N.

2) T წერტილიდან მარცხნივ გავავლოთ წელის ხაზი, გადავზომოთ ერთი ნაწილის ნახევარი T, T<sub>1</sub> მივიღებთ 7,5 სმ-ს.



3) T წერტილიდან ქვემოთ გადავზომოთ 1,5 სმ და აღვნიშნოთ იგი B წერტილით, რომლიდანაც უნდა გადავზომოთ თქმოს ხაზი. B წერტილიდან მარცხნივ გადავზომოთ ერთი ნაწილის ნახევარი თქმოს ხაზზე, აღვნიშნოთ B<sub>1</sub> ასოთი რაც უდრის 9,5 სმ.

4) T<sub>1</sub>B<sub>1</sub> წერტილები შევავერთოთ სწორი ხაზით და გავაკრძელოთ. N წერტილიდან მარცხნივ გავავლოთ სწორი ხაზი T<sub>1</sub>B<sub>1</sub> ხაზის გადაკვეთამდე და აღვნიშნოთ N<sub>1</sub> წერტილით.

5) N<sub>1</sub> წერტილიდან N<sub>2</sub> წერტილამდე ვზომოთ 1,5 სმ და მივიღებთ N<sub>2</sub> წერტილით; N<sub>2</sub> წერტილი შევავერთოთ N წერტილთან რკალისებური ხაზით, მივიღებთ კაბის ბოლოს შემოწაქერს.

**ქსოვილის გამოკრა**

განიერი ქსოვილი მოკვეთთ ორად სიგრძეზე, ზემოთ შემოსაჭრელად მიუმატეთ 1 სმ, ხოლო ქვემოთ შემოსატეხავად 6 სმ. ამის შემდეგ ქსოვილი კიდევ მოკვეთთ ორად, აჭერად სიგანეზე. ახლა ქსოვილი უკვე ოთხად გაქვთ მოკეცილი. თარგი ისე უნდა დაადოთ ქსოვილს, რომ ნაკეცი ხაზი დაუპირისპირდეს ქსოვილის ნაკეცს, ხოლო დანარჩენი ნაჭრები უნდა გამოჭრათ გაშლილები.

**ქვედატანის შეკერვა**

ქვედატანი იკერება შემდეგნაირად: თითოეული ნაჭერი უნდა შეაერთოთ ერთმანეთთან ბლანდით, ხოლო ნაჭრების დაბლანდვა უნდა დაიწყეთ ქვემოლან (ქობიდან) ზევით, ნაპირიდან 1,5 სმ დაშორებით. მარცხნივ გვერდზე 15 სმ-ს ნუ ჩაკერავთ, იგი შესაკრავად უნდა გამოიყენოთ. შესაკრავი შეგიძლიათ გააკეთოთ ნებისმიერი დეკორაციითა და ჭიკარტებით ან ელვაშესაკრავით, რაც შეეხება ქვედატანის სათავეს, ისიც ნებისმიერად შეგიძლიათ დაამუშალოთ. მაგრამ უმჯობესია მიაკეროთ ქამარი.

ქამარი კი შემდეგნაირად მუშადდება: ქსოვილისაგან გამოჭერით წელის გარშემოწერილობის სიგრძისა და 7 სმ სიგანის ქამარი. ქამრის ერთი მხარე მიაკერეთ ქვედატანის წელის გარშემოწერილობას, დააგვირისტეთ, გადაკეცეთ შიგნითა პირისაკენ, ნაპირი შემოუბლანდეთ და შემდეგ ხელით სუფთად ამოუხვიეთ, რაც შეეხება ნაკეთობის ქობას, ისიც უნდა შემოუბლანდოთ და შემდეგ ხელით თევზაფხურით ან საიდუმლო ნაკერით ამოუხვიოთ.

ქვედატანის შიდაწიკრები რომ არ დაიშალოს და დაიძინდოს, ამიტომ აუცილებელია მათი ნაპირების მარუფუბისებური ნაკერით ამოხვევა.



ბოკიო მიწაში ჩადის



კოდალა მწერებს მახეს უგაბს

ზოგიერთი ჩივის ხის ქერქზე დილაადრიან შეამჩნევთ ხოლმე ნასვრეტებისგან შემდგარ რგოლებს. ვინ და რა მიზნით აკეთებს მათ? კოდალა ნისკარტით ჩხვლეთს ხის ქერქს და წვენს მიირთმევს. ამასთანავე კოდალა სიამოვნებით შეექცევა ნასვრეტებიდან გამოღონილ ხის წებოვან წვენში, როგორც მახეში, გაბმულ მწერებს. და, თურმე, ეს უოფილა ამ საქმიანობის მთავარი მიზანი.



კოლექციონერები დააბაბინებს

ბევრი სახის საფრთხე ემუქრება ფრინველებს: მონადირეები, მტაცებლები, სნეულეზები, ქარიშხალი, თვითმფრინავთან თუ მიწის კედლებთან დაჯახება... მაგრამ ფრინველებს ჰყავთ კიდევ ერთი მტერი — კოლექციონერი. ამას წინათ შვეციის ორნითოლოგთა საზოგადოებამ, პოლიციასთან ერთად, გამოავლინა ფრინველის კვარცხების კოლექციონერთა დიდი ჯგუფი. მათ კოლექციებში შვეციის ყველა იშვიათი ფრინველის — შავი ძერის, შავარდნის, თეთრკულა ფსოვის, წყლის ბუღას, რუხი წეროს კვარცხები აღმოჩნდა. კოლექციონერები დააჯარიმეს და რამდენიმე თვით ციხეში ჩასვეს.



რომელია ყველაზე გაბედავი?

ცხოველები, ისე როგორც ადამიანები, სხვადასხვაგვარად ხვდებიან საფრთხეს. აი, მაგალითად, როგორ იქცევა ზოგიერთი ცხოველი გველთან შეხრისას. ფრინველები ასეთი შემთხვევის დროს სრულებით არ გრძნობენ შიშს, გაბედულად მიეჭრებიან გველს და კორტნიან. ხობის, ყვავისა და შინაური ქათმისათვის გველის ხორცი სა-

ნუჯარი საქმელია. ასეთ სიტუაციაში ზღარბს თავისი ეკლები იმედი აქვს. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც არც ნისკარტი აქვს და არც ეკლები? მან ბრქვალეობით უნდა იბრძოდოს. კატა თითქმის ყოველ გველს ესხმის თავს და შხამიანსაც კი ამარცხებს. ძალიან ორგვარია — მშობარა და გამბედავი. პირველი, გველს რომ წააწყდება, კუდს ამოიძუებს და მოცოცხავს; გამბედავი კი ქეჩოზე ბალანს აიშლის და, სანამ ქვეწარმავალი გონს მოეგება, ელვის სისწრაფით დააცხრება. ჩვეულებრივ ასე იქცევიან ფოქსტერიერები და სპანიელები. ქრცინი და თეთრყელა კვერნა თავდაპირველად გველს აღიზიანებენ — გაიწვდიან მისკენ თათს და უმაღვე უკან გამოსწვენენ. გაბრაზებულ გველს ამ დროს შხამი ეხარჭება, ხოლო დარჩენილი შხამი ამ ცხოველებისათვის უკვე აღარ არის საშიში.



თანამედროე საფრთხობელა

ამ ბოლო ხანებში არქიტექტორები გატაცებული არიან შენობებში მიწის კედლების ფართოდ გამოყენებით. ამ გარემოებას ფრინველთათვის საკმაოდ დიდი ვნება მოაქვს — ისინი ვერ ამჩნევენ გამჭვირვალე დაბრკოლებებს და ფანჯრებსა და მიწის კედლებს მთელი ძალით ენარცებიან, რის შედეგადაც მსოფლიოში ყოველწლიურად ათასობით ფრინველი იღუპება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცხოველთა დაცვის კავშირმა გამოიგონა თანამედროვე საფრთხობელები — პლასტიკატისაგან გაკეთებული მტაცებელ ფრინველთა სილუეტები. ამ საფრთხობელებს ფანჯრებსა და მიწის კედლებზე აწებებენ და ფრინველები მათს ახლომახლო აღარ დაფრინავენ.





# უცხოური

ართმეტის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს წილადებს უხსნიდა.

— პატარა პურის ნაჭერი შუაზე რომ გავყოთ, რას მივიღებთ, პანს? — ჰკითხა ერთ-ერთ მოსწავლეს.

— ორ თანაბარ ნაჭერს. — მიუგო ბიჭუნამ.

— სწორია. თუ იმ ნაწევარს კიდევ გავყოფთ, მაშინ რაღას მივიღებთ, ფრიც? — ჰკითხა მეორეს.

— ერთ მეოთხედს.

— ძალიან კარგი. თუკი იმ მეოთხედს კვლავ ორ თანაბარ ნაწილად გავყოფთ, კარლ?

— ერთი მერვედი იქნება.

— ჩინებულაია. ის ერთი მერვედი რომ კიდევ ერთხელ გავყოთ, რას მივიღებთ, პაულ?

— ნამცეცებს, ბატონო მასწავლებლო.

— ეს რა ყმაწვილები გვეზრდება! — ქოთქოთობდა ბატონი ვიხელური ტრამვაიში, — არავითარ ყურადღებასა და თავაზიანობას არ იჩენენ. უდისციპლინონი არიან.

— რას უსაყვედურებთ ნეტავი? — გამოეპასუხა გვერდით მჯდომი მამაკაცი, — იმ ჰაბტუკმა ხომ დაგიტომთ ადგილი და მშვენივრად ზიხართ.

— მე კი, მაგრამ ჩემი ცოლი რომ ამდენი ხანია ისევ ფეხზე დგას?

— რა გატირებს, ბიჭუნა?

— დედამ დამარიგა, ყველა ავტომობილი უნდა გავატარო და მერე გადავიდე გადასასვლელზე. ამდენი ხანია ვდგავარ და არც ერთი არ მოდის...

სახელგანთქმულ ფრანგ კომპოზიტორ გუნოს გაყოყოჩებული სტუდენტები არ მოსწონდა. ერთ მშვენი-

ერ დღეს საგანგებოდ შეკრიბა ისიხი და უთხრა:

— ახალგაზრდობისას ყოყლოჩინა ვიყავი, მხოლოდ ორი კომპოზიტორი მწამდა: საკუთარი თავი და მოცარტი; მერე, როცა უფრო გავითქვი სახელი, უკვე სხვაგვარად ვამბობდი: მოცარტი და მე. ხოლო ახლა, როცა საკმაოდ ცნობილი ვარ, პატივისცემითა და მოწიწებით მხოლოდ ერთ სახელს ვახსენებ: მოცარტი.

ცნობილი გერმანელი იუმორისტი, პოეტი და მხატვარი ვილჰელმ ბუში დარბაზობას ესწრებოდა. სიტყვა ჩამოვარდა რომელიღაც პოლანდიელ მხატვარზე.

— ვირტუოზოია, — თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა. — მას შეუძლია ფუნჯის ერთი მოსმით ბავშვის მოციხარი სახე მოტირალად აქციოს.

— მერე, ამაში რას ხედავთ გახსაკუთრებულს? — უთხრა ბუშმა, — ამას დედაჩემი უბრალო ცოცხით ერთ წამში აკეთებდა.

გერმანულიდან თარგმნა  
შ. ამირანაშვილია.

## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

|   |    |   |          |
|---|----|---|----------|
| დრაბკინა ე. — ოქტომბრის ქარი (თავი მოთხრობიდან „შავი ორცხობილები“) გარეკ. . . . . | 2  | სახვაძე ე. — მამაცთა პროფესია (წერილი)                        | 19       |
| გვასალია ნ. — მისი სახელით... (ნარკვევი)  | 4  | ჭუმბურიძე ზ. — „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერები (წერილი) | 22       |
| მგელაძე ნ. — შორია ბერლინამდე (მოთხრობა, გაგრძელება)                              | 6  | ბუნების კარი  | 25       |
| კაჭახიძე გ. — ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი პოეტი (წერილი)                     | 12 | ახალი წიგნები   | 28       |
| ჭეიშვილი გ. — მაყვლისფერთვალეზა ბიჭი (მოთხრობა)                                   | 15 | ცოტა რამ საგნების წარმოშობაზე                                 | 29       |
| შენი უცხოელი თანატოლები . . . . .   | 18 | გამოგადგები   | 30       |
|   |    | ჯადოსნური სარკე   | 31       |
|   |    | უცხოური იუმორი  | 32       |
|   |    | ცხრაკლიტული   | გარეკ. 3 |

გარეკანის პირველ გვერდზე — „ოქტომბრის ქარი“, ნახატი რეჟისორ ცუცქერიძისა.

მთავარი რედაქტორი **ბაბუღია შალია**,  
 სარედაქციო კოლეგია: **შოთა დვინდარიანი, სეზომ კლდიაშვილი, გუგუნიანი ლეონიდი, ზურაბ ლეჟაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლივაძე, ნოდარ შაბანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ფიცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).**

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 ტელეფონები: რედაქტორის—93-87-05 93-31-81  
 პ/მგ. მდივანის 93-97-08 93-58-05  
 განყოფილებების—93-97-02 93-97-01


საქ. კვ. ც. ც. გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.  
 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
 Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
 გადგეცა ასაწყობად 17/VII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭადი 27/IX-78 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/4. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საბარათის-საგამომცემლო თანხა 4,19 ლ. შეკვ. № 2780. ტირ. 131.000. უკ 01976.

ფასი 20 კაპეცი





პ რ ო ს კ ო რ დ ი



თბარაშულად: 1. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი მათემატიკაში; 5. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი; 8. სამეტყველო ბგერის ნიშანი; 11. სახელმწიფო ამერიკაში; 13. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის რომელიმე გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარის სიგრძე; 16. ქალაქი იაპონიაში; 17. მდინარე გერმანიისა და პოლონეთის საზღვარზე; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 23. სახელმწიფო ევროპაში. 24. დიდი სამამულო ომის გმირი ქალის სახელი; 25. სასკოლო ინვენტარი; 26. მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი

ფორმა; 27. ქალაქი ეგვიპტეში; 28. გარეული ცხოველი; 31. მსხვილი აღმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული; 34. საღებავი ნივთიერება; 36. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე; 37. ხმის ასამაღლებელი ნიშანი მუსიკაში; 39. მცენარეთა სამყარო; 40. ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარცხვა ტალღების მოქმედებით; 43. დროებით არჩეულ პიროვნებათა ჯგუფი საგანგებო საკითხის ან საქმის განსახილველად; 45. ნ. ლომოურის მოთხრობა; 46. ერთი და იგივე გამოცემის ეგზემპლარების საერთო რაოდენობა; 47.

გამოცანები

1.

ერთად ზის ორი ძმობილი, მუდამ უჩხუბრად, ქვიანად, ირგვლივ ყველაფერს ხედავენ, მაგრამ ერთმანეთს კი არა.

2.


ერთ აჭრელებულ მინდორზე ომია გაჩაღებული, იხოცებიან მებრძოლნი, ცხენიც რბის გამაღებული, ეს ომი არვის უნახავს სისხლის ღვრით დამთავრებულა.

3.


მკერდს უშობს დამის სიბნელეს მისი სხივები სათუთი, სახეს ღიმილი უმშვენებს, ხან ნამგალია, ხან ბურთი...

ბ. ლეჟავა

აბა, სცადე!




საწყისი ასოების მიუხედავად, ლებით ვერტიკალურ სვეტში ჩაწერეთ ყვავილების სახელები ისე, რომ მსხვილად გავლებულ ჰორიზონტალურ სვეტში წაიკითხოთ დიდი სახალხო პოეტის აკაკი წერეთლის ერთ-ერთი ლექსის სათაური.



თავსატყუნი

წრის ცენტრში ჩაწერეთ რიცხვი 25. თითოეული დანაყოფი, როგორც წრიულად ისე ჭვარედინად, შეავსეთ ისეთი რიცხვებით, რომ შეკრების დროს წრიულ და ჭვარედინ დანაყოფებში (25-ს ჩათვლით) ჯამმა შეადგინოს 100.



ნახსაზვილი.

პასუხი

№ 10-ზე მოთავსებულ „ცხრაპლანეტაზე“.

შარადა

თაიგული

მარცხლები

1, 22, 18, 14, 10.



6109201

# ავტომობილები



1. ერთღერძიანი, ორთვლიანი „გიროკარი“ რუსი ინჟინრის
3. შილოვსკის მიერ ინგლისში აგებული (1915 წ.).
2. სამღერძიანი ექსპერიმენტალური ავტომობილი. ფირმა „ფორდი“ (აშშ, 1965 წ.).
3. ავტომობილი — მაკეტი „სულენი“ (იტალია, 1959 წ.).
4. რომბისებრი მანქანა „ფარინა-X“ (იტალია, 1961 წ.).
5. ექვსთვლიანი „გარდინ-კულმანი“ (აშშ, 1903 წ.).
6. რვათვლიანი „ოქტუატო“ (აშშ, 1910 წ.).

